

აიპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

თამარ ხარხელი

კარტოფილის ტრაქეომიკოზური ჭკნობა და მის წინააღმდეგ
ბრძოლის ეკოლოგიურად უსაფრთხო დონისძიებების
შემუშავება

სადისერტაციო ნაშრომი სოფლის მეურნეობის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა: 62 „მცენარეთა დაცვა”

სამეცნიერო ხელმძღვანელები: თეო ურუშაძე,
ს/მ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი;
მზია ბერუშაშვილი,
ს/მ აკად. დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2012

სარჩევი

შესავალი	5
თავი I. კარტოფილის დაავადებების შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა	14
1.1. კარტოფილის სოკოვან დაავადებათა მიმოხილვა ——————	14
1.2. კარტოფილის ტრაქეომიკოზური ჭკნობის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა ——————	23
თავი II. კვლევის მეთოდები	40
თავი III. კარტოფილის ტრაქეომიკოზური ჭკნობის გამომწვევი სოკოვის სახეობრივი შემადგენლობა და გავრცელება სამცხე-ჯავახეთში	55
3.1. ტრაქეომიკოზური ჭკნობის მავნეობა და გავრცელება სამცხე- ჯავახეთში ——————	55
3.2. ტრაქეომიკოზური ჭკნობის გამომწვევი სოკოვის სახეობრივი შემადგენლობა და კულტურალური ნიშნების შესწავლა ——————	65
3.3. ლატენტური დაავადებები და მისი როლი ინფექციის შენახვაში ——————	69
თავი IV. ჭკნობის გამომწვევი სოკოვის ბიოლოგიური თავისებურებანი	74
4.1. სოკო <i>Fusarium oxysporum</i> Schl. და სოკო <i>Verticillium lateritium</i> Berk. პათოგენობა ——————	74
4.2. სხვადასხვა ტემპერატურის გავლენა სოკო <i>F. oxysporum</i> და სოკო <i>V.lateritium</i> ზრდა-განვითარებაზე ——————	83
4.3. ჰაერის ფარდობითი ტენიანობის გავლენა სოკო <i>F. oxysporum</i> და სოკო <i>V.lateritium</i> ზრდა-განვითარებაზე ——————	91

4.4.	სხვადასხვა ნახშირბადოვანი წყაროს გავლენა სოკო F. oxysporum და სოკო V.lateritium ზრდა-განვითარებაზე -----	96
4.5.	სხვადასხვა აზოტოვანი წყაროს გავლენა სოკო F. oxysporum და სოკო V.lateritium ზრდა-განვითარებაზე -----	100
4.6.	საკვები არეების წყალბადიონების კონცენტრაციების გავლენა სოკო F. oxysporum და სოკო V. lateritium ზრდა- განვითარებაზე -----	104
4.7.	სხვადასხვა საკვები არის გავლენა სოკო Fusarium oxysporum Schl. და სოკო Verticillium lateritium Berk. ზრდა-განვითარებაზე -----	109
თავი V.	ფუზიარიოზისა და ვერტიკილიოზის გამომწვევ სოკოების Fusarium oxysporum Schl. და Verticillium lateritium Berk. მოქმედების მექანიზმის შესწავლისათვის -----	115
5.1.	სოკო F. oxysporum-ის ტოქსიკური აქტივობა და პატრონ- მცენარეზე მოქმედება -----	115
5.2.	სოკო V. lateritium-ის ტოქსიკური აქტივობა და პატრონ- მცენარეზე მოქმედება -----	118
5.3.	სოკო F. oxysporum-ისა და სოკო V. lateritium-ის ცელულოზოლირური ფერმენტების აქტივობა და მოქმედება მცენარეზე -----	120
თავი VI.	დაავადებულ მცენარეში მიმდინარე პათოლოგიური ცელილებები და გამძლეობის ზოგიერთი მაჩვენებელი. კატალაზას, პეროქსიდასა და ვიტამინ „C“-ს შემცველობა საღ და დაავადებულ მცენარეებში -----	124
თავი VII.	კარტოფილის ტრაქეომიკოზური ჭკნობის წინააღმდეგ ბრძოლის ეკოლოგიურად უსაფრთხო ლონისძიებების შემუშავება -----	129

7.1. სარგავი ტუბერკოლის ფიტოსანიტარული მდგომარეობის შემოწმება და შერჩევა	129
7.2. ბიოპრეპარატი „ლილე”, როგორც მძლავრი იმუნიზატორული საშუალება კარტოფილის ტრაქეომიკოზური ჭკნობის მიმართ	131
7.3. ნიადაგის მულტირების გავლენა კარტოფილის ტრაქეომიკოზური ჭკნობის დაავადების გავრცელება- განვითარებასა და მოსავლის რაოდენობრივ-ხარისხობრივ მაჩვენებლებზე	147
დასკვნები	153
რეკომენდაციები	157
ციტირებული ლიტერატურა	160

შესავალი

მდგრადი განვითარების კონცეფციის მნიშვნელოვანი ელემენტებია სოფლის მეურნეობის რესურსები ბაზის შენარჩუნება და აღდგენა, მიწათმოქმედების ქიმიზაციის საშუალების მოხმარების ოპტიმიზაცია, აგროეკოლოგიური სიტუაციის ობიექტური დახასიათების საფუძველზე მიწათსარგებლობასთან დაკავშირებით, ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესება.

ბუნებაზე ანთროპოგენური დატვირთვა აგროკულტურის გაჩენას უკავშირდება. ადამიანმა ბუნების ათვისება მიწის გაკულტურებით დაიწყო. თანამედროვე ეტაპზე მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით დაკმაყოფილება ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა, რომლის გადასაწყვეტად, უახლოეს პერიოდში, მეცნიერთა გაანგარიშებით, პროდუქტების წარმოება უნდა გაიზარდოს 75%-ით, რაც კულტურულ მცენარეთა მოსავლიანობის არანაკლებ სამჯერადი და მეცხოველეობის პროდუქტების ექსჯერადი გადიდებით უნდა მოხდეს. ამ პრობლემების გადასაწყვეტად აუცილებელია უფრო ეფექტური მეთოდების შემუშავება და გამოყენება, რომელიც თავის მხრივ, დაკავშირებულია მრავალფეროვან სოციალურ-ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სხვა პრობლემებთან.

ადაპტაციური მიწათმოქმედება განისაზღვრება, როგორც მცენარეული და ცხოველური პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიების ინტეგრირებული სისტემა, რომელიც მომავალში უზრუნველყოფს:

- კვების პროდუქტებზე კაცობრიობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას;
- ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებასა და ბიოცენოზების აღდგენას, რაზეც უშუალოდაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის ეკონომიკა;

- არაადდგენადი ბუნებრივი რესურსების მოხმარების მეტად ეფექტური მეთოდების გამოყენებას;
- ფერმერული მეურნეობის რენტაბელობის შენარჩუნებას; შედეგად, ფერმერთა და, მთლიანად, საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლებას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებაში მნიშვნელოვანი ადგილი კარტოფილის კულტურას უკავია.

კარტოფილი ძალლყურძენასებრთა Solanaceae-ს ოჯახს განეკუთვნება, იგი მრავალწლიანი ტუბერიანი მცენარეა. Solanum-ის გვარის ორი სახეობა (Tuberarium-ის სექციიდან) ივითარებს ტუბერებს. 2000-მდე ველური და კულტურული სახეობიდან, კულტურაში დანერგილია, უმთავრესად, ორი მონათესავე სახეობა: ანდიური კარტოფილი (Solanum andigenum) და ჩილური კარტოფილი (Solanum tuberosum). ისინი ფართოდაა გავრცელებული ზომიერი ჰავის ქვეყნებში. კარტოფილის ანატომიური სტრუქტურა ჩვეულებრივი დეროს მსგავსია, მჭიდროდ შეკრული გულგულით, რომელშიც გროვდება სახამებელი. ტუბერებს საკვებად იყენებენ.

კარტოფილი მრავლდება გეგმტატიურად – ტუბერებით რომელიც საშუალოდ შეიცავს 76,3% წყალსა და 23,7% მშრალ ნივთიერებას, რომალთაგან 17,5% სახამებელია, 0,5% შაქარი, 1-2% ცილა, 1%-მდე მინერალური მარილები და C, B₁, B₂, B₆, PP და სხვა ჯგუფის ვიტამინები. (სელექციის მიზნით – გამრავლება მიმდინარეობს თესლით).

მეცნიერთა შორის დღემდე არ არსებობს ერთიანი აზრი კარტოფილის წარმოშობის შესახებ. ერთნი თვლიან, რომ კარტოფილი პერუდანაა შემოტანილი, მეორენი ამტკიცებენ, რომ ჩილედან მოდის, თუმცა უეჭველია, რომ კარტოფილის სამშობლო სამხრეთ ამერიკა. არქეოლოგიური ცნობებით, კარტოფილის ყველაზე ადრეული ფორმები კულტივირებულია პერუში, 4500 წლის წინ. გარეული

კარტოფილისაგან ინკებმა გამოყვეს ყინვაგამძლე სხვადასხვა სახეობა, რომელთაც ისინი საკვებად იყენებდნენ. ცნობილია კარტოფილის 150-ზე მეტი ველური ჯიში. სხვანი ამბობენ, რომ ესპანელი კონკისტადორები, რომლებიც ჩრ. ამერიკაში ოქროს საძებნელად იმყოფებოდნენ წააწყდნენ რამოდენიმე უჩვეულო პროდუქტს: სიმინდს, ბარდასა და „ტრიუფელებს“. რაც ესპანელებმა ტრუფელებს მიამსგავსეს, კარტოფილის ტუბერები იყო, რომლებიც მე-16 საუკუნეში ესპანეთში ჩაიტანეს. ის თანდათანობით დამკვიდრდა ევროპაში, შემდეგ – მთელ მსოფლიოში.

კარტოფილის გაკულტურება ლიუტერ ბერბანკის მიერ მოხდა. მან მე-19 საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში დაიწყო ზრუნვა კარტოფილის გემოს გასაუმჯობესებლად და შეეცადა მოსავლიანობის ამაღლების გზების ძიებას. კარტოფილს ამრავლებდა თესლით, ყვავილების დამტვერვის შემდეგ. რაც ტუბერების გაორმაგებას იწვევდა. ამ გზით, მის მიერ, გამოყვანილი ჯიში „კარპოფელ ბერბანკას“ სახელითაა ცნობილი. სწორედ, ეს იყო კარტოფილის პირველი კულტურული ჯიში, რომელიც მთელ მსოფლიოში გავრცელდა და, ამჟამად, იწოდება „მეორე პურად“.

საქართველოში კარტოფილის ნარგაობები პირველად 1820-იან წლებში გაჩნდა, თბილისის ახლომახლო. 1913 წელს კარტოფილის მოყვანის არეალმა 6800ჰა-ს მიაღწია. 1975 წელს კარტოფილის სათესი ფართობი 28 ათას ჸას აღემატებოდა. საქართველოში კარტოფილს თესავენ, უმთავრესად, ახალქალაქის, ახალციხის, წალკის, დმანისის, თეთრი წყაროს, ხულოს, შუახევის რაიონებში. მოჰყავთ მთაშიც (ნინოწმინდის რაიონი, სვანეთი, რაჭა და სენა), სადაც ნათესები, ზღვის დონიდან 2200-2300მ-მდე აღწევს. 70-იან წლებში ფართოდ გავრცელდა საადრეო კარტოფილის მოყვანა, უმთავრესად, ბოლნისის რაიონში. საქართველოში კარტოფილის საშუალო მოსავლიანობა 12,0

გ/ჰა შეადგენს. ახალქალაქის, ახალციხისა და წალკის რაიონებში კარტოფილის მოსავალი უფრო მეტია – 17,4-17,8გ/ჰა. საქართველოს ბარის ზონაში კარტოფილს თესავენ ზაფხულშიც, თავთავიანი პურეულის აღების შემდეგ და მეორე მოსავალს იღებენ. ამ ზონაში (ზღვის დონიდან 500მ-მდე) საადრეო მოსავლის მისაღებად კარტოფილი შეიძლება დაითესოს შემოდგომაზეც – ნოემბერში.

კვების ფიზიოლოგიური ნორმით, წლის მანძილზე, ჩვენში, ერთ სულ მოსახლეზე გათვალისწინებულია 97კგ კარტოფილი.

სამეურნეო დანიშნულების მიხედვით კარტოფილის ჯიშები იყოფიან: სასუფრე, საქარხნო, საკვებ და უნივერსალურ ჯიშებად. კარტოფილის ყველა ორგანო შეიძლება სამკურნალოდ იქნას გამოყენებული, უფრო ხშირად კი – იყენებენ ტუბერებს, რომლებიც ამჟღავნებენ წყლულებისა და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას. კარტოფილი იძლევა სახამებელს (ცილებს, შაქარსა და „C“ ვიტამინს (ასკორბინ მჟავას). ამ უკანასკნელს, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობით შეიცავენ ახალგაზრდა ტუბერები, რის გამოც ფართოდ გამოიყენება სურავანდის საწინააღმდეგო საშუალებად. კარტოფილი „B₁“, „B₆“ ჯგუფის ვიტამინების შემცველობის გამო, ორგანიზმს ნერვული და სისხლძარღვების დაავადებისაგან იცავს. ტუბერები შეიცავს A ვიტამინის პროგიტამინ კაროტინისა და სხვა სასარგებლო ვიტამინებს, რომლებიც აუმჯობესებენ ადამიანის ორგანიზმის საერთო მდგომარეობას. კარტოფილი PP ვიტამინის სიმცირით გამოწვეულ პელაგრის საწინააღმდეგო საშუალებაცაა.

ძველი დროიდან კარტოფილი გამოიყენება: ფურუნკულების, სიმსივნური წარმონაქმნების წინააღმდეგ, ბუასილის, ფილტვების ტუბერკულოზის, კუჭისა და თორმეტგოჯას წყლულოვანი დაავადებების, გასტრიტის, ართრიტის, ხველის, გაციების, მაღალი

ტემპერატურის, მასტიტის, ანგინის, რევმატიზმის, ჰიპერტონიის, თვალის ირგვლივი ნაოჭების, მეჭეჭებისა და სხვათა სამკურნალოდ.

კარტოფილს მაღალი კვებითი დირებულების გამო, დიდი ადგილი უკავია სამომხმარებლო ბაზარზე. გამოირჩევა მაღალი კალორიულობით, რითაც ცოტა ჩამორჩება ხორბლოვან კულტურებს (Claassens M., 2002). გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია „FAO-ს“ მონაცემებით, მსოფლიოში, კარტოფილის წლიური მოიხმარება 290 მლნ.ტ-ს შეადგენს. მისი ტუბერები, პრაქტიკულად, შეიცავენ ადამიანისათვის ყველა საჭირო საკვებ ნივთიერებას, რომელთა შორის უმთავრესია სახამებელი. სხვადასხვა ჯიშის ტუბერისათვის მშრალი ნივთიერების მასა შეადგენს 17-30%, მათ შორის 70-80% სახამებელს ეკუთვნის, 3%-მდე ცილებს, 1% უჯრედანას, 0,2-0,3% ცხიმებს და 0,8-1% ნაცრის ელემენტებს (Литун Б.П., Замотаев А.И., 1988).

2006 წელს, FAOSTAT მონაცემებით, კარტოფილის წარმოებაში, ლიდერი ჩინეთი იყო (23%), მას მოჰყვებოდა რუსეთი (12%), ინდოეთი (8%), უკრაინა, აშშ (6%), გერმანია (4%), პოლონეთი, ბელორუსია (3%), ნიდერლანდები, საფრანგეთი, ბრიტანეთი, ბანგლადეში, კანადა (2%), ირანი, თურქეთი, რუმინეთი, პერუ, ბრაზილია, იაპონია, ბელგია (1%), დანარჩენი ქვეყნები მთლიანად კარტოფილის 20%-ს აწარმოებენ.

კარტოფილის მცენარე მიმღებიანია მრავალი დაავადების მიმართ, რომელთაც შეუძლიათ, მნიშვნელოვნად შეამცირონ მოსავლის რაოდენობა და ხარისხი. ზოგიერთ მკვლევართა მონაცემებით (Воловик А.С. и др., 1989; Тютерев Л.С., 2000; Иванюк В.Г. и др., 2003), კარტოფილის მცირე მოსავლიანობის ერთ-ერთი მიზეზი, სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებებია, რომელთა მიერ გამოწვეულმა დანაკარგებმა, შეიძლება შეადგინოს პოტენციური მოსავლის 30-50%-დან 40-60%-მდე შემცირება. დაავადებები აზიანებენ, როგორც აქტიურად ვეგეტირებულ მცენარეებს

მინდვრის პირობებში, ასევე ტუბერებს – შენახვის დროს. იგი ზიანდება ბაქტერიებით, სოკოებით, ვირუსებით, ვიროიდებითა და ფიტოპლაზმური დაავადებებით (Platford G., 2001). კარტოფილის ფიზიოლოგიური სიმწიფე იწყება მაშინ, როდესაც ტუბერებში მშრალი ნივთიერებანი მიაღწევენ მაქსიმალურ ზღვარს, ხოლო ხსნადი ნახშირწყლების შემცველობა მინიმალური ოდენობითაა. მშრალი ნივთიერებისა და ხსნადი ნახშირწყლების შემცველობის ცვლილება დამოკიდებულია ფოტოსინთეზური აპარატის ფუნქციონალური დინამიკის ცვლილებაზე, ვეგეტაციის პერიოდის განმავლობაში (Nope et al., 1960). კარტოფილის დაცვა დაავადებებისაგან, აქტუალური პრობლემაა მსოფლიო მასშტაბით.

თემის აქტუალობა – კარტოფილს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. გავრცელების მხრივ, მსოფლიოში მეორე ადგილზეა, მარცვლოვანი კულტურების შემდეგ. მისი ესოდენ დიდი გავრცელება გამოწვეულია ამ მცენარის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის თვალსაზრისით, რადგან კარტოფილის კულტურას შეგუების დიდი უნარი აქვს მთიანი ჰავის პირობებისადმი. ამიტომ, საქართველოს მთაში, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, მეცხოველეობის ამაღლებისა და შემოსავლიანობის გადიდებისათვის, მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. კარტოფილის მოსავლიანობას, მნიშვნელოვნად ამცირებენ მისი სოკოვანი დაავადებები, რომელთა შორის ტრაქეომიკოზური ჭკნობა ერთ-ერთი ძირითადია თავისი მავნეობით. კარტოფილის ჭკნობა, ძირითადად, გამოწვეულია ნიადაგის სოკოებით. დაავადებული მცენარის ფოთლები კარგავენ ტურგორს, მცირდება ქლოროფილის მარცვლების რაოდენობა, რის გამოც დაავადებული მცენარეს დასაწყისში ლია მწვანე შეფერვა აქვს; შემდეგ, ღეროს წვერი იგრიხება და მცენარე ჭკნება. მცენარეებში შენელებულია ტუბერების

წარმოქმნის პროცესი, ან ვითარდება 2-3 წერილი ტუბერი, რომელიც საკვებად და სათესლედ უარგისია. მცირდება სახამებლის შემცველობა, ხდება ტუბერების გაუწყლოება. საქართველოში, განსაკუთრებით, ურწყავ პირობებში, კარტოფილის ჭკნობა ფართო გავრცელებით გამოირჩევა და დიდი მავნეობით ხასიათდება, რაც მკვეთრად აისახება მოსავლის რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლების მნიშვნელოვან შემცირებაში. რის გამოც მისი შესწავლა და ბრძოლის ღონისძიებების დასახვა ფრიად აქტუალურია.

კვლევის მიზნები და ამოცანები – საკვალიფიკაციო თემის კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა კარტოფილის ტრაქეომიკოზური ჭკნობის გამომწვევი მიზეზების შესწავლა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ეკოლოგიურად უსაფრთხო ღონისძიებების შემუშავება. ამასთან კავშირში, კვლევის ამოცანებს შეადგენდა:

- ჭკნობის გამომწვევი სოკოების გვარობრივი და სახეობრივი იდენტიფიკაცია, პათოგენთა სახეობრივი შემადგენლობის დადგენა და თითოეული მათგანის ხელისუფლითი წილის განსაზღვრა კარტოფილის ჭკნობის პათოგენეზში;
- დაავადების გამომწვევთა ბიოლოგიური თავისებურებების შესწავლა;
- სოკოს მოქმედების მექანიზმი და მისი გავლენა მცენარეში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებზე; მცენარის საპასუხო თავდაცვითი რეაქციები და ჭკნობის გამომწვევი სოკოების ტოქსიკური და ფერმენტული აქტივობა;
- ტრაქეომიკოზური ჭკნობისადმი გამძლე ჯიშების გამოვლინება და გამძლეობის მაჩვენებლების შესწავლა;
- ტრაქეომიკოზური ჭკნობის წინააღმდეგ ეკოლოგიურად უსაფრთხო ბრძოლის ღონისძიებების ბიოლოგიური, სამეურნეო და ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება.

მეცნიერული სიახლეები – პირველად, ჩვენს მიერ, საქართველოში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, შესწავლილ იქნა შემდეგი საკითხები:

- კარტოფილის ტრაქეომიკოზური ჭკნობის გავრცელება-განვითარების ინტენსივობა;
- მოყვანის რეგიონებისა და უბნების მიკროკლიმატის გავლენა ტრაქეომიკოზური ჭკნობის გავრცელება-განვითარების ინტენსივობაზე ახლადშემოტანილი ჯიშების მიმართ;
- *Fusarium oxysporum* Schl. და *Verticillium lateritium* Berk. პათოგენობა ახლად ინტროდუცირებული ჯიშების მიმართ;
- *V. lateritium*-ის პათოგენობა კარტოფილის ლერო-ფოთლებზე, სამცხე-ჯავახეთის პირობებში;
- ტრაქეომიკოზური ჭკნობის მიმართ ინტროდუცირებული ჯიშების გამძლეობა და მისი მაჩვენებლების დადგენა;
- ბიოპრეპარატი „ლილეს“ როლი, როგორც მძლავრი ფიტომუნიზატორული საშუალება;
- სუბალკური თივის მულჩის ფიტონციდური აქტივობა კარტოფილის ჭკნობის გამომწვევი სოკოების მიმართ.

თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა – ჩატარებული კვლევის შედეგად დადგენილია ჭკნობის გამომწვევი პათოგენური სოკოების ბიოლოგიური თავისებურებანი, რის საფუძველზეც შემუშავებულია ბრძოლის ღონისძიებათა სისტემა, რომლის შედეგები მნიშვნელოვანწილად დაგვეხმარება კარტოფილს ტრაქეომიკოზური ჭკნობის გამომწვევ პათოგენთა მიერ მიყენებული ზიანის მინიმუმამდე შემცირებაში, ამაღლდება მოსავლის რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლები და უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის მზარდი მოთხოვნა ამ პროდუქტისადმი; რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საბაზო ეკონომიკის პირობებში.

- გამოვლინებულია ინტროდუცირებული კარტოფილის გამძლე და მიმღებიანი ჯიშები;
- დადგინდა ამ ჯიშთა განთავსების კანონზომიერება მათი ტრაქეომიკოზური ჭკნობისადმი გამძლეობის ხარისხისა და შერჩეული ნაკვეთის მიკროკლიმატური პირობების გათვალისწინებით;
- შემუშავდა პესტიციდების, კერძოდ, ფუნგიციდების გამოყენებისა და მისი ხარჯვის ნორმების შემცირების გზები;
- დადგინდა ბიოაქტიური პრეპარატ „ლილეს“ ფიტოიმუნიზატორული ეფექტი;
- შემუშავდა მოსავლის ოპტიმიზაციისათვის, ბრძოლის ეკოლოგიურად უსაფრთხო დონისძიებებათა სისტემა.

აპრობაცია – სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები წარდგენილ და განხილულ იქნა აგროეკოლოგიის დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №2; 17.01.2012).

პუბლიკაცია – სადისერტაციო თემის ირგვლივ გამოქვეყნებულია 6 სამეცნიერო ნაშრომი.

მოცულობა და სტრუქტურა – დისერტაცია შედგება შესავალის, 7 თავის, დასკვნების, რეკომენდაციებისა და ციტირებული ლიტერატურისაგან. ნაშრომი მოიცავს 183 გვერდს, 32 ცხრილს, 41 სურათს და 19 დიაგრამას. გამოყენებულია 260 დასახელების ლიტერატურული წყარო, აქედან 29 ქართულ და 231 უცხოურ ენაზე.

I თავი

კარტოფილის დაავადებების შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა და კვლევის მეთოდები

1.1. კარტოფილის სოკოვან დაავადებებათა მიმოხილვა

მავნე ორგანიზმების მიერ გამოწვეული კარტოფილის დანაკარგები მსოფლიოში ყოველწლიურად 30%-ს შედგენს და ზოგიერთ წლებში 45%-საც კი აღწევს. დანაკარგების წილი იზრდება შენახვისას საწყობებში. მშრალი და სველი სიდამპლების მავნეობა 30-40%-საც კი შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს, როგორც შენახულ პროდუქციას, ასევე აბინძურებს სათესლე მასალასაც და წარმოადგენს მომდევნო სავეგეტაციო პერიოდისათვის ინფექციის წყაროს.

კარტოფილი მრავალი სოკოვანი, ბაქტერიული, ვირუსული, ვიროიდული, ფიტოპლაზმური, ნემატოდური დაავადებებითა და მავნებლებით ზიანდება. მასზე აღინიშნება, აგრეთვე, მთელი რიგი ფუნქციონალური დაავადებანი, რომლებიც გარემოს არახელსაყრელი პირობებითაა გამოწვეული. ინფექციის მარაგი სარგავ მასალაში ან მცენარეულ ანარჩენებშია.

დაავადებები უარყოფითად მოქმედებენს მცენარის ზრდა-განვითარებაზე, სარგავი მასალის გაღივებისა და აღმოცენების უნარზე, რაც იწვევს კარტოფილის მოსავლის საგრძნობ შემცირებას, მისი ხარისხისა და სასაქონლო ღირებულების გაუარესებას.

დაავადება მცენარის, პათოგენისა და გარემოს ურთიერთქმედებით გამოწვეული პროცესია, რომლის შედეგადაც ირლვევა მცენარეში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესები, რაც აისახება ჯანმრთელი მცენარისაგან განსხვავებულ გარეგნულ ნიშნებში. მცენარეში მიმდინარე პათოლოგიური პროცესები გარეგნულად სიმპტომების სახით ვლინდება. ხშირად მცენარის დაავადების საწყისად

სიმპტომების გამოვლინებას ვერ მივიჩნევთ, ვინაიდან, მცენარეში პათოლოგიური პროცესები ლატენტურად მიმდინარეობს.

კარტოფილის დაცვის სისტემა დაავადებებისაგან, დღემდე არ არის ორიენტირებული ეკოლოგიურად უსაფრთხო დონისძიებებზე, არ არის დადგენილი მოსავლის აღების ზუსტი ვადები (Кондратов А.Ф., Чулкина В.А., Торопова Е.Ю., 1996). კარტოფილის დროული აღება მნიშვნელოვნად ამცირებს მის დანაკარგებს. ფიზიოლოგიურად მწიფე მოსავლის აღება მნიშვნელოვანი პირობაა მისი წარმატებული შენახვისათვის. მოუსვლელ ტუბერებში, შენახვისას, მნიშვნელოვნად ეცემა მშრალი ნივთიერების ოდენობა (Chase R., 1976). მკვლევართა ერთი ნაწილი (Kosuge T., 1969; Lovrekovich et al., 1967; Lyon G., 1989), მცენარის ინფექციისაგან დაცვის მექანიზმში, მნიშვნელოვან როლს ანიჭებს ფენოლურ შენაერთებს, რომელთა მეტაბოლიზმს შეუძლია განსაზღვროს მეტაბოლურად აქტიურ ნივთიერებათა წარმოქმნა და ტუბერების გამდლეობის ამაღლება პათოგენური სოკობის, ბაქტერიებისა და ვირუსების მიმართ.

სსნადი ნახშირწყლები განსაზღვრავენ ტუბერების დაავადებათა მიმართ მდგრადობას, ხანგრძლივი შენახვის პირობებში. კარტოფილის ფორმირების თავისებურება დამოკიდებულია ჯიშის გენოტიპზე. ტუბერების განვითარებას თან ახლავს ინტენსიური გარდაქმნები. სინთეზირების პროცესში ადგილი აქვს სსნადი ნახშირწყლების გარდაქმნას სახამებლად, ამინომჟავები გარდაიქმნება ცილებად. ჩნდება ფლავონოიდები, ფენოლკარბონმჟავები, ფიტოჰერმონები და სხვა ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, პროტექტორული და ანტიოქსიდანტური კომპონენტები (Hajirezaei M., 1999; Claassens M., 2002).

აღნიშნული ნივთიერებების შემცველობა და ურთიერთქმედება განსაზღვრავს ტუბერების საკვებ ლირებულებასა და დაავადებათა მიმართ გამდლეობის უნარს, შემოდგომა-ზამთარი-გაზაფხულის

პერიოდში. ფიზიოლოგიურ-ბიოლოგიური ხასიათის განსაზღვრა მნიშვნელოვანია ახალი, ნაკლებად შესწავლილი ჯიშების ტუბერებისათვის, მოსავლის აღების ოპტიმალური ვადების დადგენის მიზნით (ფიზიოლოგიურად მწიფე ფაზები).

სხვა აგრონომიულ ღონისძიებათა დანერგვასთან ერთად, კარტოფილის მოსავლის გადიდებისათვის მთავარი მნიშვნელობა აქვს ჩვეულებრივი ნათესების შეცვლას მაღალმოსავლიანი, მავნე ორგანიზმების მიმართ გამძლე ჯიშებით.

მსოფლიოს სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა კარტოფილის მრავალი გაუმჯობესებული ჯიში მოგვცა. კარტოფილის მოყვანისას დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ჯიშობრივი სიწმინდის დაცვას, რაც საშუალებას მოგვცემს, ვაწარმოოთ მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ დიფერენცირებული ბრძოლა.

დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებების შემუშავების წინაპირობაა პათოგენთა გამოვლენა, იდენტიფიკაცია და გამომწვევის ბიოლოგიის შესწავლა.

ფიტოფთოროზი – *Phytophthora infestans* (Mont) De Bary. სოკოვანი დაავადებაა. კარტოფილის ფიტოფთოროზი აავადებს მცენარის ყველა ორგანოს და იწვევს მოსავლის დიდ დანაკარგებს, როგორც სავეგეტაციო პერიოდში, ისე შენახვის დროსაც. მის მიერ - გამოწვეული დანაკარგები, ზოგიერთ წლებში, 70-80%-საც კი აღწევს. აღნიშნული დაავადება, ხშირად გვხვდება ფუზარიოზთან და ვერტიცილიოზთან ერთად. დაავადება, პირველად, მცენარის ქვედა ფოთლებზე ჩნდება, მომწვანო-წყლულოვანი ლაქების სახით, რომლებიც ქვედა მცენარის გარშემოგლებულია მქრალი მოვარდისფერო-მოთეთრო არშიით, რაც წარმოადგენს სოკოს კონიდიალურ ნაყოფიანობას. ტუბერის ზედაპირზე, დასაწყისში, ზედაპირული მოყავისფრო ლაქა ჩნდება, რომელიც სწრაფად

ვრცელდება ტუბერის რბილობში და ალპობს მას. ასეთი ტუბერის ქსოვილი განაჭერში მოჟანგისფრო-ყავისფერია, სპეციფიკური სუნით. ინფექციის ძირითადი წყაროა დაავადებული სათესლე ტუბერები.



სურათი 1. კარტოფილის ფიტოფტორა

რიზოქონიოზი – *Rhizoctonia solani* Kuhn. კარტოფილის ჭკნობის ერთ-ერთი გამომწვევი პოლიფაგი სოკო ორგანიზმია. აავადებს მრავალ მცენარეს. იწვევს ფეხვების, ფესვის ყელის, ღეროების, ფოთლებისა და ტუბერების დაზიანებას. ავადმყოფობა განსაკუთრებით საშიშია, როდესაც ღივები ზიანდება. ტუბერებზე ადგილი აქვს ტალახისმაგვარი შავი ფერის სკლეროციუმების განვითარებას, რომელიც იწვევს ღივების დაზიანებას. ადრე გაზაფხულზე, ირგვება რა სკლეროციუმებიანი ტუბერები, ღივებთან ერთად, იდვიძებენ სოკოს სკლეროციუმები და იწვევენ ახალგამოტანილი ღივების დასენიანებას. რაც უფრო ხანგრძლივია ღივის გამოტანის პროცესი (გაჭიანურებული გრილი გაზაფხულია), მით ინტენსიურად ზიანდებიან ისინი რიზოქონიოზით და, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, ტუბერებზე

გართხმული სკლეროციუმები, 10-15%-ით ნათესების გამეჩერებას იწვევენ. ხშირად, მისი გავრცელება 30-40%-საც კი აღწევს.

ზაფხულის პერიოდში კარტოფილის დაზიანება ინტენსიურად ვლინდება ჭარბი ტენის პირობებში. რიზოქტონიოზით დაავადებული მცენარის გარეგანი ნიშნები ტრაქეომიკოზური ჭკნობის სოკოებით გამოწვეულ დაავადებათა სიმპტომებს ემთხვევა, რაც გამოიხატება ფოთლების აჭრელებაში, კედლების აკეცვასა და გაყვითლებაში. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მცენარის ფესვის ყელთან ქერქის ლპობას. ფერხდება ნივთიერებათა ცვლა და მცენარე ჭკნება. დაავადებული ფესვის ყელზე ვითარდება თეთრი ფერის მიცელიუმი, რის გამოც დაავადებას თეთრფეხსაც უწოდებენ.

ფომოზი – *Phoma tuberosa* (Melh, Rossenb. et Schulc.) და *Phoma solanicola* (Pr. et Del.), სოკოვანი დაავადებაა. აზიანებს დეროებს, ტუბერებს. დასაწყისში მცირე ზომის მოყავისფერო ჩაზნექილი ლაქა ჩნდება, რომელიც თანდათან იზრდება, როგორც ტუბერის ზედაპირზე, ისე ქსოვილების სიღრმეში და ალპობს მას. შემდგომ, ლაქაზე შავი წერტილები ვითარდება (სოკოს გამრავლების საშუალება), ეს პიკნიდიუმებია, წვრილი ერთუჯრედიანი სპორებით, 4-6×2-4 მკმ-ის (Дьяченко В. С., 1985).

ალტერნარიოზი – *Alternaria solani* Sor. – სოკოვანი დავადებაა. აავადებს ფოთლებს, მის ყუნწებს, დეროებს, ტუბერებს. ტუბერებზე მომრგვალო ან დაკუთხული ყავისფერი ზონალური ლაქების სახით ვლინდება. ლაქები ჩაზნექილია, ზონალური. დასაწყისში ფოთლის ფირფიტაზე პატარა მრგვალი, მშრალი ლაქები ჩნდება, რომლებიც თანდათან დიდდება და ხშირად, ფოთლის მთელ ფირფიტას მოიცავს. სოკოსათვის განვითარების ხელსაყრელ პირობებში, ის ვითარდება დეროებსა და ყლორტებზეც, რომლებიც ხშირი ყავისფერი ლაქებით იფარება და მცენარის ზედა ნაწილი მთლიანად ხმება (ყანჩაველი ლ.,

1987). ტუბერებზე დაავადებული ქსოვილი საღისაგან გამოყოფილია სადემარკაციო ზოლით (Дьяченко В. С., 1985). ნაყოფიანობა ჩნდება ლაქებზე, მოკლე, მარტივი კონიდიათმგარების სახით, რაც მურა ან ყავისფერია, წვერზე გრძელი, კომბლისებრი, მრავალუჯრედიანი კონიდიუმებით. კონიდიუმების საერთო ზომა 128-200 მკმ-ია, სიგანე 14-20 მკმ.

კარტოფილის ფოთლებზე აღინიშნება მეორე, ამავე სოკოს მსგავსი ორგანიზმი, სოკო – *Makrosporium solani* Ell. et Mart. ის მცირე მორფოლოგიურ განსხვავებას იძლევა (ყანჩაველი ლ., 1987), რის გამოც ამ ორი სახეობით გამოწვეული დაავადება *Alternaria solani*-ს სახელითაა ცნობილი.

ოოსპორიოზი – *Oospora pustulans* Owen. Et Wakef. – ძირითადად, ლეროებსა და ტუბერებს აავადებს, რომლებიც სხვადასხვაგვარად ვლინდება: ტუბერის ზედაპირზე ვითარდება, ხან პატარა ბრტყელი, ან ამობურცული მეჭეჭები, ხანაც არაწესიერი ფორმის ჩაზნექილი ლაქები, რომლის კანი დაჭმუჭნულივითაა. ლაქებს ზოგჯერ ღრმულის სახე აქვს შუაზე გამონაზარდით. დაავადება იწვევს ტუბერის თვლების ძლიერ დაზიანებას. არ იგითარებს ლიგებს. მაღალი ტენიანობის პირობებში ტუბერებზე წარმოიქმნება მორუხო-მოთეთრო ფიფქი, რაც სოკოს გამრავლების საშუალებაა. ინფექცია ნიადაგში ინახება 3-5 წლის განმავლობაში. ტუბერებში ინფექცია თვლებიდან, დაზიანებული ადგილებიდან, ჩვეულებრივი ან ფხვიერი ქეცის წყლულებიდან იჭრება და თავს ინახავს ტუბერის მთელი არსებობის პერიოდში. სასაწყობე მეურნეობაში ადგილი აქვს ტუბერების ახალ ინფექციებსაც.

ჩვეულებრივი ქეცი, რომლის გამომწვევებია სხვადასხვა აქტინომიცეტები (*Actinomices tricolor*, *A. intermedium* და ა.შ.), რომლებიც ბინადრობენ ნიადაგში და ხვდებიან ტუბერებში, აზიანებს ფეხვებს, სტოლონებს, ლეროებსა და ტუბერებს. დაავადებული ტუბერები

დახორკლილია, მასზე ჩნდება, ასევე, წყლულოვანი იარები, მეჭეჭისებრი ამონაბურცები და კონუსისებრი ჩაღრმავებები (რეხვიაშვილი ლ., 2004).

ინფექციის წყაროა ნიადაგი და დაავადებული ტუბერები. ავადმყოფობა, გარდა იმისა, რომ დაბლა სცემს ტუბერების სასაქონლო ღირებულებას, ხელს უწყობს და ღია კარს ქმნის სხვა მიკრორგანიზმების შეჭრისათვის.

ფხვიური ქეცი – *Spongospora subterranea* Walr. ესეც სოკოვანი დაავადებაა. ამცირებს სასაქონლო ღირებულებასა და შენახვისუნარიანობას. ტუბერზე მეჭეჭები ვითარდება, რომელზედაც ტუბერის ქერქი ვარსკვლავივით სკდება შიგნიდან და ფხვნილივით მურა ფერის მასა ჩანს, რაც სოკოს გამრავლების ორგანოებია. ინფექციის წყაროა ნიადაგი, სადაც ქეცის გამომწვევი სოკოს სპორები (ცისტები) 3-5წლამდე ცოცხლობენ. ხელშემწყობად ითვლება ყველა ის პირობა, რაც ვეგეტაციის ხანგრძლივობას ზრდის, როგორიცაა ნალექების დიდი რაოდენობა, აზოტოვანი სასუქების სიჭარბე და ა. შ.

ვერცხლისფერი ქეცი – ამ დაავადების გამომწვევი სოკო *Spondylocladium atrovires* Hanz. აავადებს ტუბერებს, რომელზედაც მუქი ყავისფერი, მრგვალი ლაქები ჩნდება. ისინი ჯერ გლუვია, შემდეგ კი ჩაზნექილი. სოკო შლის ქსოვილს, რომელიც იქრცლება; წარმოქმნილი ლაქები ვერცხლისფერია; ტენიან გარემოში ვითარდება სოკოს ნაყოფიანობა სკლეროციუმების სახით (Волков С. М., 1955); დაავადებულ ტუბერებზე ადვილად სახლდება სხვა პარაზიტი და საპროფიტი სოკოები, რომლებიც დაავადების გამომწვევი მეჭეჭებიდან იჭრებიან; ინფექციის წყარო ნიადაგი და დაავადებული ტუბერებია. ტუბერების დაავადება შენახვის პირობებშიც ვრცელდება. კონიდიები მოსავლის აღების პერიოდში ხვდება ტუბერზე და იწვევენ მის დაზიანებას.

ვუზარიოზული ჭკბობის გამომწვევებია *Fusarium*-ის გვარის ხოკოები. ხშირად, მას იწვევენ შემდეგი ხახულები: *F. solani* (Mart.), App. Et Wr., *F. martii* App. et Wr., *F. coeruleum* (Lib.) Sacc., *F. sambucinum* Fuck., *F. culmorum* (W. G. Am.) Sacc., *F. oxysporum* Schl. და სხვა (Волков, С. М., и др., 1955). ისინი პოლიფაგი სოკო-ორგანიზმებია. აავადებენ დეროებს, ტუბერებსა და ფოთლებს. დაავადებას ხშირად კერობრივი ხასიათი აქვს. ავადმყოფობა სწრაფად ვითარდება და მცენარე რამდენიმე დღეში იღუპება. დაავადებული ტუბერი ლპება მშრალი სიდამპლის სახით, სტოლონებზე მიმაგრების ადგილიდან. მცენარის გაჭრისას შეინიშნება იასამნის სუნი. სოკო თავს ინახავს ნიადაგში, დასენიანებულ ტუბერებსა და მცენარეულ ნარჩენებზე.

აღნიშნული დაავადების გამომწვევი სოკოს გვარის *Fusarium*-ის ზოგიერთი წარმომადგენელი იწვევს მშრალ სიდამპლეს შენახვის პირობებში და მათ მიერ გამოწვეული დანაკარგები ხშირად, 90%-საც კი აღწევს. ამ სოკოებით უმნიშვნელოდ დაბინძურებული ან დასენიანებული ტუბერები თესვისას იწვევენ მოსავლის დიდ დანაკარგებს, რადგანაც სენიანდება აღმონაცენთა დიდი ნაწილი. დასენიანებული დივი ან სულ არ ვითარდება ან აღმოცენდებიან სუსტი, დაკნინებული მცენარეები.

მიღებული ტუბერები თუმცა გარეგნულად საღად გამოიყურება, მაგრამ შენახვის პერიოდში მათი უმეტესობა ლპება და ასენიანებს სხვებსაც. პირველი ნიშნები ტუბერებზე მღვრიე, მოყავისფრო ლაქის სახით ვლინდება, რომელიც ტუბერის ეპიდერმისითაა დაფარული. დაავადებული ტუბერი მთლიანად ლპება და გამოვსებულია მოვარდისფრო ფუმფულა მიცელიუმით, რომელზეც მაღალი ტენიანობის პირობებში ტუბერების ზედაპირზე ვითარდება კონიდიუმების მასა, რომლებიც შეიძლება იყოს ერთ

(მიკროკონიდიუმები) და მრავალუჯრედიანი (მაკროკონიდიუმები) ნახევარმთვარის ფორმის.

ვერტიკილიოზური ჭკნობა სოკოვანი დაგადებაა – გამომწვევებია *Verticillium*-ის გვარის სხვადასხვა სახეობები, მათ შორის: *Verticillium albo-atrum Reinke et Berth*, *V. dahlia Kleb.*, *V. lateritium Berkeley* და ა.შ. ისინი პოლიფაგი სოკო-ორგანიზმებია. აზიანებენ დეროებს, ტუბერებს, ფოთლებს. ჭკნობა იწყება ყვავილობის პერიოდში; ქვედა ფოთლებიდან დაწყებული მცენარე თანდათან ჭკნება. ფოთლები, საბოლოოდ, ხმება და ცვივა. ტუბერებზე დაგადება თვლებს აზიანებს, საიდანაც ღრმად ჩადის ქსოვილებში და რუხი მტკრის მასად აქცევს მას. დაგადება გადადის ტუბერებით, მცენარეული ნარჩენებითა და ნიადაგით. სოკო ნიადაგიდან იჭრება ტუბერების, სტოლონებისა და ფესვების გზით. დაგადებას ხელს უწყობს მწერებით ან სხვა რაიმე მიზეზებით ფესვთა სისტემის მექანიკური დაზიანება. ჭკნობის განვითარებას ხელს უწყობს ზაფხულის თვეების მშრალი და ცხელი ამინდები. ვერტიკილიოზით გამოწვეული მოსავლის დანაკარგები, ხშირად მნიშვნელოვან რაოდენობას აღწევს (ხაზარაძე ე., 1948).

სამხრეთული ფეხვის სიღამპლე – *Sklerotium rolfsii Sacc.* – იმ ორგანიზმებს უნდა მივაკუთვნოთ, რომლებიც კარტოფილის კულტურის ჭკნობას იწვევენ.

ჭკნობა და ხმობა ერთდროულად მიმდინარეობს, საკმარისია 4-5 დღე, რომ დაგადებული მცენარე სრულიად გახმეს (ყანჩაველი, ლ., 1987). დაგადებული ნაწილები იფარება თეთრი, ქეჩისებრი მიცელიუმით, მათზე მოყვითალო-მოწითალო-მოყავისფრო მრგვალი სკლეროციები ვითარდება. მცენარე სწრაფად, მწვანე მდგომარეობაში ჭკნება. აგადმყოფობის გავრცელება, უმთავრესად, კერობრივია ხასიათისაა.

კარტოფილის კიბო – *Sinchithrium endobioticum* Schlb. Pers. – ყველაზე სერიოზულ ავადმყოფობად ითვლება, რომელიც პირველად აღმოაჩინეს უნგრეთში 1896წ-ს. ის საერთაშორისო საკარანტინო ობიექტია და საქართველოში, მხოლოდ ერთხელ არის აღნიშნული ლ. რებინიაშვილის მიერ (1998წ.), ლენტების რაიონში. დაავადება ხასიათდება ტუბერების ზედაპირზე დიდი, ყვავილოვანი კომბოსტოს მსგავსი წარმონაქმნით, დასაწყისში ისინი თეთრია, შემდეგ თანდათანობით იცვლის ფერს, ბოლოს კი თითქმის, მთლიანად, შავდება. იწყება ტუბერების ქსოვილების დაშლა; ლპება კორძიც და ტუბერი მთლიანად ფუჭდება. კიბოს არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია ტუბერების დაწვა, რადგანაც კიბოს გამომწვევები ნიადაგში 20-30 წელი ინახავენ თავს, უძლებენ ცხოველის კუჭში მოხვედრისას კუჭის წვენის მოქმედებასაც და ინარჩუნებენ ცხოველმყოფელობას.


12. კარტოფილის ტრაქეომიკოზური ჭკნობის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა

ტრაქეომიკოზური ჭკნობა ერთ-ერთი მეტად გავრცელებული და ზიანის მომტანია კარტოფილის კულტურისათვის. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მშრალ და ცხელ რაიონებში ხშირად ადგილი აქვს კარტოფილის ინტენსიურ ჭკნობას, რასაც გვალვისას ურწყავ ნაკვეთებზე თან სდევს მცენარეთა სრული ხმობა და მოსავლის დიდი დანაკარგები. შენახვის პირობებში, ამ დაავადებათა გამომწვევი სოკოების ინტენსიურ გავრცელებას აღნიშნავდნენ: 6. ივანიშვილი (1989), ა. ს. ვოლოვიკი (Воловик А. С., 1976), 6. ა. დოროჟკინი (Дорожкин Н. А., 1955), ს. ი. ბელსკაია (Бельская С. И., 1979), კ. ვ. პოპკოვა თანაავტორებით (Попкова К. В. и др., 1980), ლ. რებინიაშვილი (1997) და სხვანი. ჭკნობა შეინიშნება ტუბერებზე, ღეროსა და ფოთლებზე.

გამოწვეულია სოკოებითა და ბაქტერიებით, რომლებიც ხვდებიან ნიადაგიდან, მცენარის ჭურჭელ-ბოჭკოვანი გამტარ კონებში, ფესვების დაზიანებული ნაწილის მეშვეობით. ტრაქეომიკოზური ჭკნობის გამომწვევი სოკოთა მიცელიუმები ვრცელდებიან ქსილემაში, სადაც სოკო გამოყოფს ტოქსინებს, რომლებიც ხელს უწყობენ გუმისმაგვარი ნივთიერებების წარმოქმნას, რითაც ხდება ჭურჭლების დაცობა. ამ დროს, წყლის მოძრაობა წყდება, ადგილი აქვს ოსმოსური წნევის შემცირებას, ხდება მცენარის გაუწყლოება, პლაზმოლიზი და, შესაბამისად, ტურგორი მცირდება და მცენარე ჭკნება. ამ პროცესს თუ გვალვა დაემთხვა ადგილი აქვს ტურგორის უფრო მკვეთრ შემცირებას, რასაც საბოლოო ჯამში მცენარის სწრაფი დაღუპვა მოსდევს.

თავისი სიმპტომებით ბაქტერიული ჭკნობა რამდენადმე განსხვავდება ტრაქეომიკოზური ჭკნობისაგან. ჩვენი მიზანი იყო, შეგვესწავლა სოკო-ორგანიზმებით გამოწვეული ჭკნობა, რომელიც ცნობილია ტრაქეომიკოზური ჭკნობის სახელწოდებით.

ჩვენი გამოკვლევებით დადგინდა, რომ ტრაქეომიკოზური ჭკნობის გამომწვევი ორი გვარის: *Fusarium*-ისა და *Verticilium*-ის წარმომადგენელი სოკოა; ისინი პოლიფაგი სოკო-ორგანიზმებია. ეს გვარები უსრული სოკოების კლასის *Deuteromycetes* ანუ *Fungi imperfecti* – ის, პიფომეცეტების *Hiphomicetales* – ის რიგს, დემატიაცეების *Dematiaceae*-ს ოჯახს მიეკუთვნება (სურათი 2).



➤ <i>F. oxysporum</i> -1 ვარ. ➤ <i>F. solani</i> - 3 ვარ. ➤ <i>F. avenaceum</i> ➤ <i>F. culmorum</i> ➤ <i>F. sulphureum</i> ➤ <i>F. sambucinum</i> – 3 ვარ. ➤ <i>F. gibosum</i> – 1 ვარ.	<i>F. graminearum</i> <i>F. martii</i> <i>F. trichothecioides</i> <i>F. tricinatum</i> <i>F. javanicum</i> <i>F. moniliformi</i> -1 ვარ.	➤ <i>V. albo-atrum</i> ➤ <i>V. dahliae</i> <i>V. lateritium</i> <i>V. nigrescens</i> <i>V. trikoporus</i> <i>V. nubilum</i>
--	---	--

სურათი 2.

ტრექეომიკოზური ჭკნობის გამომწვევი სოკოებიდან ყველაზე მეტი გავრცელებით ხასიათდებიან Fusarium-ის გვარის წარმომადგენლები. ფუზარიოზი – ფართოდ გავრცელებული და საშიში დაავადებაა, რომელიც იწვევს მცენარეთა დაავადდებას ნებისმიერ ასაკში.

სოკოს განვითარებას ხელს უწყობს აზოტოვანი სასუქებისა და ნაკელის სიჭარბე (www.mts-agro.com). ეს სოკოც ნიადაგშია, და იჭრება მცენარეში დივიდან ან ფესვთა სისტემიდან. დაავადებას ახასიათებს კერობრივი გავრცელება. ძლიერ მიმღებიან მცენარეებში, სწრაფად ვითარდება დაავადება, 5-7 დღეში მცენარე მთლიანად იღუპება. შედარებით გამძლე ჯიშებში, დაავადებას ქრონიკული ხასიათი აქვს და კვირის განმავლობაში გრძელდება. სოკოები გამოყოფენ ფერმენტებსა და ტოქსინებს, რითაც იკვლევენ გზას ჭურჭელ-ბოჭკოვან კონებში და აავადებენ მცენარეს. დაავადებული მცენარის დეროს ჭრილის დათვალიერების დროს, შეინიშნება მუქი-რუხი ან მურა რგოლები, რომლებიც გასდევენ ჭურჭელ-ბოჭკოვან კონებს. ხდება ფუზარიოზით დაავადებული მცენარის დეროების დაწვრილება და გამუქება. მცენარეთა ვეგეტაციის ადრეულ სტადიაში

დაავადების დროს, ადგილი აქვს მცენარის წვერის ხმობას, რასაც თან სდევს მცენარის მთლიანი ჭკნობა. ამ დროს ადგილი აქვს ჭურჭელ-ბოჭკოვანი სისტემისა და სხვა ქსოვილების ინფიცირებასაც; მცენარეთა დაღუპვა ხდება მცენარეთა სასიცოცხლო ფუნქციების დარღვევის გამო, რაც გამოწვეულია ჭურჭელ-ბოჭკოვანი კონების სოკოს მიცელიუმების დაცობით და მათ მიერ გამოყოფილი ტოქსიკური ნივთიერებების (ფუზარიუმის მჟავა, ლიკომარაზმინი და ა. შ.) ზემოქმედებით, რითაც წამლავენ ქსოვილებს (www.wikipedia.org).

დაავადების გამომწვევები დიდხანს ინახებიან ნიადაგში და მცენარეულ ნარჩენებში. ინფექციის წყარო შეიძლება იყოს, აგრეთვე, სარგავი მასალაც. დაავადების სწრაფ გავრცელებას ხელს უწყობს არახელსაყრელი გარემო ფაქტორები (გაჭიანურებული გაზაფხული, ტემპერატურის, ნიადაგისა და ჰაერის ტენიანობის რყევადობა, არასაკმარისი საკვები ნივთიერებანი და ა. შ.).

დაავადება იწყება ფესვების ლპობით, დასაწყისში ლპობას ბუსუსა ფესვები იწყებენ, შემდეგ კი მთელ ფესვთა სისტემას მოიცავს; ვრცელდება ჭურჭელ-ბოჭკოვან კონებში, აღწევს ღერო-ფოთლებამდე. ჭკნობა პირველად ქვედა ფოთლებზე შეინიშნება, დანარჩენების ნაპირები წყლიანია, ხოლო ცალკეული ნაწილები აჭრელებულია უფერული-მწვანე და ლია-ყვითელი ლაქებით. ფოთლები ვერტიკალურად დაბლა ეშვება (სურათი 3). $+16^{\circ}\text{C}$ -ზე დაბალ ტემპერატურაზე დაავადებული მცენარეები სწრაფად იღუპებიან. ამ დროს, როგორც ზემოთაც აღინიშნა სოკოები გამოყოფენ ტოქსინებს, რომლებიც იწვევენ ქსოვილების მოწამვლას, დაშლას, ფესვების ლპობას, ყლორტებისა და ფოთლების გამუქება-ხმობას (Митяевы М. и А., 2007).

6. ა. ნაუმოვის მონაცემებით (Наумов Н. А., 1940). სოკოს ტოქსიკურ მოქმედებასთან ერთად ადგილი აქვს სოკოს მიცელიუმის მცენარის ჭურჭელ-ბოჭკოვან გამტარ კონებში გავრცელებას, რითაც ფერხდება

წყლისა და საკვებ სამარაგო ნივთიერებათა გადაადგილება, რაც ჭინობის უმთავრესი მიზეზი ხდება. განივ განაჭერში, ქსილემის უჯრედების გამუქება შეიმჩნევა სტოლონების ფესვებში, ტუბერებში, ღეროებში, ტოტებსა და ფოთლის ძარღვებში.


ფუზარიუმით ზიანდება, აგრეთვე, ტუბერი (სურათი 4). დაავადება ცნობილია, თეთრი და მშრალი სიდამპლის სახელწოდებით. დაავადებულ ტუბერებზე წარმოიშობა წაბლისფერი ლაქა. ფუზარიუმს ეძახიან ჭრილობის პარაზიტს, რადგან ის მხოლოდ დაზიანებულ ტუბერებზე ვითარდება. ამერიკელ მკვლევართა მონაცემებით, ტუბერების მექანიკური დაზიანების შემთხვევაში (ნაჟეჟი, ჭრილობები, ნაბეგვი და სხვა) უფრო მეტია ფუზარიუმით დაავადება, ვიდრე სხვა პათოგენებით, მათ შორის, ფიტოფტორათი. აქედან, ფუზარიუმი უფრო სწრაფად და ინტენსიურად ვითარდება დაბეჭილ ტუბერებზე. ჭრილობათა სწრაფი მოშუშება ანუ ქსოვილთა აღდგენა ხელს უშლის მის განვითარებას.

აღნიშნული დაავადების გამომწვევი *Fusarium*-ის გვარის სოკოების სხვადასხვა სახეობანი ოწვევენ მშრალ სიდამპლეს შენახვის პირობებში: *F. solani* (Mart.) App. et Wr., *F. martii* App. et Wr., *F. coeruleum* (Lib.) Sacc., *F. sambucinum* Fuck., *F. culmorum* (W. G. Am.) Sacc. ა სხვა.

დაზიანებული ტუბერები გარეგნულად ინარჩუნებენ თავის ფორმას, იმის მიუხედავად, რომ მთელი ტუბერი მუმიფიცირდება და იფარება დიდი, მშრალი ლაქებით (Волков С. М. и др., 1955). ტუბერებზე პირველი ნიშნები მდვრიე-ყავისფერი ლაქების სახით ვლინდება, რომელიც ტუბერის ეპიდერმისითაა დაფარული. დაავადებული ტუბერი მთლიანად კვდება; გამოგსებულია ფუმფულა მიცელიუმით (Болдырев В. Ф. и др., 1936).



სურათი 3. ფუზარიოზული ჭპნობა. სურათი 4. სოკო *F.oxysporum* დაავ. ტუბერი



6. ა. ნაუმოვის (Наумов Н. А., 1940) მონაცემებით, „მშრალი სიდამპლე” ხასიათდება შემდეგი სიმპტომებით: ტუბერების ზედაპირზე გამოჩნდება ამონაბურცები, მათ ნაბლისებრი ან ქეჩისებრი ზედაპირი აქვთ, რომელიც მოკრემო-მოთეთროდაა შეფერილი. ტენის ნაკლებობის პირობებში ტუბერები ნაოჭებრ-ზონალურია. ლპობა, საბოლოოდ, გადადის საღ ნაწილებზე. დაავადებული ტუბერები შრება და მუმიფიცირდება, დაბოლოს, მთლიანად გარდაიქმნება მოყვითალო-თეთრ ფხვნილისებრ მასად.

შენახვის პირობებში ფუზარიოზის მიერ გამოწვეული დანაკარგები 90 %-ს აღწევს (Болдырев В. Ф. и др., 1936). მისივე მონაცემებით, სოკო იკვებება უჯრედის პროტოპლაზმით. მშრალ პირობებში, სახამებელი მაგარ კოშტად იქცევა, ტენიანობის შემთხვევაში კი თან ერთვის სველი სიდამპლე. კარტოფილის მშრალი და სველი სიდამპლით გამოწვეული დანაკარგები, რუსეთში, შენახვის პირობებში, 20-35 %-ია (Фадук А. Л., 2004). აშშ-ის 17 შტატში ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილია, რომ დახარისხებულ

კარტოფილში ფუზარიუმის საშუალო გავრცელება 3-4 %-ს აღწევს, ცალკეულ შემთხვევებში კი ფუზარიოზის გავრცელება 5 %-ს, ზოგიერთ შტატში კი 25 %-საც შეადგენს (ბადრიშვილი გ., 1940).

ფუზარიოზული ჭკნობა გავრცელებულია შეა აზიაში, უკრაინაში, კავკასიაში, შორეულ აღმოსავლეთში, სადაც იწვევს კარტოფილის მოსავლის მნიშვნელოვან დანაკარგებს.

ტუბერთა დაზიანება ფუზარიოზით, დეკემბრიდან აპრილამდე თანდათანობით იზრდება. ბუროვისა და იანიცენის (Бурлов и Яницен, 1923-27) მონაცემებით, შენახვის დასაწყისში, დამპალი ტუბერიდან 28 % ფუზარიუმით იყო დაავადებული. თებერვალში მათ რაოდენობამ 56,3 %-მდე, ხოლო მარტსა და აპრილში – 100 %-ს მიაღწია. ასეთი ინტენსიური განვითარების შემთხვევაში ისინი საჭიროდ თვლიან, ჩატარდეს ტუბერების ზამთრის გადარჩევა.

კარტოფილის ტუბერების მშრალი სიდამპლე, განსაკუთრებით, აზიანებს საადრეო ჯიშებს.

შენახვის პირობებში, საქართველოში, კარტოფილის ფუზარიოზი ყველა სხვა დაავადებას სჭარბობს. ფუზარიოზით გამოწვეული მოსავლის დანაკარგები, საშუალოდ – 10-12 %-ს აღწევს.

ე. ა. კოსოგოროვას (Косогорова Э. А., 2002) მონაცემებით, დაავადების განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ფუზარიოზთან ერთად, მნიშვნელოვანი ზიანი მოაქვს ვერტიცილიოზურ ჭკნობას

დაავადება გავრცელებულია რუსეთის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში. დაავადების განვითარების ხელშემწყობი პირობების დადგომის დროს, ფუზარიოზულმა ჭკნობამ, შესაძლოა მოსავლიანობა 40 %-ით შეამციროს ([www. syngenta](http://www.syngenta)). ფუზარიოზული ჭკნობა ვერტიცილიოზურისაგან განირჩევა დაავადების განვითარების სისწრაფით. ამიტომ, ის ხშირად მცენარის ვეგეტაციის დასაწყისშიც გვხვდება.

სოკოები კარტოფილის ინფექციურ დაავადებათა უმთავრესი გამომწვევებია. ისინი, დიდ ზიანს აყენებენ კარტოფილს, როგორც მცენარეს მთელი გეგეტაციის პერიოდში, ასევე ტუბერებს – შენახვის დროს.

კარტოფილის დიდი დანაკარგები, შენახვის პირობებში, განპირობებულია უმეტესად *Fusarium*-ის გვარის სოკოების მიერ; მისი სახეობები ცნობილი იყო ჯერ კიდევ, წინა საუკუნეებში, როგორც კარტოფილის მშრალი სიდამპლის გამომწვევები. დღეისათვის, კიდევ უფრო, გაფართოვდა სოკოს გავრცელების არეალი და მის მიერ გამოწვეულ დაზიანებებს ვხვდებით მეკარტოფილეობის ყველა რაიონში.

ფინეთში, სიდამპლით, ტუბერების საერთო დაზიანება – 10 %-ს აღწევს, რომლის ნახევარი გამოწვეულია *Fusarium*-ის გვარის სახეობების მიერ. კარტოფილის დაზიანებული ტუბერებიდან გამოყოფილი იყო ამ გვარის 14 სახეობის სოკო: *F. solani*, *F. solani* var. *coeruleum*, *F. tricinatum*, *F. sporotrichiella*, *F. avenaceum*, *F. oxysporum* var. *redolens*, *F. acumibatum*, *F. culmorum*, *F. gramineuarum*, *F. sambucinum*, *F. sambucinum* var. *coeruleum*, *F. sulphureum*, *F. trichothecioides* (Seppänen E., 1981, 1983).

შეხვედრიანობის მეტი სიხშირით ხასიათდებოდა სოკო *F. solani* 57,2 % და *F. oxysporum* 29,2 % (Vraný J., Dobiáš K., Horácková V., 1986). ჯ. სავორის (Savor Jozef, 1985) მონაცემებით, სლოვაკეთში, ფუზარიოზული მშრალი სიდამპლე ძლიერი მავნეობით გამოირჩევა შენახვის პირობებში. ავტორთა მიერ გამოყოფილ იყო, *Fusarium*-ის გვარის შემდეგი სახეობები: *F. solani*, *F. sambucinum*, *F. lateitium*, *F. avenaceum*, *F. gramineuarum*. პოლონეთში, დაავადებული ტუბერებიდან გამოიყოფილია ამავე გვარის 16 სახეობა. მეტად გავრცელებული პათოგენი აღმოჩნდა

F. sulphureum – 55,4 %, შემდეგ, *F. avenaceum* 9,9% (Choroszewski Piotr Pawel, 1985).

კ. კაპსას (Kapsa J., 1983) მონაცემებით, კარტოფილის სიდამპლეს იწვევს *Fusarium*-ის გვარის სახეობათა კომპლექსი: *F. solani* var. *coeruleum*, *F. sulphureum*, *F.culmorum*, *F. sambucinum*. გ. ტასკასა და ბ. პლამადელას (Tasca G. H., 1983; Plamadela B., 1980) მონაცემებით კი რუმინეთში, კარტოფილის ტუბერებს შენახვის პირობებში აავადებენ *F. sambucinum*, *F. solani* var. *coeruleum*, *F. oxysporum*, *F. solani*, *F. avenaceum*-ისა და *F.culmorum*-ის სახეობები. გერმანიაში, სიდამპლის 40 % გამოწვეულია *Fusarium*-ის გვარის სახეობებით (Sahn M., 1979; Langerfeld E., 1983). ს. ლიჩის (Leach S., 1985) ცნობებით აშშ-ს მინეზოტას შტატში, კარტოფილის ტუბერებზე, შენახვის პირობებში, ხშირად ვხვდებით სოკო *F. coeruleum*-ს, გამონაკლისს წარმოადგენს *F. sambucinum*-ი, რომელიც ცნობილია, როგორც ფართოდ გავრცელებული აგრესიული პათოგენი აშშ-ს სხვა რაიონებისთვის.

ლ. ჰორნოკის (Hornok L., 1982) მიხედვით, უნგრეთში, პირველად აღმოჩენილ იქნა სოკო *F. trichothecoides* Woll. მიერ გამოწვეული მშრალი სიდამპლე.

ფუზარიოზული ჭკნობა და ტუბერის სიდამპლე აღინიშნებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე (Бордукова М. В., 1956, 1969; Попкова К. В., Воловик А. С., Шнейдер Ю. И., 1966, 1967; Шамирханян Р.Т., 1971; Воловик А. С., Шмыгля В. А., 1974; Суркова Т. А., 1978 1982, Смирнов К. С., Смирнова Г. М., 1979; Воловик А. С., Шнейдер Ю. И., 1980, 1987; Дорожкин Н. А. и др., 1984). მკვლევართა ერთი ნაწილი აღნიშნავდა, რომ მშრალი სიდამპლით გამოწვეული დანაკარგები უმეტესად 3-15%-მდე აღწევს და შეიძლება 40-50 %-საც კი მიაღწიოს (Рыкова М. М., 1975). პირველად, ფუზარიოზული სიდამპლე ბელორუსიაში, 1955 წელს აღინიშნა ,

როგორც კარტოფილის მეზად გავრცელებული დაავადება შენახვის პირობებში (Дорожкин Н. А., 1955). ნ. ვ. საბუროვა, მ. ვ. ანტონოვის (Сабурова Н. В., Антонов М. В., 1958) მონაცემებით, მოსკოვის ხილ-ბოსტნეულის საწყობებში, კარტოფილის ტუბერების დაავადებებიდან, მშრალი სიდამპლე 90 %-ს შეადგენდა. ყაზახეთში, მშრალი სიდამპლით გამოწვეული კარტოფილის დანაკარგები, ყოველწლიურად, 20-30 % შეადგენს. (Искаков Н. С., Сарбенбаев К. Б., 1980). ა. ვ. პეტუხოვი (Петухов А. В., 1986). აღნიშნავდა, რომ ბამის ზონაში, შენახვის პერიოდში, კარტოფილის დანაკარგები 25-40 %-ს აღწევს. ფუზარიოზული სიდამპლით დაავადებული ტუბერების რგვისას, აღმოცენებულ ტუბერთა რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება, ხოლო მათგან აღმოცენებულ მცენარეთა ზრდა-განვითარება შენელებულია (Адамян К. М., 1984).

ა. ი. რაილოს (Райлло А. И., 1950) მონაცემებით, სსრკ-ში კარტოფილის ტუბერებზე პარაზიტობები: *F. solani* (Mart.) App. et Wr., *F. trichotecioides* Wr., *F. Javanicum* Kootd., ხოლო ვ. ი. ბილაისა და ი. ა. ელანსკის (Билай В. И., Эланский И. А., 1977, 1978) კვლევების შედეგად, დაავადების გამომწვევებად მიჩნეულია: *F. sambucinum* Fck., *F. sambucinum* Fckl. var. minus Wr., *F. solani* (Mart.) App. et Wr., *F. solani* (Mart.) App. et Wr. var. eumartii (Carp.) Wr., *F. solani* (Mart.) App. et Wr. var. coeruleum (Lib.) Bilai, *F. merismoides* Crd., *F. solani* (Mart.) App. et Wr. var. argillaceum (Fr.) Bilai, *F. javanicum* Koord. მათგან უმთავრესია – *F. solani*, *F. solani* var. *coeruleum* და *F. sambucinum* (Городецкий В. С., 1970; Воловик А. С., 1973; Бенкен А. А. и др., 1968; Суркова Т. А., 1978).

უკრაინის ტყესტეპებში გავრცელებულია სიდამპლის გამომწვევი ფუზარიუმის შემდეგი სახეობები: *F. oxysporum* Schlecht. (Надводнюк, 1967); ხაბაროვსკის ოლქში – *F. solani* var. *eumartii*, *F. sambucinum* var. *minus*, *F.*

avenaceum (Витукеевич 1958), დასავლეთ კიმბირში – *F. moniliforme* Sheld. var. *subglutinans* Wr. et Rg., *F. sambucinum* var. *trichothecoides* (*F. trichothecoides* Wr.), *F. gibbosum* App. var. *bullatum* (Sherb.) Bilai (Белова Л. Б., Гребенюк И. Н., Иванова И. В., 1979), ბელორუსიაში – *F. sambucinum* Fckl. (Дорожкин Н. А., Михальчук В. Т., 1978).

გარდა *Fusarium*-ის სახეობებისა ტუბერების სიდამპლეს იწვევს ფომოზიც, რომლის გამომწვევებია სოკო *Phoma tracheiphila* და *Ph. solanicola*. ხშირად ადგილი აქვს შერეულ ინფექციებს: ფომოზის, ფუზარიოზის, ფიტოფტოროზის მიერ გამოწვეული ტუბერების ერთობლივ ლპობას. ზოგჯერ ადგილი აქვს ტუბერების დაზიანებას რიზოქტონიოზით, ჩვეულებრივი და ვერცხლისფერი ქეცით, ალტერნარიოზითა და სხვა.

გარდა ფუზარიოზული ჭკნობისა შეხვედრიანობის სიხშირით განოირჩევა ვერტიცილიოზური ჭკნობა (ვილტი), რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს მოსავლის სერიოზული დანაკარგები. ვერტიცილიოზური ჭკნობის გამომწვევი სოკოებია გვარი *Verticillium*-ის წარმომადგენლი სახეობები, მათ შორის ძირითადია: *V. albo-atrum* Reinke et Berth., *V. dahliae* Kleb. და *V. lateritium* Berk.

Verticillium-ის გვარის ფიტოპათოგენური სოკოები წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი სახეობებით, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან პათოგენობის ხარისხით, პატრონ მცენარის სახეობისა და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით. მათგან, უფრო მეტი პათოგენობითა და გავრცელების არეალით გამოირჩევიან *V. dahliae* და *V. albo-atrum*. ბოლო დროს, დადგენილ იქნა, კულტურულ მცენარეებს შორის ფართოდ გავრცელებული პათოგენური სოკოები *V. nigriscens* და *V. tricorpus* (Филиппов В. В., Андреев Л. Н., Базилинская Н. В., 1980).

ცნობები, გვარ *Verticillium*-ის მრავალი სახეობების პათოგენობის შესახებ განისაზღვრა ერთეული დაკვირვებების საფუძველზე, რომლის

კვლევაც შემდგომი ასწლეულების მანძილზე აღარ გაგრძელებულა და დაზუსტება არ მომხდარა (Филиппов В. В., Андреев Л. Н., Базилинская Н. В., 1978).

დაწვრილებითი ცნობები, ამ სახეობათა პათოგენობის შესახებ, მოცემული აქვთ ა. ისააკისა და დ. გრიფითსის (Isaac I., 1956; Isaac I., Griffiths D., 1962) ნაშრომებში. დადგენილა, რომ *V. dahliae*-სა და *V. albo-atrum*-ის პათოგენობა თითქმის ერთნაირია. *V. nubilum*-ისა და *V. tricorpus*-ის იზოლიანტები იწვევენ მხოლოდ ერთეულ დაზიანებებს. *V. nubilum*-ი პათოგენური იყო პამიდვრისა და კარტოფილის მიმართ, ხოლო *V. tricorpus* – მხოლოდ კარტოფილისათვის (Isaac I., 1953).

ა. ისააკისა და ჯ. ჰარისონის (Isaac I., Harrison J., 1968) მიერ, აღნიშნულია *V. albo-atrum*-ისა და *V. dahliae*-ს მაღალი პათოგენობა კარტოფილის მიმართ. დაბალი პათოგენობა გამოავლინეს *V. nigrescens* და *V. nubilum*-მა, ხოლო *V. tricorpus*-ი და *V. lateritium*-ი არ იწვევენ კარტოფილის დაავადებას.

გ. ბერკლის (Berkeley E. A., 1931) მონაცემებით, *V. albo-atrum*-ი უფრო მეტ პათოგენობას იჩენს, ვიდრე *V. dahliae* პამიდვრის, კარტოფილისა და კიტრის მცენარეებისათვის. დ. რობინსონი, რ. ლარსონი, ჯ. რობინსონი (Robinson D., Larson R., Walker J., 1957) აღნიშნავდნენ, კარტოფილის მიმართ, *V. albo-atrum*-ისა და *V. dahliae*-ს პათოგებობას.

პ. ვაგონერი (Waggoner P., 1956) აკვირდებოდა კარტოფილის ჯიშთა გამძლეობის ცვალებადობას სხვადასხვა გარემო პირობებში. მისი მოსაზრებით, ეს ცვალებადობა გაპირობებულია ნიადაგში *Verticillium*-ის უფრო პათოგენური რასების არსებობასთან. აღნიშნული რასები შესაძლოა ნიადაგში მუდმივად იყოს ან ადგილი ჰქონდეს მათ გაჩენას. შესაძლოა, ამ დაავადებისადმი მიმდებიანი კულტურები

წარმოადგენდნენ ინფექციის წყაროს ნიადაგში, და იწვევენ მცენარის გამძლე ჯიშების დაზიანებასაც (Филиппов В. В., Андреев Л. Н., Базилинская Н. В., 1978).

ჯ. რინკესა და გ. ბერთოლდის (Reinke J., Berthold G., 1879) მიერ, პირველად, იქნა აღწერილი კარტოფილის ჭკნობის გამომწვევი სოკო *V. albo-atrum*. დღევანდლამდე არ არსებობს ერთიანი მოსაზრება სახეობათა შორის ურთიერთობაზე. კარტოფილის დეროებიდან გამოყოფილ იქნა მცენარისათვის პათოგენური სოკოს რამდენიმე სახეობა. ყველა ისინი, მცენარის ხელოვნური დასენიანების შემთხვევაში, იწვევენ დაავადების დამახასიათებელ ნიშნებს. ამ სახეობებს მიეკუთვნება: *V. albo-atrum*, *V. dahliae*, *V. nigrescens* და *V. nubilum* (Попкова К. В. и др., 1980).

სოკო *V. lateritium*-ი გავრცელებულია ყველგან: ნიადაგში, წყალსატევებში, მცენარეულ და ცხოველურ ნარჩენებზე, კარტოფილზე (Попкова К. В. и др., 1980).

ლიტერატურულ წყაროებში ცნობილია სოკო *V. lateritium*-ი სხვადასხვა სინონიმით (Филиппов В. В., Андреев Л. Н., Базилинская Н. В., 1980). ვ. ვალენტას (Valenta V., 1948) მიერ, 1860 წელს დადგენილ იქნა სოკო *V. lateritium*-ისა და *Acrostalagmus cinnabarinus* იდენტურობა. მის მიერ დაზუსტებულ იქნა, რომ *V. lateritium*-ის სახელწოდების ავტორია არა ვ. ბერკლი, არამედ რაბენგორსტი. მოგვიანებით, ჯ. რინკემ და გ. ბერტოლდმა (Reinke J., Berthold G., 1879) შეისწავლეს და აღწერეს სოკო *Acrostalagmus cinnabarinus*-ს, როგორც *Verticillium cinnabarinus*-ი. ვ. ვალენტამ, *Verticillium affine*-სა და *V. ruberrinum*-ის ნიშან-თვისებათა შესწავლის შედეგად დაადასტურა მათი იდენტურობა *V. lateritium*-თან. კულტურარული ნიშნების შესწავლის საფუძველზე, ს. ჰაგესმა (Hughes

S., 1958) სოკო *V. lateritium*-ი და *V. terenum*-ი გააერთიანა და მისცა ამ უკანასკნელის სახელწოდება.

საქართველოს პირობებში, სოკო *V. lateritium*-ი გამოყოფილი იყო კიტრისა და საზამთროს რიზოსფეროდან (კოტეტიშვილი ზ., 1985). სოკო *V. lateritium* Berk., კარტოფილის ღეროზე, საქართველოში პირველად, გამოვლინებული იყო ლ. რეხვიაშვილის მიერ (2007წ.), ხოლო ტუბერებზე, შენახვის პირობებში – 6. ივანიშვილის (1989წ.) მიერ. ის ძირითადად, *Cephalosporum*-ის ტიპის ნაყოფიანობას ივითარებს.

Verticillium-ის გვარის წარმომადგენლები ნიადაგის ბინადარი სოკოებია, რომლებიც მიცელიუმებისა და ქლამიდოსპორების სახით არიან ნიადაგში (Митяевы М. и А., 2007). მათგან, უფრო ხშირად, გვხვდება *V. albo-atrum*. ისინი აზიანებენ ღეროებს, ტუბერებსა და ფოთლებს. დაზიანება ვლინდება ჭინობის სახით. დაავადებული მცენარე ყვავილობამდე ნორმალურად ვითარდება, შემდეგ ფოთლები, დაავადებულ მცენარეებზე, კიდეებიდან იწყებენ გაყვითლებას, ჩნდება ყვითელი არშიით შემოვლებული ლაქები, შემდეგ ადგილი აქვს ფოთლების ქვედა იარუსიდან ზედა მიმართულებით დახვევას. საბოლოოდ კი – ღერო ხმება. ძლიერ დაზიანებულ მცენარეებს, მხოლოდ წვერის ფოთლები რჩება მწვანე.

ცხელ ამინდებში, ფოთლები ჭინება მანამდე, სანამ დახვევას დაიწყებენ. ხანდახან, ადგილი აქვს აღმონაცენების დაზიანებას ნიადაგიდან ამოსვლამდე. ისინი იხვევიან სპირალურად და კვდებიან. სოკო მცენარეში ხვდება ფესვთა სისტემის საშუალებით ან მწერებისა და ნემატოდების მიერ დაზიანებული ადგილებიდან. მცენარეში მოხვედრის შემდეგ, სოკო ვრცელდება ქსილების კონებში, სადაც ადგილი აქვს წყლის მოძრაობასა და მასში გახსნილ საკვებ ნივთიერებათა ზემოდ, ფოთლებში გადაადგილებას. ავსებს რა მას

მიცელიუმით, მკვეთრად ეცემა ტურგორი და მცენარე, საბოლოოდ, ჭკნება (სურათი 5).



სურათი 5. ვერტიცილიოზური ჭკნობა.



სურათი 6. სოკო *V.lateritium* დააგ. ტუბერი

ტუბერებზე დაავადება თვლებიდან იჭრება, ღრმად ვრცელდება ქსოვილებზე და რუხი მტვრის მასად აქცევს მას (სურათი 6). გადადის მცენარეული ნარჩენებით, თესლითა და ნიადაგით. ნ. ა. ნაუმოვის (Наумов Н. А., 1936) მონაცემებით, დაავადების პირველ ნიშნად ითვლება დაავადებული მცენარის ტურგორის დაკარგვა, რაც უპირველესად, მცენარის ქვედა ფოთლებზე შეიმჩნევა, შემდეგ თანდათანობით მოიცავს ზედა იარუსებს. დაავადებისას, საწყის სტადიაში, ტურგორის დაცემა შეინიშნება დღისით, მოგვიანებით კი – მოელი დღის განმავლობაში.

ვერტიცილიოზი გავრცელებულია ყველგან, სადაც კი კარტოფილს აწარმოებენ გამუდმებით ერთსა და იმავე ადგილზე, მაგრამ, განსაკუთრებით, დიდ ზიანს აყენებს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთის ურწყავ ნაკვეთებს გვალვის დროს. აქ ვერტიცილიოზი 30-35 %-ით, ზოგჯერ 50 %-ით სცემს მოსავალს (ხაზარაძე ე., 1948).

ლ. რეხვიაშვილის (1997წ.) მიერ, პირველად იქნა რეგისტრირებული კარტოფილის ფესვის ყელის ვერტიცილიოზური ლპობა და მცენარეთა ვერტიცილიოზური ჭკნობა – ონისა და ლენტების რაიონებში, შემდეგ კი აღინიშნა მესტიის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და გურჯაანის რაიონებში, სადაც დაავადება გამოვლინდა ტუბერების ლპობის სახით.

ჭკნობის ინტენსიური განვითარების შედეგად, დაზიანებული ბუდნების მოსავალი, საღთან შედარებით, 40-50 %-ით მცირდება. მისი გავრცელება ზოგიერთ ჯიშზე 10 %-ს აღწევდა (ონის რაიონი), ხოლო გურჯაანის რაიონში 2003 წელს – 25-30 %-ს მიაღწია (რეხვიაშვილი ლ., 2003).

ჭკნობას ძლიერი მავნეობა მოაქვს სხვადასხვა ქვეყნების სოფლის მეურნეობისათვისაც. განსაკუთრებით, უნდა აღინიშნოს რუსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონები, რის გამოც, მოსავლის რაოდენობა 30-50 %-ით მცირდება (Болдырев В. Ф. и др., 1936). მ. ს. უტკინა (Уткина М. С., 1922-1924) მონაცემებით, სხვადასხვა ჯიშის კარტოფილი, ამ დაავადების მიმართ სხვადასხვა გამძლეობას იჩენს. ყოფილ საბჭოთა კავშირში, ვერტიცილიოზური ჭკნობის ირგვლივ, პირველ ცნობებს მ. ს. უტკინას (Уткина М. С., 1922-1924) შრომებში ვხვდებით, რომელთა დაავადების გამომწვევი აღწერა, როგორც *V. dahliae*. იგი ამ დაავადების 50 %-მდე გავრცელებას აღნიშნავს მოსკოვისა და სერპუხოვის მაზრებში. ავტორის მონაცემებით, დაზიანებული იყო არამარტო მიწისზედა ორგანოები და კარტოფილის დეროები, არამედ ტუბერთა ჭურჭლების მთელი სისტემა.

ლ. რეხვიაშვილის მიერ, 2007 წელს, გამოვლინებული იყო ჯიშ ფელისიტასის ტუბერების 2 %-ის დაზიანება ვერტიცილიოზით. დაავადებულ ქსოვილებში, დასაწყისში, ბადესავით იყო განფენილი ჟანგისფერი ლაქები, თვით ტუბერი კი გარეგნულად სრულიად საღად

გამოიყურებოდა, რადგან დარღვეული არ იყო უჯრედების გარსი და რბილობის კონსისტენცია. ორ კვირაში დაავადება მოედო მთელ ქსოვილებს და ტუბერი მთლიანად სპორების მასად იქცა.

ჩვენს მიერ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში აღინიშნა *Fusarium*-ისა და *Verticillium*-ის გვარის სოკოებით გამოწვეული დაზიანება კარტოფილის ნარგავებში (სურათი 7.1 და 7.2).



სურათი 7.1. ჭენობის გავრცელება ერთგულ მცენარეები.



სურათი 7.2. ჭენობის გავრც. ნარგაობაში.

თავი II.

კვლევის მეთოდები

Fusarium-ისა და Verticilium-ის მიერ გამოწვეული ტრაქეომიკოზური ჰკნობა და მისი სიმპტომები ზუსტდებოდა ბუნებრივ და ხელოვნურ პირობებში დაავადებულ ნიმუშებზე – დაავადების პირველი ნიშნებისა და მათი შემდგომი ცვლილებებზე დაკვირვებით.

აგადმყოფობის გავრცელება-განვითარება აღირიცხებოდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (ახალქალაქი, ნინოწმინდა, ადიგენი, ასპინძა, ახალციხე, ბორჯომი). კვლევის ობიექტს წარმოადგენდა კარტოფილი და მისი დაავადებული ნიმუშებიდან გამოყოფილი ტრაქეომიკოზური ჰკნობის გამომწვევი სოკოები. აღრიცხვები ტარდებოდა სხვადასხვა დროს ინტროდიცირებულ ჯიშებზე.

დაავადებათა გავრცელება ანუ შეხვედრიანობის სიხშირე განისაზღვრა საღი და დაავადებული მცენარეების აღრიცხვით, ВИЗР მეთოდიკით (1972). ნიმუშების აღება ხდებოდა ნაკვეთის ტეხილ ანუ კიბისებრ დიაგონალზე, ათ-ათ ადგილას, ათ-ათ მცენარეზე, ჯიშების მიხედვით. თითოეული ჯიშის ნაკვეთზე აღვრიცხავდით მცენარეთა საერთო და ჰკნობით დაავადებულთა რაოდენობას. აღრიცხებულ მცენარეთა საერთო რაოდენობასა და დაავადების გავრცელების ინტენსივობას ვითვლიდით ყოველ ჯიშსა და ნაკვეთზე. მცენარეთა დაავადება აღირიცხებოდა 5 ბალიანი შკალით. გავრცელებას ვანგარიშობთ ფორმულით:

$$P = n/N \times 100\% , \quad \text{სადაც}$$

P – გავრცელების პროცენტი;

n – დაავადებული მცენარეების რაოდენობა;

N – აღრიცხებულ მცენარეთა საერთო რაოდენობა

დაავადებათა სიმპტომები, მათი განვითარების დინამიკა ისწავლებოდა სისტემატური დაკვირვებებით, როგორც ბუნებრივ ასევე ხელოვნური დასენიანების პირობებში.

დაავადებათა განვითარების ინტენსივობა განისაზღვრა ფორმულით:

$$R = \frac{\sum a(b)}{KN} * 100\% , \text{ სადაც}$$

R - დაავადებათა განვითარების ინტენსივობაა %-ში;

a - დაავადებულ მცენარეთა რაოდენობა;

b - დაავადების შესატყვისი ბალი;

Σ - a და b-ს წარმოებულთა ჯამია;

K - შეკვეთის უმაღლესი ბალი;

N - აღრიცხული მცენარეების საერთო რაოდენობა.

ნათესების გამოკვლევები ხდებოდა 5 ბალიანი შეკვეთი, კარტოფილის ყვავილობისას. კარტოფილის ნათესების საერთო მდგომარეობა ითვლება კარგად, თუ მცენარეები კარგადაა განვითარებული და ავადმყოფობის გავრცელება 10%-ს არ აღემატება. თუ დაავადებულ მცენარეთა რაოდენობა 25%-ს შეადგენს, საშუალოს, ხოლო სუსტად განვითარებულ მცენარეთა და დაავადების გავრცელების უფრო მაღალი მაჩვენებელია – ცუდს.

ჯიშთა მდგომარეობის ზუსტი შეფასებისათვის აუცილებელია აღირიცხოს ათ-ათ ადგილას 10-10 მცენარე ჯიშების მიხედვით. კვლევის შედეგები იანგარიშება გამოკვლეული მცენარეთა დაავადების გავრცელების საშუალო არითმეტიკულით.

კარტოფილის ჭკნობის მიზეზების დასადგენად დაავადებულ მცენარეთა ნიმუშების გამოკვლევა ხდებოდა ლაბორატორიაში, სადაც მიმდინარეობდა მათი ვიზუალური დათვალიერება, ანატომიური ჭრილების და ნაყოფიანობის მიკროსკოპული გამოკვლევა, საკვებ

არეზე გადათესვა და თერმოსტატში 22^0 - 25^0 С ტემპერატურაზე
მოთავსება წმინდა კულტურების გამოსაყოფად, მათი გვარობრივი და
სახეობრივი იდენტიფიკაციის მიზნით.

დაავადების გავრცელება სათებლე კარტოფილის ტუბერებზე
ტარდებოდა ტუბერების ანალიზის მეთოდით (Чумаков А. Е. и др., 1974;
Попкова К. В. и др., 1980).

იმისათვის, რომ შეგვესწავლა კარტოფილის ჯიშების ტუბერების
საშუალო დაზიანების ხარისხი, გროვების 10 სხვადასხვა სიღრმისა და
ადგილიდან ვიღებდით 10-10 ტუბერს და ხდებოდა მათი გამოკვლევა,
როგორც ზედაპირული, ისე ანატომიური ჭრილების დათვალიერებით.

ცალკეული ბუდნიდან ირჩეოდა საღი და დაავადებული
ტუბერები. ხდებოდა ტუბერების დეტალური დათვალიერება.
დაავადებული ტუბერების რაოდენობას ვსაზღვრავდით პროცენტებში,
საღი და დაავადებული ტუბერების ურთიერთშეფარდებით. ტუბერის
ფარული და ვიზუალურად თვალსაჩინო დაავადების გავრცელების
განსაზღვრისათვის 100 ტუბერი იჭრებოდა. დაავადების გავრცელება-
განვითარების ინტენსივობა გამოიანგარიშებოდა იმავე ფორმულებით.

სოკოს მორფოლოგიური ნიშნები ისწავლებოდა სხვადასხვა
ჯიშის დამჭკნარი კარტოფილის ქსოვილებისა და მასზე
განვითარებული სოკოს ნაყოფიანობის მიკროსკოპული ანალიზით.
დაკვირვება წარმოებდა, აგრეთვე, დაავადებულ მცენარეებიდან
გამოყოფილ წმინდა კულტურებზე. მათი სისტემატური ანალიზითა და
ვანტიგემის კამერებში სპორების გაღივებასა და მის შემდგომ
განვითარებაზე დაკვირვებით. ზუსტდებოდა ტრაქეომიკოზური
სოკოების მორფოლოგიური ნიშნები და მათი ცვალებადობა,
ოპტიმალური ტემპერატურის პირობებში.

ჩვენს მიერ სოკოს მორფოლოგიური ნიშნების შესწავლის
მიზნით გამოყენებული „ვანტიგემის“ კამერები მზადდებოდა შემდეგი

წესით: ვიღებთ სასაგნე მინას, ვასუფთავებთ სპირტით, მოვავლებთ სპირტნათურის ალზე, ვდებთ მასზე, გასუფთავებული სინჯარის გადანაჭერს, ფუძეზე ირგვლივ ვყრით პარაფინის ნამცეცებს, ვაჩერებთ სპირტნათურის ალზე. მისი დადნობის შემდეგ, სასაგნე მინა და სინჯარის გადანაჭერი ეპვრის ერთმანეთს; იქმნება პატარა აუზი. მინის გადანაჭერს ვუსვამთ ზემოდან ვაზელინს, მასში ვასხამთ მცირე რაოდენობის წყალს (1-2 მლ.), ნოტიო გარემოს შესაქმნელად. ვიღებთ საფარ მინას, ვასუფთავებთ და ცენტრში გაწვეთებთ გამდნარ საკვებ არეს, აგარიზებული ლუდის ტკბილის 1 წვეთს. მასზე გადაგვაქვს 6-8 დღიანი კულტურისგან დამზადებული სპოროვანი სუსპენზია, ერთეული სპორებით. ვდებთ პატარა ავზზე, წყლისაკენ მიმართულს, სინოტივისათვის. ვაზელინწასმულ კამერას ვდგამთ სუფთა პეტრის ავზში, ვათავსებდით თერმოსტატში და ვაწარმოებთ სისტემატურ დაკვირვებას სოკოს ზრდა-განვითარებაზე.

პირველი ორი დღის განმავლობაში, დაკვირვებას ვაწარმოებდით ყოველ ორ საათში, ხოლო მომდევნო დღეებში 8სთ-ში ერთხელ (10-12 დღე). ყურადღება ექცეოდა სპორების გაღივებას, მიცელიუმის წარმოქმნას, მის თავისებურებებს, ნაყოფიანობის განვითარებასა და სხვა.

სოკოების პათოგენობის, ინფექციის გზებისა და საინკუბაციო პერიოდის ხანგრძლივობის შესწავლა ხდებოდა კარტოფილის სხვადასხვა ჯიშის მცენარის ხელოვნური დასენიანების გზით. ინოკულაცია ხდებოდა 20 დღიანი სოკოების კულტურებიდან აღებული ინოკულუმით და სპოროვანი სუსპენზიით, მექანიკურად დაზიანებულ და დაუზიანებელ ქსოვილებში ინოკულუმის შეტანითა და წმინდა კულტურების სპოროვანი სუსპენზიის შესხურებით მცენარეთა დეროფოთლებზე.

დასენიანებისათვის განკუთვნილი მცენარის ორგანოები წინასწარ იყო იზოლირებული დოლბანდის ორი ფენის ტომრებით. სპოროვან სუსპენზიას ვასხურებდით, ენტომოლოგიური ნემსით, ქსოვილების მექანიკურად დაზიანების შემდეგ და მექანიკური დაზიანების გარეშე. სპოროვანი სუსპენზიით შესხურებული მცენარეების ნაწილებს ვფარავდით სველი ბამბით და ვათავსებდით პოლიეთილენის პარკებში 24 სთ-ის განმავლობაში, სადაც მოთავსებული იყო სველი ბამბა, ტენიანი გარემოს შესაქმნელად. ორგანოთა ხელოვნური დასენიანება ხდებოდა, აგრეთვე, სოკოს 20 დღიანი სუფთა კულტურებიდან აღებული ინოკულუმის მოთავსებით სტერილური ლანცეტით მიყენებულ ჭრილობაში და დაუზიანებელი ორგანოებისა და ინოკულუმის მექანიკური კონტაქტით. რის შემდეგაც ამ ადგილებს ვფარავდით სველი ბამბით და ვახვევდით 24 სთ-ის განმავლობაში პოლიეთილენის ნაჭრებით და ვათავსებდით სველ ბამბიან პოლიეთილენის პარკებში. საკონტროლოდ, იმავე სახით დაზიანებულ და დაუზიანებელ ორგანოებს, სპოროვანი სუსპენზიის ნაცვლად, ვასხურებდით სუფთა წყალს. ინოკულუმის მაგიერ სუფთა აგარს ვდებდით. 24 საათის შემდეგ, როგორც ინოკულირებულ, ისე საკონტროლო ორგანოებს ვხსნიდით პოლიეთილენის პარკებსა და ბამბის სახვევებს, ვაკვირდებოდით ავადმყოფობის ნიშნების პირველ გამოჩენებს და მის შემდგომ განვითარებას. ცდები ჩატარდა 3-3 განმეორებით.

ქსოვილება
მიმდინარე
პათოლოგიურ
ცვლილებებს

ვაკვირდებოდით დერო-ფოთლებისა და ტუბერების ანატომიურ ჭრილებზე დაკვირვებით, დროებითი პრეპარატების დამზადების მეთოდით. სამართებლით აღებული პათოგენური ქსოვილების თხელ ანათალებს, შეუდებავებს, ვათავსებდით სასაგნე მინებზე, ვაწვეთებდით წყლის ან გლიცერინის, სპირტისა და წყლის 1:1:1 ნაზავი ხსნარის 1-1

წვეთს, გაფარებდით საფარ მინებს. მათი დათვალიერება-შესწავლისათვის ვიყენებდით მიკროსკოპული ანალიზის მეთოდს (*X120, X600*).

სხვადასხვა საკვები არის გავლენას სოკოების ზრდა-განვითარებაზე და მისი მორფოლოგიური ნიშნების ცვალებადობაზე კერავლობდით სხვადასხვა საკვებ არეებზე, პეტრის თასებსა და სინჯარებში სოკოს სუფთა კულტურების გადათესვით. საკვებ არეებად გამოყენებული გვქონდა ლუდ-აგარი, კარტოფილის აგარი გლუკოზითა და უგლუკოზოდ, ლობიოს, ბრინჯის, შვრიის, სიმინდის ნახარშთა აგარიზებული საკვები არეები 10% გლუკოზით. ცდა ტარდებოდა 22-25°C ტემპერატურაზე (ოპტიმალური), სამი განმეორებით. ჩათესვის მეორე დღიდან წარმოებდა დაკვირვება კულტურალურ ნიშნებზე და მათ ცვალებადობაზე, ხდებოდა განვითარებული კოლონიების ბიომეტრიული ანალიზი და მათ პიგმენტაციაზე დაკვირვება, პეტრის თასებში 3-3 განმეორებით. მიკროსკოპული ანალიზისათვის ვიყენებდით სინჯარებში გადათესილ კულტურებს.

სოკოების მოქმედების მექანიზმის შესწავლისა და მათ მორფოლოგიურ-კულტურალურ ნიშნების გავლენაზე დაკვირვების მიზნით ვიყენებდით ნახშირბადისა და აზოტის შემცველ წყაროებს. ექსპერიმენტი ტარდებოდა ვ. ლილისა და გ. ბარნეტის (Лилли В., Барнетт Г., 1953) მეთოდით. საკვებად გამოყენებული იყო ჩაპეკის არე, რომალსაც ემატებოდა სხვადასხვა ნახშირბადოვანი წყარო, კერძოდ, მონოსაქარიდებიდან – გლუკოზა, არაბინოზა, ფრუქტოზა; დისაქარიდებიდან – მალტოზა, ლაქტოზა და საქაროზა; პოლისაქარიდებიდან – სახამებელი. აზოტოვანი წყაროებიდან გამოყენებული იქნა NaNO_3 , NH_4NO_3 , $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$, ასპარაგინი. კონტროლად აღებული გვქონდა ჩაპეკის არე, ნახშირწყალბადებისა

(შაქრების გავლენის შესწავლისათვის) და აზოტის (აზოტოვანი წყაროების გავლენის შესწავლისათვის) გარეშე.

ცდის განმავლობაში ვაკვირდებოდით სოკოს ზრდა-განვითარების ხასიათს: ზრდის დასაწყისს, ნაყოფიანობის წარმოქმნის პერიოდსა და ზრდის ინტენსივობას.

აღნიშნულ საკვებ არეზე 20-42 დღის განმავლობაში 25^0C ტემპერატურის პირობებში განვითარებული წმინდა გულტურები გაფილტვრის შემდეგ, მუდმივ წონამდე დაგვყავდა. მიღებული მშრალი მიცელიუმების მოსავლის მიხედვით ვადგენდით ტრაქეომიკოზური სოკოებისათვის ნახშირწყალბადის საუკეთესო წყაროს, რომლიდანაც ისინი უკეთ ითვისებდნენ მათ. სოკოს ზრდა-განვითარებაზე აზოტოვანი წყაროების გავლენა დგინდებოდა იგივე მეთოდით.

ტემპერატურული ზღვრების განსაზღვრის მიზნით, ვაკვირდებოდით სხვადასხვა ტემპერატურაზე სპორების გაღივების ინტენსივობას, რისთვისაც ვიყენებდით „ლია წვეთის“ მეთოდს (Наумов Н. А., 1937). ამ მიზნით, წინასწარ შემოწმებულ სიცოცხლისუნარიან სპორების სუსპენზიას ვაწვეთებდით სასაგნე მინებზე და ნოტიო კამერებით (პეტრის თასები) ვათავსებდით პოლიტერმოსტატში სხვადასხვა ტემპერატურაზე (0^0 , 5^0 , 10^0 , 20^0 , 25^0 , 30^0 , 32^0 , 35^0 , 37^0 , 38^0 , 40^0C). გაღივებული სპორების რაოდენობას ვრიცხავდით ყოველ ორ საათში ერთხელ. ცდა ჩატარდა სამი განმეორებით. ცდის ბოლოს, თითოეულ ტემპერატურაზე გაღივებული სპორების რაოდენობის მიხედვით, ვადგენდით გაღივებისათვის ოპტიმალურ, მინიმალურ და მაქსიმალურ ტემპერატურებს.

სოკოს ზრდა-განვითარების ხასიათსა და მორფოლოგიური ნიშნების ცვალებადობას ვსწავლობდით პეტრის თასებში და სინჯარებში. პეტრის თასებში, კოლონიის განვითარების შემდეგ, მის დიამეტერს ვზომავდით ყოველ მეორე დღეს. სოკოს ნაყოფიანობის

წარმოშობა ისაზღვრებოდა სინჯარებში განვითარებული კულტურების ყოველდღიური მიკროსკოპული ანალიზით, სხვადასხვა ტემპერატურის პირობებში.

სპორების გაღივებაზე სხვადასხვა ფარდობით ტენიანობის შესწავლის მიზნით, სხვადასხვა ტენიან გარემოს ვქმნიდით, გოგირდმჟავას სხვადასხვა კონცენტრაციის ხსნარებით, ექსიკატორებში, ი. კოჟანჩიკოვ (Кожанчиков И. В., 1937) მეთოდით. ამ გზით შექმნილ სხვადასხვა ფართობითი ტენიანობის პირობებში ვათავსებდით სოკოების მშრალ სპორებს საკონტროლოდ, სპორებს წყლის წვეთში ვაღივებდით. ცდა ჩატარდა სამი განმეორებით.

ტენიანობის გავლენა სპორების ცხოველმყოფელობაზე, ისწავლებოდა მშრალი სპორების მოთავსებით სხვადასხვა ტენიანობაზე, სხვადასხვა ხანგრძლივობით. სპორების ცხოველმყოფელობის შემოწმება ხდებოდა მისოვების ოპტიმალურ ტემპერატურაზე 24-25°C, სამი განმეორებით.

სოკოს ზრდა-განვითარებაზე ტემპერატურის ზემოქმედება ისწავლებოდა სხვადასხვა ტემპერატურაზე მოთავსებულ ლუდ-აგარის არეზე განვითარებული ერთი ხნოვანების კოლონიებზე დაკვირვებით. პეტრის თასებში სისტემატური დაკვირვება ხდებოდა კოლონიის ზრდის ინტენსივობაზე, ფერზე და ნაყოფიანობის წარმოქმნაზე. ცდები სამი განმეორებით ჩატარდა.

სოკოს ზრდა-განვითარებაზე ტენიანობის გავლენა შევისწავლეთ მ. ეზ-ელდინისა და მ. შარაბაშის (Ezz-Eldin M., Sharabash M., 1959) მეთოდებით. ცდისათვის ვიყენებდით ერთნაირი ზომის პეტრის თასის ნახევრებს. ერთ ნახევარში ვასხამდით 1,5% ლუდ-აგარის საკვებ არეს, რომლის გამყარების შემდეგ გადმობრუნებული პეტრის თასის მეორე ნახევარში ვასხამდით სხვადასხვა კონცენტრაციის (9,2; 7,2; 4,8; 2,4%) ქიმიურად სუფთა სუფრის მარილის წყალხსნას. ვხურავდით პეტრის

თასებს და ვაკუუმური გამოყენებით 48 სთ-ის განმავლობაში, რომლის დროსაც, მათში იქმნებოდა, შესაბამისად, 80%, 85%, 90%, 95% ჰაერის ფარდობითი ტენიანობა. 100%-იანი ტენიანობის განსაზღვრისათვის გამოყენებული იყო გამოხდილი წყალი. ინოკულაციის გადათესვის შემდეგ, პეტრის თასში არსებული საკვები არის ზედაპირზე, თასის ნახევრებს ჰერმენტულად ვხურავდით ლეიკოპლასტირის გამოყენებით და ვათავსებდით თერმოსტატში 25°C ტემპერატურის პირობებში. ცდები სამ-სამი განმეორებით ჩატარდა. მიცელიუმის ზრდა-განვითარებაზე დაკვირვება იწყებოდა 24-48 სთ-ის შემდეგ და ტარდებოდა ყოველ მეორე დღეს.

საკვები არის წყალბადიონთა კონცენტრაციის გავლენის შესწავლა სოკოების ზრდა-განვითარებაზე, ხდებოდა ვ. ლილისა და გ. ბარნეტის (В.Лилли, Г.Барнетт, 1953) მეთოდით. რისთვისაც წინასწარ მზადდებოდა სხვადასხვა pH-ის მქონე ხსნარები და ითესებოდა 15 დღიანი კულტურებიდან აღებული ინოკულაციი. საცდელად აღებული იყო 2,5; 3,6; 4,6; 5,6; 6,5; 7,6; 8,7; 8,9; 10,4 pH-ის მქონე ხსნარები. სხვადასხვა pH-ის შესაქმნელად ვიყენებდით ლუდის ტკბილის 1 : 1 განზაგებულ ხსნარს, რომელსაც ვამატებთ სხვადასხვა რაოდებობის მარილმჟავასა (HCl) და კალიუმის ტუტის (KOH) დეცინორმალურ ხსნარებს. ზემოთაღნიშნული pH-ის მქონე ხსნარები 50-50 მლ-ის ოდენობით ისხმებოდა 100 მლ-იან ერლენ მეიერის კოლბებში, რომელთა გამდინარე ორთქლზე გასტერილების შემდეგ ითესებოდა სოკოს 15 დღიანი კულტურიდან აღებული ინოკულაციი; მათ ვათავსებდით თერმოსტატში 25°C ტემპერატურაზე. ცდები ჩატარდა 3-5 განმეორებით. დაკვირვება სოკოების ზრდა-განვითარებაზე ხდებოდა ვიზუალურად. 20 დღის შემდეგ, კულტურები იფილტრებოდა წინასწარ მუდმივ წონამდე დაყვანილ ფილტრის ქაღალდებზე, ვათავსებდით საშრობ კარადაში და დაგვყავდა მუდმივ წონამდე, ვადგენდით მშრალი

მიცელიუმის წონას. ყოველ თითოეულ ვარიანტში ვანგარიშობდით მიღებული მიცელიუმის მშრალი წონის საშუალო არითმეტიკულს.

სოკოების ტოქსიკურობას ვსწავლობდით ჩაპეკის თხევად საკვებ არეზე მათი კულტირივირებით. კულტურარული ფილტრატის ტოქსიკურობის განსაზღვრას ვაწარმოებდით ათდღიანი ინტერვალით. ბიონდიკატორად გამოყენებული იყო სოკო *Coniothyrium*-ის სპორები. კონტროლად ვიყენებდით ჩაპეკის ხენარსა და სტერილურ წყალს.

სოკოს ცელულოზური ფერმენტები ისაზღვრებოდა ა. ა. იმშენეცკის (Имшенецкий А.А., 1958) მეთოდით. ამ მიზნით, სოკოს კულტირება ხდებოდა ჩაპეკის თხევად არეზე, რომელიც მოთავსებული იყო 100 მლ-იან ერლენ-მეიერის კოლბებში, 40-40 მლ-ის ოდენობით. ცდა ჩატარდა სამჯერადი განმეორებით, სადაც ცელულოზის წყაროს წარმოადგენდა მუდმივ წონამდე დაყვანილი ფილტრის ქაღალდი, რომელიც იკეცებოდა სამჯერ და ვათავსებდით ჩაპეკის არეში, რომლის სამჯერადი სტერილიზაციის შემდეგ გამდინარე ორთქლზე, ითესებოდა სპოროვანი სუსპენზია. საკონტროლო კოლბებში სუფთა ჩაპეკის ხენარი იყო ფილტრის ქაღალდის გარეშე. ცდა გრძელდებოდა 80 დღე, 24-25°C ტემპერატურის პირობებში.

ჯიშთა გამძლეობის მაჩვენებლების დასაღვენად, საღსა და დაავადებულ გამძლე და მიმღებიან ჯიშებში ვაკვირდებოდით სასიცოცხლო პროცესებში მიმდინარე ცვლილებებს. ისაზღვრებოდა, კატალაზასა და ჰეროქსიდაზას აქტივობა, ვიტამინ „C”-ს შემცველობა. წარმოებდა ფერმენტა აქტივობისა და ვიტამინ „C”-ს შემცველობის განსაზღვრა ღერო-ფოთლებსა და ტუბერებში, სხვადასხვა სიძლიერით დაავადების დროს.

ვიტამინ „C”-ს შემცველობა ისწავლებოდა პროკოშევის (Васильева З.В., Кирилова Г.А., 1968) იოდომეტრული მეთოდით, კატალაზა –

გაზიმეტრული მეთოდით (Ермаков А. И. и др., 1952) ვსაზღვრავდით, პერიქსიდაზას – ბახისა და ზბარსკის (Белозерский А.Н., Поскуряков Н.И., 1980) მეთოდით.

ტრაქეომიკოზური ჭკნობის მიმართ ბრძოლის ღონისძიებათა დასაზუსტებლად იცდებოდა ფუნგიციდები და ბიოაქტიური ნაერთები. ჯერ ლაბორატორიის, ხოლო შემდეგ, მინდვრის პირობებში, კარტოფილის სხვადასხვა ჯიშზე.

სარგავი მასალა, შენახვის წინ მუშავდებოდა ფუნგიციდ „მაქსიმის” 0,5%-იანი ხსნარით, ხოლო უშუალო დარგვის წინ, ტრაქეომიკოზური ჭკნობის მიერ შესაძლო გამოწვეული ზარალის შემცირების მიზნით, ჩვენს მიერ, ხდებოდა სარგავი კარტოფილის ორი კვირით ადრე გამოტანა საწყობებიდან, მოთავსება $14\text{--}18^0$ -ზე, ლატენტური ინფექციების გამომჟღავნებისა და გამორჩევის გამო. გარდა ამისა, სარგავ კარტოფილს ვათავსებდით მზის გულზე, რგვის წინ; რადგან ამ დროს ტუბერებში წარმოიქმნება სოლანინი, რაც მათ ინფექციებისაგან იცავს.

რადგანაც ჭკნობის გამოწვევი სოკოები ნიადაგის ბინადარია და მათი განვითარება ქსოვილების შიგნით მიმდინარეობს, მათ წინააღმდეგ ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სისტემური მოქმედების პრეპარატებს და იმ პრეპარატებს, რომლებიც უშუალოდ მიკრო ორგანიზმებზე კი არ მოქმედებენ, არამედ წარმოადგენენ მძლავრ იმუნიზატორებს, რითაც ხელს უშლიან ამ დაავადების გავრცელება-განვითარებას.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ეკოლოგიურად სუფთა ბიოაქტიურ ნაერთებს. მათგან, განსაკუთრებით, კარგი შედეგი აქვს მიღებული, აღნიშნულ დაავადებათა მიმართ, სამამულო ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატ „ლილეს” (რეხვიაშვილი ლ., 1985), რის გამოც, ჩვენს მიერ, გამოყენებული იყო პრეპარატ

„ლილებს” 2 %-იანი ხსნარი, რითაც მუშავდებოდა კარტოფილის თესლი 30 წთ-ის ექსპოზიციით, უშუალოდ, თესვის წინ, ხოლო ამ პრეპარატის 3 %-იანი ხსნარით ხდებოდა კარტოფილის აღმონაცენთა ფესვგარეშე (შესხურებით) და ფესქეშა გამოკვება (მორწყვით).

შევისწავლეთ ბიოპრეპარატ „ლილებს” მოქმედების მეორე ვარიანტი. თესლის დამუშავება ხდებოდა, აღნიშნული პრეპარატის 2 და 3 %-იანი ხსნარებით. ისევ 30 წთ-ის ექსპოზიციით, უშუალოდ, თესვის წინ. მცენარეთა აღმოცენებისთანავე ნათესებზე შესხურებული იყო იმავე კონცენტრაციის ხსნარები ანუ ხდებოდა ფესვისგარე გამოკვება, რომლის პარალელურად ვახდენდით, შესაბამისი კონცენტრაციის ხსნარებით მცენარეთა რწყვას (ფესვისქვეშა გამოკვება). მთელი ვეგეტაციის განმავლობაში ვაწარმოებდით აღრიცხვებს ტრაქეომიკოზური ჭკნობის გავრცელება-განვითარების შესწავლის მიზნით. აღნიშნული პრეპარატის მოსავლიანობაზე გავლენის დასაზუსტებლად, აღირიცხებოდა აღებული მოსავლის რაოდენობა და ფრაქციათა შედგენილობა.

დადგენილ იქნა პრეპარატ „ლილებს” როლი მოხავლის რაოდენობრივ-ხარისხობრივ მაჩვენებელზე. ცდა ჩატარებული იქნა სამი წლის მანძილზე და, საბოლოო, შედეგები დადგენილ იქნა მიღებულ სიდიდეთა საშუალო არითმეტიკულით.

ჩვენს მიერ, უშუალოდ, თესვის წინ, სარგავი მასალა გადაირჩეოდა და მუშავდებოდა 0,5%-იანი „მონცერენით” ან 0,5%-იანი „პრესტიჟით” (კოლორადოს ხოჭოების გავრცელების კერებში) და ხელატური ტიპის, ბიოაქტიური ნაერთი – „ლილეს” 2-3%-იანი ხსნარებით, ამ უკანასკნელთ, ვიყენებდით კარტოფილის პათოგენური ორგანიზმების მიერ გამოწვეულ დაავადებათა მიმართ, გამძლეობის გაზრდის მიზნით.

გარდა სარგავი მასალის დამუშავებისა „ლილეთი” და ფუნგიციდებით, საგეგეტაციო პერიოდში ხდებოდა მცენარეთა დამუშავება „ლილეს” 2-3%-იანი ხსნარებით, კონტაქტურ-სისტემური ფუნგიციდ „რიდომილ გოლდი მც” (0,5%) და კონტაქტურ ფუნგიციდ „სპილენბის ქლორეანგის” 0,5%-იანი ხსნარებით.

ცდები ჩატარდა რამდენიმე ჯიშზე 3-3 განმეორებით, ბიომეტრიული ანალიზები მიმდინარეობდა მთელი ვეგეტაციის განმავლობაში და ცდის ბოლოს. აღირიცხებოდა დაავადებათა განვითარების ინტენსივობა, მოსავლის რაოდენობა და ხარისხი.

ჩვენს მიერ ცდები ჩატარდა სხვადასხვა ვარიანტებით:

1. სარგავი მასალის დამუშავება ხდებოდა „ლილეს” 3%-იანი ხსნარით, მიმდინარეობდა ამავე კონცენტრაციის სითხით მცენარეთა ოთხჯერადი წამლობა, აღმოცენებიდან ყოველ 10-12 დღის შემდეგ და, ამ წამლობათა პარალელურად 2-ჯერ, მოხდა მცენარეთა, იმავე ხსნარით, გამოკვება (რწყვა).
2. სარგავი მასალა მუშავდებოდა ფუნგიციდი „მონცერენის” 0,5%-იანი სითხით და ხდებოდა „ლილეს” 3%-იანი ხსნარით ოთხჯერადი წამლობა, აღმოცენებიდან ყოველ 10-12 დღის შემდეგ.
3. ხდებოდა დაუმუშავებელი სარგავი მასალის აღმონაცენების ორჯერადი წამლობა, ვეგეტაციის პირველ პერიოდში.

მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ისაზღვრებოდა ბიოლოგიური ეფექტურობა პროცენტებში, ვერტიცილიოზისა და ფუზარიოზის შემთხვევებში.

ჩვენს მიერ გატარებული ბრძოლის ღონისძიებები გამიზნული იყო მოსავლის რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლების გაზრდასა და დაავადებათა გავრცელება-განვითარების ინტენსივობის შემცირებაზე. ამ მიზნით, ცდები ჩატარდა სხვადასხვა ვარიანტში. შევისწავლიდით

სარგავი მასალის დამუშავების, ფესვგარეშე გამოკვებისა და წამლობათა პროგნოზულ ვადებში ჩატარების გავლენა მოსავალზე:

1. სარგავი მასალა მუშავდებოდა „ლილეს” 2%-იანი ხსნარით, ამავე ხსნარით ხდებოდა აღმონაცენთა ოთხჯერადი წამლობა და ორი გამოკვება.
2. ხდებოდა დაუმუშავებელი სარგავი მასალის აღმონაცენთა ორი წამლობა: „რიდომილ გოლდი მც-ს” 0,5%-იანი და „სპილენბის ქლორჟანგის” 0,5%-იანი ხსნარებით.
3. „ლილე” 2%-იანი ხსნარით დამუშავებული სარგავი მასალის აღმონაცენთა სამჯერადი წამლობა ამავე ხსნარით.
4. „ლილე” 2%-იანი ხსნარით დამუშავებული სარგავი მასალის აღმონაცენთა ოთხი წამლობა, ამავე ხსნარით.
5. „ლილე” 2%-იანი ხსნარით დამუშავებული სარგავი მასალის აღმონაცენთა ხუთი წამლობა, ამავე ხსნარით, ფენოფაზების მიხედვით.

ჭკნობის გამომწვევი სოკოები ვრცელდებიან მცენარეთა გამტარ კონებში, იწვევენ მცენარეთა ინტენსიურ ჭკნობას. ეს, ერთის მხრივ, გამოწვეულია მათ მიერ გამოყოფილი ტოქსინების ზემოქმედებით, მეორე მხრივ კი – წყლის დეფიციტის მავნე ზეგავლენით. ამიტომ, გარდა აღნიშნული ღონისძიებისა, ჩვენს მიერ გამოყენებული იყო კარტოფილის ნათესების მულჩირება სუბალპური თივით. მულჩი ერთ მხრივ, ხელს შეუწყობდა ტენის შენარჩუნებას ნიადაგში, განაპირობებდა ნივთიერებათა ნორმალურ ცვლას მცენარეულ ორგანიზმებში და დაიცავდა მათ წყლის დეფიციტით გამოწვეული მავნე ზემოქმედებისაგან. მეორე მხრივ, კი მისი ფიტონციდური აქტივობის ზეგავლენა შეამცირებდა სოკოების პათოგენურ ზემოქმედებას. ჩვენს მიერ, კარტოფილის ნაკვეთის მულჩირება ხდებოდა პირველი თოხნის შემდეგ. მულჩად გამოყენებული იყო თივა,

რომელიც, ძირითადად, ველურად მოზარდი სუბალპური მარცვლოვანი მცენარეებისაგან შედგებოდა და შეგროვილი იყო მთის საძოვრებზე. მულჩირების შემდეგ სისტემატური დაკვირვება მიმდინარეობდა მცენარეთ ზრდა-განვითარებაზე, მათზე დაავადებათა პირველი გამოჩენასა და შემდგომ განვითარებაზე. მცენარეთა დაავადებების გავრცელება-განვითარების ინტენსივობა აღირიცხებოდა ვეგეტაციის შუა პერიოდში (ივლისის III დეკადა) და ცდის ბოლოს (ВИЗР-ის მეთოდიკით). მცენარეთა ბიომეტრიული ანალიზები და მოსავლის რაოდენობის განსაზღვრა ხდებოდა სავეგეტაციო პერიოდში და ცდის ბოლოს, მოსავლის აღებისას.

ცდები ჩატარდა სხვადასხვა ვარიანტებში, თითოეულ ვარიანტში სამ-სამი განმეორებით. თითო განმეორებაში აღირიცხებოდა 10-10 მცენარე, ჯიშების მიხედვით. მიღებული შედეგები დამუშავდა ვარიაციული სტატისტიკის წილადობრივი მეთოდით (Рокицкий П.Ф., 1961; Доспехов Б.А., 1965).

მულჩად გამოყენებული თვის ფიტონციდური აქტივობის განსაზღვრა ხდებოდა თივის ექსტრაქტში დამზადებულ სპოროვან სუსპენზიაზე დაკვირვებით, გადივებული სპორების რაოდენობისა და ლივის განვითარების სიძლიერის მიხედვით. ბიო-ინდიკატორად ვიყენებდით *Fusarium oxysporum*-ის 15 დღიან კულტურას. სპოროვანი სუსპენზია 2 – 24 სთ-ის განმავლობაში თავსდებოდა თერმოსტატში 25⁰ ტემპერატურაზე (კონტროლად ვიყენებდით ონკანის წყალს).

მულჩად გამოყენებულ მცენარეთა ფიტონციდურ აქტივობაზე დაკვირვება ხდებოდა მეორე მეთოდის გამოყენებითაც. ამ მცენარეთა გამონაწურის ვანტიგემის კამერაში მოთავსებით („დაკიდული წვეთის“ მეთოდით) და სპორების გაღივების ინტენსივობაზე დაკვირვებით. საკონტროლო ვარიანტში, ვანტიგემის კამერაში, ვასხამდით ონკანის წყალს.

III თავი

კარტოფილის ტრაქეომიკოზური ჭრნობის გამომწვევი სოკოების სახეობრივი შემადგენლობა და გავრცელება სამცხე-ჯავახეთში
3.1. ტრაქეომიკოზური ჭრნობის მავნეობა და გავრცელება სამცხე-
ჯავახეთში

სამცხე-ჯავახეთი სამხრეთ საქართველოში მდებარეობს. სამცხეს მიაკუთვნებენ: ასპინძის, ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებს. მართალია, ბორჯომი ადგილმდებარეობის მიხედვით ზემო ქართლის ტერიტორიაზეა ვიწრო ხეობის სახით, მაგრამ გაერთიანებულია სამცხეში. ჯავახეთის ტერიტორია მოიცავს ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებს.

წყაროებში ჯავახეთი (ზაბახა) პირველად ძვ. წ. 785 წელს იხსენიება ურარტუს მეფის არგიშთი I-ის წარწერაში, როგორც დაპყრობილი მხარე. უძველესი დროიდან ჯავახეთი ქართლის სამეფოს ერთ-ერთი საერისთავო იყო.

სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიის ნაწილი ჯავახეთის ზეგანზე მდებარეობს, რომელიც ვულკანური წარმოშობისაა და ადგილ-ადგილ გავრცელებულია ტბიური ნალექები. რელიეფში გაბატონებულია 1500-2200 მეტრი სიმაღლის აზიდული ვაკეები, რომლებიც გართულებულია ტბიანი და ჭაობიანი ტაფობ ქვაბულებითა და მდინარეთა კანიონისებრთა ხეობებით.

ჯავახეთის ზეგანს თრიალეთის ქედი ჰყოფს, სადაც ბორჯომის რაიონი მდებარეობს. მთიან სამცხე-თრიალეთში გავრცელებულია ყავისფერი, ტყის ყომრალი, ეწერი და მთა-მდელოს ნიადაგები. ყავისფერი ნიადაგები გვხვდება ახალციხის ქვაბულის კალთებზე; ტყის ყომრალ ნიადაგს დიდი ფართობი უკავია ბორჯომისა და ბაკურიანის მიდამოებში.

ჯავახეთის მთიანეთის გაშლილი მინდვრები მთის შავმიწა და მთა-მდელოს ნიადაგებით ხასიათდება.

ჰავა გარდამავალია, ზომიერად ნოტიოდან მთიანეთის მშრალ კლიმატზე. ზაფხული მშრალი და ცხელია, ზამთარი თოვლიანი და ცივი იცის. საშუალო წლიური ტემპერატურა $4-6^{\circ} \text{C}$ -ია, იანვარი $-5 -10^{\circ} \text{C}$, ივლისი $15-16^{\circ} \text{C}$, აბსოლუტური მინიმუმი $-34 -41^{\circ} \text{C}$, აბსოლუტური მაქსიმუმი $30-35^{\circ} \text{C}$, ნალექები 600-750 მმ. წელიწადში. გავრცელებულია სტეპური მცენარეულობა.

ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვებით: „ახალ-ციხე ქალაქი, ჰავით არს მშვენიერი, ზამთარი ცივი და თოვლიანი, ზაფხული არა ეგ-ოდენ ცხელი. გარემოს ქალაქისა წალკოტნი, ვენახნი და ხილნი მრავალნი“; „სამცხე, შიგნით მზიანი, გორიანი, ღრანტოიანი, ხევიან-კლდიანი, მაგარი მთაბართა სიახლოვთა, ვენახნი, ხილიანი მრავლად“.

სამცხე-ჯავახეთი მაღალმთიანი ადგილებისათვის, აუცილებელია, საადრეო, ყინვაგამძლე ჯიშების შერჩევა, ასევე როგორც მეკარტოფილების ძველი რაიონი, საჭიროა შეირჩეს უმთავრესი აგადმყოფობებისადმი გამძლე ჯიშები.

თუ უცხოეთიდან სუპერ ელიტის, ელიტის ან პირველი რეპროდუქციის სარგავი მასალის საშუალება არა გვაქვს და ვიყენებთ ადგილობრივ თესლს, საჭიროა ადგილები მაინც ვუცვალოთ, რადგან ახალ ტერიტორიაზე გადატანისას ეს კულტურა უკეთეს მოსავალს იძლევა. შეძლებისდაგვარად დავიცვათ თესლბრუნვა და კულტურათა მორიგეობა. საუკეთესო წინამორბედია მარცვლეული კულტურები.

დაავადებები უარყოფითად მოქმედებს მცენარის ზრდა-განვითარებაზე, სათესლე ტუბერების აღმოცენებასა და გაღივების უნარზე, რაც იწვევს კარტოფილის მოსავლის საგრძნობ შემცირებასა და მისი ხარისხის გაუარესებას, რის გამოც კარგავს სასაქონლო დირებულებას.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში კარტოფილის დაავადებებიდან, უმთავრესად, გავრცელებულია: ფიტოფტოროზი, რიზოქტონიოზი, ჭკნობა, ფომოზი, ალტერნარიოზი-მაკროსპოროზი, ჩვეულებრივი, ფხვიერი და ვერცხლისფერი ქეცი, რგოლური და სველი სიდამპლეები, კარტოფილის შავფეხა, ვირუსული, ვიროიდიული და ფიტოპლაზმური დაავადებანი.

სხვა დაავადებათა შორის, სამცხე-ჯავახეთის ურწყავ ნაკვეთებზე, ხშირად ინტენსიურად ვითარდება ჭკნობა, რის გამოც, მიზნად დაგისახეთ, დაგვეღგინა კარტოფილის ჭკნობის გამომწვევი პათოგენური სოკოები, მოგვეხდინა მათი იდენტიფიკაცია და დაგვეზუსტებინა ყოველი მათგანის ხვედრითი წილი კარტოფილის ჭკნობის პათოგენებში და დაგვესახა მათ წინააღმდეგ ბრძოლის რადიკალური დონისძიებები.

კვლევითი სამუშაობი, აღნიშნული დაავადების გავრცელება-განვითარების შესწავლის მიზნით, ჩატარდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ლაბორატორიული ექსპერიმენტები ლ. ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ფიტოპათოლოგიის განყოფილებასა და საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გამოკვლევის შედეგად ჩვენს მიერ გამოვლენილი იქნა მცენარეთა ტრაქეომიკოზური ჭკნობის გამომწვევი სოკოების 2 გვარი: Fusarium-ი და Verticilium-ი. აღინიშნა, აგრეთვე, მცენარის ჭკნობა სხვა დაავადებების შედეგადაც.



როგორც აღვნიშნეთ, მარშუტული გამოკვლევები მიმდინარეობდა ბორჯომის, ასპინძის, ახალციხის, ადიგენის, ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში, იგლისი-აგვისტო-სექტემბრის თვეებში.

პირველი გამოკვლევის პერიოდში დაავადებები, ვიზუალურად, შეინიშნებოდა ერთეულ მცენარეებზე. დაავადების ინტენსიური

განვითარება აღინიშნებოდა აგვისტოდან. ვეგეტაციის ბოლოს – აღირიცხებოდა მოსავლის რაოდენობა და ხარისხი.



დაავადებული მცენარეები ყვავილობამდე ნორმალურად ვითარდებოდა, შემდეგ კი შეინიშნებოდა ჯერ ცალკეული ფოთლების, ხოლო შემდეგ მთელი ღეროს ჭკნობა. დაავადების საწყის ეტაპზე, ფოთლის ფირფიტაზე, დაწყებული კიდეებიდან, აღინიშნებოდა მოყვითალო არშიამოვლებული მუქი ლაქები. ხშირად ადგილი ჰქონდა დაავადებულ მცენარეთა უეცარ ჭკნობას. ფოთლები გახმობას იწყებდნენ ერთი მეორეს მიყოლებით, რასაც თან სდევდა ღეროს ხმობაც. ტუბერებზე *Verticillium*-ი თვლებიდან იჭრება, ღრმად ვრცელდება ქსოვილებში და რუხი მტვრის მასად აქცვეს მას. *Fusarium*-ის წარმომადგენლები ტუბერებზე წარმოქმნიან წაბლისფერ ლაქებს. საინფექციო საწყისი ინახება მცენარეული ნარჩენებში, სარგავ მასალასა და ნიადაგში.

კარტოფილის პათოგენური ღეროს განივი ჭრილის მიკროსკოპული ანალიზისას, აღინიშნება ჭურჭელ-ბოჭკოვანი კონების გამოვსება მიცელიუმით (სურათი 8.1, 8.2).



სურათი 8.1, 8.2 კარტოფილის პათოგენური ღეროს განივი ჭრილი (მიცელიუმებით გამოვსებული ჭურჭელ-ბოჭკოვანი კონები).

სიგრძივ განაჭერში აღინიშნებოდა გამუქებული ჭურჭელ-ბოჭკოვანი კონები მუქი ხაზების სახით, ხოლო განივ განაჭერში – წრიულად განწყობილი მიცელიუმით გამოვსებული ჭურჭელ-ბოჭკოვანი კონათა რგოლები (სურათი 9.1, 9.2). ჭკნობის ინტენსიური განვითარების შედეგად დაზიანებული ბუდნების მოსავალი, ჯიშების მიხედვით, საღორი შედარებით 30-50%-ით და ზოგჯერ მეტადაც მცირდება.



სურათი 9.1, 9.2 კარტოფილის პათოგენური დეროს განივი ჭრილი (წრიულად განწყობილი მიცელიუმით გამოვსებული ჭურჭელ-ბოჭკოვანი კონათა რგოლები).

პათოლოგიური ქსოვილების ლუდ-აგარის საკვებ არეზე გადათესვისას ვითარდება ოდნავ მოჭუჭყიანო კრემისფერი კოლონიები, რომლის კონიდიათმტარები რგოლური დატოტვით ხასიათდება.

ყველა მორფოლოგიური ნიშნის მიხედვით იდენტიფიცირებული იქნა: *V. albo-atrum* Reinke, *V. dahliae* Kleb. და *V. lateritium* Berk.

პათოლოგიური ქსოვილების ზოგიერთი ნაწილების გადატანით ლუდ-აგარის საკვებ არეზე ვითარდებოდა მოვარდისფრო კოლონია. განვითარებულ კოლონიის მიკროსკოპული ანალიზისას აღინიშნებოდა ნახევარმთვარისებრი ელიფსური ფორმის ან ოდნავ მოხრილი მიკრო და მაკრო კონიდიუმები, რაც ფუზარიუმისათვისაა დამახასიათებელი, გამოყოფილი სოკოების იდენტიფიცირებით დადგინდა, რომ ეს

სახეობებია: *Fusarium oxysporum*-o (Schlecht) Shyd-et Hans. და *F. solani*-o (Mart. App. Et Wr.), მათი შეხვედრიანობა თითქმის თანაბარი იყო.

ჩვენს მიერ გამოვლინებული სოკოებით გამოწვეული ტრაქეომიკოზური ჭკნობის გავრცელება-განვითარების ინტენსივობა განსხვავებულია სხვადასხვა მიკროკლიმატურ უბნებსა და მუნიციპალიტეტებში, აგრეთვე კარტოფილის სხვადასხვა ჯიშებში.

დაავადებათა გავრცელება-განვითარების ინტენსივობა სხვადასხვა ჯიშის კარტოფილის მიმართ განსხვავებულია. შედარებით გამძლეა პიკასო, კოსმოსი და სანტე და მეტად მიმდებიანი აგრია და მარაბელი.

ამრიგად, ჩვენს მიერ, კარტოფილის დაავადებული ნიმუშებიდან გამოყოფილი იქნა გვარ *Verticillium* - ის სამი სახეობა *V. albo-atrum*, *V. dahliae* და *V. lateritium*. *Fusarium* - ის გვარიდან სოკო *F. oxysporum* და *F. solani*. გამოყოფილი კულტურების მიკროსკოპული ანალიზითა და შეხვედრიანობით საშუალება მოგვეცა მოგვეხდინა *Verticillium*-ითა და *Fusarium* - ით გამოწვეული დაავადებულ მცენარეთა გავრცელების განსაზღვრა %-ში, მუნიციპალიტეტებისა და ჯიშების მიხედვით. (ცხრილი 1, დიაგრამა 1; 2).

როგორც, ცხრილი 1-დან და დიაგრამა 1 და 2-დან ჩანს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ვერტიცილიოზური ჭკნობა უფრო ნაკლებად დაფიქსირდა ვიდრე ფუზარიოზული. ვერტიცილიოზური ჭკნობა უფრო მაღალი აღმოჩნდა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სადაც მისმა გავრცელებამ საშუალოდ 6% შეადგინა, ხოლო ასპინძის მუნიციპალიტეტში – ფუზარიოზული, სადაც ამ დაავადების გავრცელება საშუალოდ 8% იყო, რაც განაპირობა განსხვავებულმა კლიმატურმა პირობებმა. ჯიშების მიხედვით შედარებით გამძლეა პიკასო, რომელშიც ტრაქეომიკოზური ჭკნობის გავრცელების საშუალო პროცენტია 2,8. მეტად მიმდებიანია ჯიში-აგრია, სადაც ფუზარიოზული


და ვერტიცილიოზური ჭკნობის გავრცელების საშუალო პროცენტი 9,2-ია (ცხრილი 1 და დიაგრამა 1, 2).

ცხრილი 1

ვერტიცილიოზური და ფუზარიოზული ჭკნობის გავრცელების პროცენტი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (2008 – 2010წწ.)


		დაავადებათა გავრცელების პროცენტი კარტოფილის სხვადასხვა ჯიშები						
მუნიციპალიტეტი		ჯიში	მარაბელი	პიპასო	აგრია	სანტე	კოსმოსი	საშუალო
ახალციხე	<i>V. albo-atrum, V. dahlliae, V.lateritium</i>	6	2	8	5	2	4,6	
	<i>F. oxysporum F.solani</i>	9	3	11	5	3	6,2	
ასპინძა	<i>V. albo-atrum V. dahlliae, V.lateritium</i>	7	4	10	4	3	5,6	
	<i>F. oxysporum F.solani</i>	13	3	12	7	5	8	
ადგიური	<i>V. albo-atrum V. Dahlliae,V.lateritium</i>	7	3	8	4	2	4,8	
	<i>F. oxysporum F.solani</i>	8	3	10	6	4	6,2	
ახალქალაქი	<i>V. albo-atrum V. dahlliae,V.lateritium,</i>	5	2	8	4	2	4,2	
	<i>F. oxysporum F.solani</i>	6	3	8	3	3	4,6	
ნინოწმინდა	<i>V. albo-atrum V. dahlliae, V.lateritium</i>	7	3	10	7	3	6	
	<i>F. oxysporum F.solani</i>	10	3	11	6	4	6,8	
ბორჯომი	<i>V. albo-atrum V. dahlliae, V.lateritium</i>	3	2	5	3	2	3	
	<i>F. oxysporum F.solani</i>	7	3	9	4	2	5	

დაავადებათა (*V. albo-atrum*, *V. dahlliae*, *V.lateritium*) გავრცელების პროცენტი
კარტოფილის სხვადასხვა ჯიშზე



დიაგრამა 1

**დაავადებათა (*F. oxysporum*, *F. solani*) გავრცელების პროცენტი კარტოფილის
სხვადასხვა ჯიშზე**



დიაგრამა 2

ცხრილი 2

კარტოფილის ტრაქეომიკოზური ჭკნობის გავრცელება-განვითარების ინტენსივობა, მარტინ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (2008–2010წწ.)

პორჯომი ნინო წმინდა	ასპინძი ასპინძა	ასპინძი ასპინძა	ასპინძი ასპინძა	ასპინძი ასპინძა	ასპინძი ასპინძა	ჭკნობის გავრცელება-განვითარების ინტენსივობა, %										
						კარტოფილის სხვადასხვა ჯიშებზე										
						მარაბელი		პიკასო		აგრია		სანტე		კოსმოსი		საშუალო
გავრცელება	განვითარება	გავრცელება	განვითარება	გავრცელება	განვითარება	გავრცელება	განვითარება	გავრცელება	განვითარება	გავრცელება	განვითარება	გავრცელება	განვითარება	გავრცელება	გავრცელება	განვითარება
შუბარიოზი+ გერტიცილიოზი	15	8	5	2	19	9	10	5	5	2,5	10,8	5,3				
შუბარიოზი+ გერტიცილიოზი	20	10	7	4	22	12	11	6	8	4	13,6	7,0				
შუბარიოზი+ გერტიცილიოზი	15	8	6	3	18	9	10	5	6	3	11	5,6				
შუბარიოზი+ გერტიცილიოზი	11	5,5	5	2,5	16	8	7	3,5	5	3	8,8	4,5				
შუბარიოზი+ გერტიცილიოზი	17	8,5	6	3	21	10,5	13	6,5	7	3,5	12,8	6,4				
შუბარიოზი+ გერტიცილიოზი	10	5	5	2,5	14	7	7	3,5	4	3	8	4,0				

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, ჭკნობა ყველაზე მეტად აღინიშნა ასპინძაში, ფუზარიოზულმა და ვერტიცილიოზურმა ჭკნობის გავრცელებამ შეადგინა 13,6%, შედარებით ნაკლები მაჩვენებელია

ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ფუზარიოზული და ვერტიცილიოზური ჭკნობის გავრცელება – 8,0%-ს აღწევდა. შესაბამისი იყო დაავადების განვითარების ინტენსივობაც, ე. ი. უფრო ინტენსიურად განვითარდა დაავადებები ასპინძის მუნიციპალიტეტში, სადაც ფუზარიოზული და ვერტიცილიოზური ჭკნობათა განვითარების ინტენსივობა 7,0%-ს აღწევდა; ბორჯომის მუნიციპალიტეტში – ფუზარიოზული და ვერტიცილიოზური ჭკნობის განვითარების ინტენსივობა, შედარებით ნაკლები აღმოჩნდა და შეადგინა – 4,0%.

ამრიგად, ჩატარებული კვლევის შედეგად დადგენილია კარტოფილის ტრაქეომიკოზური ჭკნობის ინტენსიური გავრცელება-განვითარება სამცხე-ჯავახეთის პირობებში.

იდენტიფიცირებულია ტრაქეომიკოზური ჭკნობის გამომწვევი სოკოები: *Verticilium*-ის გვარის სახეობა – *Verticilium albo-atrum* და *V. Dahliae*, *V.lateritium* და *Fusarium*-ის გვარის სახეობები: *F. oxysporum*-ი და *F. solani*. კარტოფილის სხვადასხვა ჯიში სხვადასხვა გამძლეობას იჩენს ჭურჭელ-ბოჭკოვანი ჭკნობის მიმართ. გამოვლენილია შედარებით გამძლე ჯიშები – პიკასო და სანტე და მიმღებიანი ჯიში – აგრია.

კარტოფილის ჭურჭელ-ბოჭკოვანი ჭკნობის გავრცელება-განვითარების სხვადასხვა ინტენსივობას განაპირობებდა კარტოფილის მწარმოებელი მუნიციპალიტეტებისა და უბნების მიკროკლიმატური პირობები და წარმოებულ ჯიშთა თავისებურება.

3.2. ტრაქეომიკოზური ჭკნობის გამომწვევი სოკოების სახეობრივი შემადგენლობა და კულტურალური ნიშნების შესწავლა

კარტოფილის ჭკნობის ეთიოლოგიის შესწავლისა და პათოგენთა გვარობრივი და სახეობრივი იდენტიფიკაციისათვის ხდებოდა მათი გადათესვა ლუდაგარის საკვებ არეზე, რომელიც მზადდებოდა ლუდის ტკბილის, გამოხდილი წყლისა და აგარ-აგარისაგან. საკვების არის

ნეიტრალური საციისათვის pH – 6-7-მდე, ვიყენებდით საჭმელი სოდის (NaHCO_3) წყალს სნარს.

ლუდ-აგარზე გადათესილი კულტურები სინჯარებით თავსდებოდა თერმოსტატში 25^0 ტემპერატურაზე.

პათოლოგიური ქსოვილების ზოგიერთი ნაწილის გადატანით ლუდ-აგარის საკვებ არეზე, ვითარდება უფერო ან მოვარდისფრო კოლონიები, რომლის კონიდიები ერთ ან მრავალუჯრედიანია. ფუზარიუმის გვარობრივი და სახეობრივი იდენტიფიკაცია სარკვევების გამოყენებით მოხდა (Билай В. И., 1977).

მიკრო და მაკრო კონიდიუმები – ნახევრადმთვარისებურია, ელიფსური ფორმისა, რაც სოკო Fusarium-ისათვის არის დამახასიათებელი. მისი იდენტიფიკაციის შედეგად გამოიყო აღნიშნული გვარის ორი სახეობა: *F. oxysporum*-ი და *F. solani*.

Fusarium oxysporum Schl. სპორები ნამგლისებურად მოხრილი ფორმით ხასიათდება, 3-4 ტიხრით, $27 - 46 \times 3 - 5$ მკმ ზომის. *Fusarium solani* (Mart.) App. Et. Wr – (Литвинов М. А., , 1967; Билай В. И., 1977; Пидопличко Н. М., 1977; Лугаускас А. Ю., Михульскене А. И., Шляужене Д. Ю., 1987) გამოყოფილია ტუბერების ფხვიერი მასიდან და მის ზედაპირზე არსებული ლია-მოვარდისფრო ბალიშებიდან. ტუბერების სიღრმე ამოვსებულია ჰაეროვანი მიცელიუმით. შეფერილი ბალიშები შედგება ნახევარმთვარისებირი სპორებისაგან 1-5 ტიხრით ან წვრილი, უტიხრო ელიფსური მიკროკონიდიებისაგან. სპორების ზომა $20 - 40 \times 4,3 - 5$ მკმ-ია, გვხვდება $20 - 60 \times 4 - 7$ მკმ ზომის კონიდიუმებიც.

დაავადებულ ტუბერებზე აღინიშნება წაბლისფერი რბილი ლაქა. მშრალად შენახვის პირობებში კანი ლაქაზე კონცენტრული წრეების სახით ნაოჭდება. გაჭრილ ტუბერებზე ლაქების ქვეშ მოჩანს დამპალი ქსოვილი სიღრუვით, რომელიც სოკოს ძაფებით არის დაქსელილი. დაავადებული ტუბერი მთლიანად ლპება და გამოვსებულია

მოვარდისფრო ფუმფულა მიცელიუმით, ამ მასის გადატანით, სტერილური ნემსის მეშვეობით, საკვებ არეზე განვითარდა კოლონია, რომლის მიკროსკოპული ანალიზისას აღინიშნა ნახევრადმოვარისებრი ელიფსური ფორმის ან ოდნავ მოხრილი მიკრო და მაკრო კონიდიუმები (სურათები 10.1, 10.2).

ფუზარიუმები ქმნიან მოპირისფრო ფიფქს, რაც მის ნაყოფიანობას წარმოადგენს.



სურ. 10.1 სოკო *F. oxysporum* მიკრო და მაკრო კონიდიუმები (X120).



სურ. 10.2 სოკო *F. oxysporum* (X600).

1. სოკოს მიცელიუმი;
2. სოკოს სპორები.

პათოლოგიური ქსოვილის ლუდ-აგარის საკვებ არეზე გადათესვისას, ვერტიცილიოზით დაავადების შემთხვევაში, განვითარდა ოდნავ მოჭუჭყიანო კრემისფერი კოლონიები, ნაზი ფიფქით, რომელზეც ვითარდებოდა კონიდიათმტარები და მათზე რგოლურად განწყობილი სტერიგმები. კოლონიები მოთეთროა და ძნელად შესამჩნევი, მაგრამ მიკროსკოპში იოლად შეიმჩნეოდა. კონიდიათმტარების რგოლურად განწყობილ სტერიგმებზე თავაკადაა შეკრული ერთუჯრედიანი კონიდიოსპორები, კვერცხისებრ-ელიფსური ფორმის, რომელიც უფეროა, შემდეგ კი ყავისფერდება. დამჭკნარი მცენარეებიდან წმინდა კულტურების ანალიზით, მათი მორფოლოგიურ-

კულტურალური ნიშნების შესწავლით იდენტიფიცირებული იყო
Verticilium-ის გვარის სამი სახეობა.

Verticillium albo-atrum Reinke et Berth. – რომელიც ლუდ-აგარზე მორჟეო-მოჭუჭყიანო ფერის კოლონიის სახით ვითარდება. აღმამდგომ კონიდიათმტარებზე რგოლურადაა განწყობილი სტერიგმები, რომლებზედაც თავაკად შეკრული წვრილი, ერთუჯრედიანი კვერცხისებრ-მოგრძო სპორები ვითარდება ($3,5 - 10,5 \times 2 - 4$ მკმ, გვხვდება $5 - 12 \times 3$ მკმ ზომისაც).


Verticillium dahliae Kleb. კოლონიებში აღინიშნა მომწვანო-მოყავისფრო პიგმენტაცია, რაც მიკროსკლეროციუმების განვითარებით იყო გამოწვეული. კონიდიუმების ზომები $16 - 35 \times 1 - 2,5$ მკმ-ია და თავაკებად არის შეკრული. ვხვდებით, აგრეთვე, $4 - 6 \times 2,3$ მკმ ზომისასაც.

Verticillium lateritium Berkeley (Литвинов М. А., 1967; Лугаускас А. Ю., Михульскене А. И., Шляужене Д. Ю., 1987), ჩვენს მიერ, გამოყოფილია ტუბერიდან და დამჭკნარი მცენარეებიდან.

დაზიანებული ტუბერები დანაოჭებულია, დასაწყისში თეთრია, შემდეგ შიგნით სიცარიელეებით, რომლის ზედაპირი დაფარულია ბამბისებრი მოყავისფრო-მოაგურისფრო მიცელიუმით. მიცელიუმები დატოტვილია, დასაწყისში თეთრი, შემდეგ მოაგურისფრო-წითელი. კონიდიათმტარები სწორმდგომია, 200 მკმ სიგრძის, რგოლურად განწყობილი სტერიგმებით, რომელთა რაოდენობა 4-6-ია, წაგრძელებული. სტერიგმები – ფიალიდები, სოლისებრი ან მოგრძო ბოთლისებრია, $7,5 - 15$ (29) $\times 2,5 - 3,4$ მკმ. კონიდიები ელიფსურია ან გაჭიმულ-ელიფსური, ბოლოებზე მომრგვალებული, ხანდახან ცილინდრული, უსწორმასწორო გვერდებით, მრავალრიცხვანი, ლია-აგურისფერ-წითელი. ლორწოვანი მასით თავაკებადაა შეკრულია, ისინი აგურისფერია (სურათები 11.1, 11.2).



სურათი 11.1 სოკო *V. lateritium* (X1350).



სურათი 11.2 სოკო *V. lateritium* (X600).

1. კონიდიათმტარები;
2. სოკოს სპორები.

ვერტიცილიოზურ ჭკნობას ხელს უწყობს ზაფხულის თვეების მშრალი და ცხელი ამინდები. ნ. ა. ნაუმოვის (Наумов Н. А., 1937) მონაცემებით, ვერტიცილიოზი უფრო სწრაფად ვრცელდება და აღინიშნება ქვიშნარი და მსუბუქი ნიადაგებისათვის, ვიდრე მძიმე თიხნარი ნიადაგებისათვის.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, კარტოფილზე, ჩვენს მიერ გამოვლინებული სოკოებიდან, შეხვედრიანობის სიხშირითა და მეტი მავნეობით გამოირჩეოდა სოკოები: *Fusarium oxysporum* Schl. და *Verticillium lateritium* Berk.

3.3. ლატენტური დაავადებები და მისი როლი ინფექციის შენახვაში

ტრაქეომიკოზური ჭკნობის გავრცელება-განვითარების ინტენსივობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია ინფექციის წყარო და მისი გადაზამთრების გზები. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო ფარული ინფექციები, რომლებიც ინახებიან ტუბერში, ვიზუალურად შეუმჩნეველია, მიჰყვებიან სარგავ მასალას და იწვევენ ტრაქეომიკოზური ჭკნობის ინტენსიურ განვითარებას მინდვრად. აქედან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ, შეგვესწავლა ჭკნობის დაავადებათა

ფარული ფორმები, რომელიც ლოკალიზებული იყო ტუბერების სიღრმეში და ვიზუალურად არ შეიმჩნეოდა, მოგვეხდინა გამომწვეთა სახეობრივი იდენტიფიკაცია და დაგვეზუსტებინა მათი როლი კარტოფილის ნარგაობათა გამეჩერებაში და დაავადებათა გავრცელება-განვითარების ინტეგრირებაში. მიზანი განპირობებული იყო იმითაც, რომ ჩვენს მიერ მიმდინარე კვლევების პირობებში, ახლად შემოტანილ ინტროდუცირებულ ჯიშთა ნარგაობებში, ხშირად, ადგილი ჰქონდა აღმონაცენთა გამეჩერებას.

ჩვენს მიერ გამოკვლეული იყო ფერმერის მიერ შემოტანილი, სარგავად გამიზნული, სხვადასხვა ჯიში: დეზირე, კარატოპი, კოლეტე, მარაბელი და პიკასო.

თესვის წინ, ჩვენს მიერ, ხდებოდა მეწარმის მიერ გადარჩეული სარგავი ტუბერების განაჭერის დათვალიერება. კეთდებოდა ყოველი ჯიშის 10-10 ტუბერის სიგრძივი განაჭერი 10-10 განმეორებაში. პათოლოგიური ქსოვილები გადაგვქონდა ლუდ-აგარის საკვებ არეზე, წმინდა კულტურების გამოსაყოფად. ხდებოდა ყოველი პათოგენური ორგანიზმის ხვედრითი წილის განსაზღვრა საკვლევ მასალაში და მოსალოდნელ დაავადებათა გავრცელება-განვითარების პროგნოზი, ნაკვეთის მიკროკლიმატის თავისებურებების გათვალისწინებით.

გარეგნულად საღი ტუბერები ითესებოდა ღია გრუნტში და ხდებოდა სისტემატური მონიტორინგი მათ აღმონაცენებზე.


დაავადების გავრცელება-განვითარების ინტენსივობა ისაზღვრებოდა ВИЗР მეთოდიკით (1972). მონაცენთა დამაჯერებლობის შეფასება ხდებოდა ვარიაციული სტატისტიკის წილადობრივი მეთოდით (Рокицкий П.Ф., 1961; Доспехов Б.А., 1965).

საკონტროლოდ გამოყენებული იყო, თესვის წინ, ორი კვირით ადრე, 14-18⁰-ზე მოთავსებული სარგავი მასალიდან ხელახლა

გადარჩეული თესლის ნარგავები და სამეურნეო კონტროლი (მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კერძო ფერმერთა ნარგავები).

ჩატარებული ექსპერიმენტებით დადგენილია, რომ სარგავ ტუბერთა ლატენტური ინფექციების 7-18% ფუზარიოზსა და ვერტიცილიოზზე მოდის, ხოლო 10-17% სხვა დანარჩენ დაავადებებზე მოდის, ხშირად ადგილი ჰქონდა შერეულ ინფექციებსაც, მონაცემები მოტანილია ცხრილი 3-ში. ლატენტური ინფექციის უმეტესობაში ინფექცია სტოლონების მიმაგრების ადგილიდან იყო შეჭრილი. ადგილი ჰქონდა, აგრეთვე, თვლებიდან ინფექციის შეჭრასაც. ზოგჯერ, ინფექციის შეჭრას ადგილი ჰქონდა მექანიკურად დაზიანებული ადგილებიდანაც. მათი გადაფარვა ახლად წარმოქმნილი ეპიდერმისით ხდებოდა; ინფექცია კი ღრმად იჭრებოდა და ლოკალიზდებოდა ტუბერის ცენტრალურ ნაწილში.

დაავადებათა ლატენტური ფორმები, ხშირად შერეული ინფექციის სახითაა წარმოდგენილი და პათოლოგიური ქსოვილების ლუდ-აგარის საკვებ არეზე გადათესვისას, რამდენიმე პათოგენური ორგანიზმის გამოყოფას ჰქონდა ადგილი. ტუბერის ცენტრალურ ნაწილში, ზოგჯერ ერთდროულად იყო ლოკალიზირებული *Fusarium*-ისა და *Verticillium*-ის გვარის სოკოები (სურათები 12.1, 12.2). მათ გარშემო, ტუბერების ქსოვილები, გარეგნულად, საღი იყო.



სურათი 12.1. 12.2. ფუზარიოზისა და ვერტიცილიოზის შერეული ინფექციებით დაავადებული ტუბერები.

ცხრილი 3

ლატენტური ინფექციების გავრცელება ახლად ინტროდუცირებულ
ჯიშთა მოსავალში (სამცხე-ჯავახეთი)

№	ჯიშები	დაავადებათა გავრცელება, %			შენიშვნა
		ფუზარიოზი	კერტიცილი ოზი	სხვა დანარჩენი	
1	დეზირე	2,0	1,0	11-15	I კლინიკური თქმლის რეპროდუქცია
2	კარატოპი	4,0	5,0	8-17	
3	კოლებე	2,0	1,0	12-18	
4	მარაბელი	3,0	—	9-16	
5	პიპასო	1,0	1,0	10-19	

$$m\% = 7,6$$

$$HCP_{0,95} = 6,2$$

ფარულ ინფექციებში შეხვედრიანობით ფუზარიოზი სჭარბობს ვერტიცილიოზს (ცხრილი 4).

ჩატარებული ექსპერიმენტებით დადგენილია, პირდაპირ კორელაციური კავშირი, სარგავი მასალის ფარული ინფექციებისა და აღმონაცენთა დაავადებების გავრცელება-განვითარების ინტენსივობას შორის, სადაც, კორელაციის კოეფიციენტი 0,8-ს აღწევს. თუმცა, თანაფარდობა თესლში დაავადებათა გავრცელებასა და აღმონაცენთა დაავადების გავრცელებისას შორის, ისეთივე არ იყო, როგორც სარგავ მასალაში, რაც განპირობებული იყო, ამინდური პირობებითა და ნაკვეთის მიკროკლიმატით, ასევე პათოგენთა ბიოლოგიური თავისებურებებით. კარგად განათებულ ფერდობებზე უფრო ინტენსიურად იყო გავრცელებული ფუზარიოზი და ვერტიცილიოზი, ვიდრე მაღალტენიან დაჩრდილულ ადგილებში, სადაც ჭურჭელ-ბოჭკოვანი ჭკნობა 2-10%-ს არ აღემატებოდა.

ცხრილი 4

სხვადასხვა პათოგენთა მიერ გამოწვეული დაავადებების ხვედრითი
წილი ფარულ ინფექციებში

№	ჯიშები	დაავადებულ ტუბერებში ყოველი დაავადების გავრცელება, %			შენიშვნა
		ფუზარიოზი	ვერტიცილი ოზი	სხვა დანარჩენი	
1	დეზირე	7,1	3,8	40-42	1 კუტენი თებელის რეპროდუქცია
2	კარატოპი	6,5	3,6	34-36	
3	კოლეტე	7,3	3,0	30-32	
4	მარაბელი	6,0	—	15-16	
5	პიკასო	7,0	2,0	19-22	

$$m\% = 5,2$$

$$HCP_{0,95} = 10,3$$

ჩატარებული ექსპერიმენტით დადგენილია, რომ სარგავი კარტოფილის ლატენტური ინფექციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დაავადებათა გავრცელება-განვითარების ინტენსივობაში. თუმცა, გადამწყვეტი ნარგაობათა დაზიანებაში, მაინც ამინდს, ნაკვეთის მიკროკლიმატსა და პათოგენთა ბიოლოგიურ თავისებურებებს ენიჭება. კერძოდ, დაავადების გამომწვევთა დამოკიდებულებას ამინდის ელემენტებისადმი, სპორების გავრცელების გზებსა და სხვა.

IV თავი

ტრაქეომიკოზური ჭქნობის გამომწვევი სოკოების ბიოლოგიური თავისებურებანი

4.1. სოკო *Fusarium oxysporum* Schl. და სოკო *Verticillium lateritium* Berk.

პათოგენობა

სოკოების პათოგენობის, ინფექციის გზებისა და საინკუბაციო პერიოდის ხანგრძლივობის დადგენა ხდებოდა კარტოფილის სხვადასხვა ჯიშის მცენარის ხელოვნური დასენიანების მეშვეობით. 15 დღიანი სოკოების წმინდა კულტურების ინოკულაციით მცენარეთა მექანიკურად დაზიანებული ადგილებიდან და სპოროვანი სუსპენზიის მცენარეების ღერო-ფოთლებზე შესხურებით, ტემპერატურა და ტენიანობა ისაზღვრებოდა ფსიქრომეტრით (სურათები 13.1, 13.2, 13.3, 13.4).

ცდები ჩატარდა 3 განმეორებით და საბოლოო შედეგები გავიანგარიშეთ მიღებულის საშუალო არითმეტიკულით. მიღებილი შედეგები წარმოდგენილია 5, 6, 7 ცხრილებში.

როგორც ცხრილებიდან ჩანს, დაავადების გამოჩენის პირველი ნიშნები, კარტოფილის ჯიშებზე: დეზირე, აგრიასა და პიკასოზე, დასენიანების სხვადასხვა ფორმის შემთხვევაში (ჭრილობაში ინოკულუმის შეტანა, სუსპენზია დაჩხვლებილ ქსოვილზე, სუსპენზია დაუზიანებელ ქსოვილზე) აღინიშნა ხელოვნუნი დასენიანებიდან სხვადასხვა დროს, 18-72 სთ-ის განმავლობაში, ჯიშების მიმღებიანობის მიხედვითა და პათოგენობა განსხვავებული კონტაქტის შესაბამისად; რაც გამოხატული იყო მცირე ზომის ნეკროზული ლაქების სახით. სამივე ჯიშის შემთხვევაში, მცენარეთა სრული ჭქნობა, ყველაზე სწრაფად, დაფიქსირდა 20°C ტემპერატურისა და 85% ტენიანობის დროს, დასენიანების სამივე ვარიანტში.



სურათი 13.1 ხელოვნურად დასენიანებული მცენარე. სურათი 13.2 ხელოვნურად დასენიანებული ნარგაობა.



სურათი 13.3 ჰაერის ფარდობითი ტენიანობისა და ტემპერატურის განსაზღვრა.

სურათი 13.4 მუშაობის პროცესი.

ცხრილი 5

კარტოფილის ფუზარიოზული ჭკნობის განვითარების დინამიკა
ჭრილობაში ინოკულუმის შეტანისას

				ჭრილობაში ინოკულუმის შეტანა							
				საინკუბაციო პერიოდის ხანგრძლივობა, თვე	ნეკროზული ლაქის ზომები სმ-ში				მცენარის სრული ჭკნობა, დღე	შენიშვნა	
თარიღი	მაშტალი ტემპერატურა, °C	გარიანტები	დასენიან ებიდან მე-3 დღე	დასენიან ებიდან მე-4 დღე	დასენიან ებიდან მე-5 დღე	დასენიან ანებიდ ან მე-6 დღე					
18.08	2.08	20.07	25°C	65%	დეზირე კონტროლი	24	1,7	1,7×1,9	1,9×2,1	2,2×2,1	12
		18	22°C	80%	აგრია კონტროლი	18	1,7	1,9×2,0	2,1×2,2	2,2×3,0	10
		24	22°C	85%	პიკასო კონტროლი	24	1,3	1,5×3,0	1,5×3,0	1,7×3,0	14
		24	22°C	80%	დეზირე კონტროლი	24	1,5	1,8×2,1	1,9×2,9	2,2×3,0	10
		18	22°C	85%	აგრია კონტროლი	18	1,6	1,8×2,0	2,1×2,2	2,5×4,0	7
		36	22°C	85%	პიკასო კონტროლი	1,1	1,3×2,5	1,4×2,5	1,4×3,0	1,4×3,0	14
		18	20°C	85%	დეზირე კონტროლი	18	1,6	1,8×3,0	2,0×3,1	2,5×3,5	7
		18	20°C	85%	აგრია კონტროლი	1,7	1,8×2,2	2,0×3,0	2,0×3,0	3,0×4,5	5
		24	20°C	85%	პიკასო კონტროლი	1,2	1,3×3,0	1,3×3,0	1,3×3,0	1,5×3,5	13

მთელ სავაჭრო პერიოდში ადინიტებოდა მაღალი ფარდობითი ტემპერატურა, უხვი ნალექები. წმინდა გემჭრატურის მცველთ რეცეპტორი ცენტრი ადგილი, რამაც განაპირობა მცველობის ჰქნობის ინტენსიური განვითარება.

.

ცხრილი 6

კარტოფილის ფუზარიოზული ჭკნობის განვითარების დინამიკა
მექანიკურად დაზიანებულ ქსოვილებზე სპოროვანი სუსპენზიის
შესხურებისას

თარიღი	საშუალო ტემპერატურა%-ში, $t^{\circ}\text{C}$.	გარიატები	სუსპენზია დაჩხვლეტილ ქსოვილზე						
			საინკუბაციო პერიოდის ხანგრძლივ ობა, სთ	ნეკროზული ლაქის ზომები სმ-ში				მცენა რის სრული ჭკნობა, დღე	
				დასენიან ებიდან მე-3 დღე	დასენიან ებიდან მე-4 დღე	დასენიან ებიდან მე-5 დღე	დასენიან ებიდან მე-6 დღე		
20.07	25°C 65%	დეზირე კონტროლი	48	1,0×3,0	1,0×3,0	1,0×3,5	1,2×5,0	10	
		აგრია კონტროლი	36	1,0×3,0	1,0×3,0	1,0×3,5	1,5×4,0	10	
		პიკასო კონტროლი	48	1,0×3,0	1,4×3,0	1,5×3,5	1,5×3,4	17	
2.08	22°C 80%	დეზირე კონტროლი	36	1,0×3,5	1,0×4,0	1,5×4,5	2,0×5,5	7	
		აგრია კონტროლი	36	1,2×3,5	1,5×3,5	1,7×4,0	1,9×4,3	9	
		პიკასო კონტროლი	48	1,3×3,0	1,3×3,3	1,5×3,5	1,5×3,5	17	
18.08	20°C 85%	დეზირე კონტროლი	48	1,0×3,0	1,5×3,0	2,0×3,0	2,5×4,0	7	
		აგრია კონტროლი	36	1,0×3,5	1,3×4,0	1,8×5,0	2,5×6,0	6	
		პიკასო კონტროლი	48	1,0×3,0	1,3×3,5	1,5×3,5	1,5×4,0	15	

როგორც ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, ჭკნობის გამომწვევი სოკოები, უფრო ინტენსიურად ვითარდებიან მაღალი ფარდობითი ტენიანობის პირობებში, თუმცა გვალვიან ამინდში ადგილი აქვს მცენარეთა უფრო სწრაფ ჭკნობას, რაც განპირობებულია ტენის დეფიციტით, რომლის მავნე ზეგავლენას აძლიერებს ტრაქეომიკოზური სოკოების ქსილემაში ინტენსიური გავრცელება.

კარტოფილის ფუზარიოზული ჭკნობის განვითარების დინამიკა დაუზიანებულ ქსოვილებზე სპოროვანი სუსპენზიის შესხურებისას

თარიღი	საშუალო ტემპინბაზარის ტემპი, $t^{\circ}\text{C}$	გარიანტები	სუსპენზია დაუზიანებულ ქსოვილზე						
			საინგუბაციო პერიოდის ხანგრძლივობა სთ- ში	ნეკროზული ლაქის ზომები სმ-ში				მცენარის სრული ჭკნობა, დღე	
წელი	ტემპი	დასენიანებიდან მდგრადი დღე	დასენიანებიდან მდგრადი დღე	დასენიანებიდან მდგრადი დღე	დასენიანებიდან მდგრადი დღე	დასენიანებიდან მდგრადი დღე	დასენიანებიდან მდგრადი დღე		
20.07	25°C 65%	დეზირე კონტროლი	60	1×3	1×3	1×3.5	1.5×4	12	
		აგრია კონტროლი	48	1×2.5	1×2.7	1.2×3	1.2×3	10	
		პიკასო კონტროლი	72	1×3	1×3.2	1.1×3.3	1.2×3.3	17	
2.08	22°C 80%	დეზირე კონტროლი	60	1×3	1.2×3.3	1.5×3.3	1.5×3.3	12	
		აგრია კონტროლი	48	1×3	1×3	1.2×4	1.5×4.5	10	
		პიკასო კონტროლი	72	1×3	1.2×3.2	1.4×3.2	1.4×3.2	17	
18.08	$20 t^{\circ}\text{C}$ 85%	დეზირე კონტროლი	48	1×3	1×3	1×3.6	1.1×3.6	12	
		აგრია კონტროლი	48	1×3	1×3	1.5×4	1.5×4.5	10	
		პიკასო კონტროლი	72	1×3	1×3	1.2×3.5	1.2×3.5	17	

სოკო *V. lateritium*-ის პათოგენობის დადგენის მიზნით, ჩატარდა სხვადასხვა ჯიშების: აგრია, პიკასო და დეზირე ხელოვნური დასენიანება სოკო *V. lateritium*-ის 15 დღიანი კულტურით – ჭრილობაში ინოკულუმის შეტანითა და ენტომოლოგიური ნემსით დაჩხვლეტილი კარტოფილის სხვადასხვა ორგანოების სპოროვანი სუსპენზიის შესხურებით. მცენარეებზე, რომლის ლეროზე, ჭრილობაში შეტანილი იყო ინოკულუმი, მეორე დღესვე აღინიშნა დეროს დაზიანება, შავი პატარა ნეკროზული ლაქების სახით და თეთრი მიცელიუმის განვითარება. მეოთხე დღეს კი – შეინიშნებოდა სპორების წარმოქმნა.

ერთი თვის შემდეგ, ადგილი პქონდა დაავადების მთელ მცენარეში გავრცელებას. კარტოფილის ტუბერის განაჭერში აღინიშნებოდა ჟანგისფერი პიგმენტაცია, რომელიც ბადესავით იყო განფენილი დაავადებულ ქსოვილებში, ტუბერი კი – გარეგნულად, სრულიად საღად გამოიყურებოდა. დარღვეული არ იყო უჯრედების გარსი, მისი რბილობის კონსისტენცია. ორ კვირაში კი დაავადება მთლიანად მოედო მის ქსოვილებს, სპორების მასად აქცია მთელი ტუბერი, რომლის ზედაპირი დაფარული იყო ბამბისებრი, მოყავისფრო-აგურისფერი მიცელიუმით. ხშირად, ტუბერის ზედაპირზე, შეიმჩნეოდა სოკოს ნაყოფიანობის წარმოქმნა, დამახასიათებელი ფერით.

ამრიგად, V. lateritium-ის პათოგენობის დადგენის მიზნით ჩატარებულმა ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ ხელოვნური დასენიანების მეორე დღესვე აღინიშნა ლეროს დაზიანება, ხოლო დაავადება მთელ მცენარეში ერთ თვეში გავრცელდა. ტუბერებს დასაწყისში აღენიშნა ყავისფერი პიგმენტაცია, 2 კვირის შემდეგ კი მთელი ტუბერი სპორების მასად იქცა და ზედაპირზე შეინიშნა სოკოს ნაყოფიანობის წარმოქმნა.


ასეთივე სიმპტომები აღინიშნა ენტომოლოგიური ნემსით დაჩხვლებილი ორგანოების სპოროვანი სუსპენზიით დასენიანებისას. დაავადება უფრო ინტენსიურად განვითარდა ჯიშ აგრიაზე. ხელოვნურად დასენიანებული ლეროს განაჭერში აღინიშნა სოკოს გავრცელება ჭურჭელ-ბოჭკოვან კონებში, რომლებიც სიგრძივ ზოლებად გასდევდა მთელ ლეროს, ხოლო განივ განაჭერში აღინიშნებოდა დაავადებული ჭურჭლების გამუქებული რგოლები.

სოკო V. lateritium-ის მორფოლოგიური ნიშნების შესწავლა ხდებოდა ვან-ტიგემის კამერებში დაკიდებული წვეთის მეთოდით. საფარ მინაზე ვაწვეთებდით ლუდ-აგარის წვეთს და გაციების შემდეგ, მასზე ვაწვეთებდით სპოროვან სუსპენზიას. დაკვირვებას, მის განვითარებაზე, ვიწყებდით 12-სთ-ის შემდეგ. როგორც ექსპერიმენტმა

ცხადყო, სპორები განვითარებას იწყებდნენ 14 სთ-ის შემდეგ. 72 სთ-დან, მიცელიუმებზე შეიმჩნევა პატარა Cephalosporum-ის ტიპის წარმონაქმნები. ხანდახან, ასეთი სპოროვანი ოვაკები ჩნდება პირდაპირ მიცელიუმზე. 3-4 დღის შემდეგ, მიცელიუმებზე აღინიშნება მოგრძო ფიალიდისმაგვარი სტერიგმები, რაც ვერტიცილიუმისათვის არის დამახასიათებელი. მოყავისფრო მიცელიუმზე წარმოიქმნება სწორმდგომი, მრავალუჯრედიანი, დატოტვილი კონიდიატმტარები. ტოტების დაბოლოებებზე რგოლურად განლაგებულია 3 - 3 ან მეტი სტერიგმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ბოთლისებრი ფორმა. ფიალიდების წვერზე მოთავსებულია თითო სპორა, ან თავაკები, რომლებიც ერთუჯრედიანი, ცილინდრული სპორებისაგან შედგება, უსწორმასწორო გვერდებით. ახალგაზრდა კულტურის კონიდიატმტარები მოკლეა, ერთ ან ორ რიგად განლაგებული ფიალიდებით. რაც შეეხება ხნიერ კულტურას, მნიშვნელოვნად გრძელი კონიდიატმტარები აქვს, ფიალიდების რამოდენიმე რიგით. კონიდიატმტარების სიგრძეა 168-238 მკმ; ფიალიდების სიგრძე 14,0-22,4×2-3,7 მკმ-ია, კონიდიების ზომები 4,2-5,6×2,8-4,2 მკმ-ია. ხნიერ კულტურებში ადგილი აქვს სოკოს ქლამიდოსპორების წარმოქმნას, რომელიც წარმოდგენილი იყო მოკლე ძეწკვის სახით (სურათები 14.1, 14.2).

სოკოს გადათესვისას ლუდ-აგარის საკვებ არეზე, თავდაპირველად, განვითარდა ლორწოვანი, შემდეგ მოყავისფრო-აგურისფერი მიცელიუმი, რომელიც მთელ სუბსტრატზე იყო გავრცელებული. წარმოქმნილი კულტურა ჩამოყალიბებულ სახეს ინარჩუნებდა. Verticillium-ის გვარის რამდენიმე წარმომადგენლის განვითარების ციკლში Cephalosporum-ის სტადიის არსებობას აღინიშნავდნენ წაქაძე თ. ა. და მშვიდობაძე ლ. გ. (1967წ.),

ლიტერატურული წყაროების მიხედვით, ადრეულ პერიოდში დასტურდება გარგარზე, ატამზე, ხურმასა და ციტრუსებზე.



სურათი 14.1, 14.2 სოკო *Verticillium lateritium* Berk. (X600).

1.კონიდიათმტარი; 2.სტერიგმა; 3.თავაკი; 4.კონიდიოსპორა; 5.ქლამიდოსპორა.

ბადრიჯნიდან გამოყოფილ *V. albo-atrum*-ისა და *V. melongenae*-ს განვითარების ციკლში *Cephalosporum*-ის სტადიას აღნიშნავდნენ ლ. ა. ყანჩაველი და ნ. ა. ზურაბიშვილი (1974წ.). ჩვენი გამოკვლევებით, კიდვე ერთხელ, დასტურდება, რომ *Cephalosporum*-ის ტიპის ნაყოფიანობის წარმოქმნა დამახასიათებელია *Verticillium*-ის გვარის სხვა სახეობებისათვისაც.

ლია გრუნტის გარდა კვლევები ტარდებოდა დახურულ გრუნტშიც, ლაბორატორიულ პირობებში, ქოთნებში, სტერილურ ნიადაგში, 25° ტემპერატურისა და 72% ტენიანობის პირობებში. ჭკნობა ყველა ქოთანში აღინიშნა. ჯიშები იგივე იყო რაც ლია გრუნტში კვლევისას. მაგრამ, როგორც ჩანს, სარგავად გამოყენებული ყველა ტუბერი ლატენტური ფორმით ატარებდა ინფექციის წყაროს. რამაც განაპირობა მათი ინტენსიური დაზიანება. ვერტიცილიოზისა და ფუზარიოზის გავრცელების ინტენსივობამ, შესაბამისად, 40 : 60%-ს მიაღწია, ხოლო განვითარების ინტენსივობა 21 : 30 % შეადგინა (სურათი 15).

კარტოფილის ნარგაობების ხელოვნური დასენიანებისას (სურათები 16.1, 16.2) მცენარეთა ჭკნობამდე, ჩვენს მიერ, აღირიცხებოდა დღე-დღამური ტემპერატურები და ტენიანობა, რისთვისაც ვიყენებდით ფსიქომეტრს. შეინიშნებოდა პროპორციული კავშირები ამინდის მითითებულ პარამეტრებსა და ჭკნობის ინტენსივობას შორის. პირდაპიროპორციული დამოკიდებულება აღინიშნა ჭკნობის ინტენსივობასა და ტემპერატურის რყევადობას, აგრეთვე, მაღალ ტემპერატურასა და ჭკნობის ინტენსივობას შორის. უკუპროპორციული დამოკიდებულება აღინიშნებოდა ჰაერის ფარდობით ტენიანობასა და ჭკნობის ინტენსივობას შორის.



სურათი 15. ლატენტურად ინფიცირებული ტუბერების აღმონაცენი



სურათი 16.1, 1.2 ხელოვნური დასენიანებული კარტოფილის მცენარეები დახურულ გრუნტში

4.2. სხვადასხვა ტემპერატურის გავლენა სოკო **Fusarium oxysporum**

Schl. და სოკო **Verticillium lateritium Berk.** ზრდა-განვითარებაზე

როგორც ზემოთაც აღინიშნა ტემპერატურა და ტენი გავლენას ახდენს დაავადების განვითარებისა და მისი გამომწვევი სოკოების განვითარების ინტენსივობაზე. ამ ფაქტორთა ხელსაყრელი შეთანწყობა განაპირობებს სოკოების მასობრივ განვითარებას, რასაც დაავადების ეპიფიტოტიის შედეგებამდე მივყავართ.

სოკოების ზრდა-განვითარება მიმდინარეობს ტემპერატურების ფართო დიაპაზონში (2-დან 40°C -მდე). სოკოსათვის, ძირითადად, განვითარების ოპტიმალური ტემპერატურა $20-25^{\circ}\text{C}$ -ია. 0°C -ზე დაბალ ტემპერატურაზე, სოკოების აქტიური ზრდა არ ხდება. მხოლოდ, მათი სპორები და მიცელიუმები ინარჩუნებენ სიცოცხლისუნარიანობას ძლიერი ყინვების დროსაც კი (Попкова К. В. и др., 1980).

ფუზარიოზული ჭკნობის გამომწვევი სოკოს განვითარება იწყება ჯერ კიდევ მინდვრად, ტუბერების დაავადების ძირითადი ეტაპები კი მიმდინარეობს ჯერ კიდევ საწყობებში, განსაკუთრებით ინტენსიურად $17-25^{\circ}\text{C}$ ტემპერატურისა და 70% ფარდობითი ტენიანობის პირობებში (Андреева Е. И., 1984).

ტემპერატურას მცენარეთა პათოგენეზში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და დაავადების განვითარების უმნიშვნელოვანეს პარამეტრს წარმოადგენს.

Fusarium-ის გვარის სოკოების მიერ გამოწვეული პათოლოგიური პროცესები მიმდინარეობს ტემპერატურის ფართო დიაპაზონში.

ტემპერატურა გავლენას ახდენს, არა მხოლოდ სოკოების ზრდის სიჩქარეზე, არამედ კონიდიების წარმოქმნაზე, მათ ფორმებსა და ზომებზე, ტიხერების რაოდენობაზე და ა. ი. რაილო (Райлло А. И., 1950) მონაცემებით, სოკო *F. oxysporum* Schlecht. 15°C -ზე დაბალი ტემპერატურისას ანელებს ზრდას, ხოლო 5°C და 35°C -ზე მაღალი

ტემპერატურის დროს, საერთოდ წყვეტებ განვითარებას. *F. oxysporum* და *F. trichothecioides*-ის განვითარების ოპტიმუმი სხვადასხვაა და მერყეობს 15-დან 20°C-მდე. ოპტიმალური ტემპერატურა, *Fusarium*-ის მრავალი სახეობისათვის, მდებარეობს 21-დან 23°C-ის ფარგლებში. ვ. ი. ბილაი (Билай В. И., 1955) მიუთითებდა, რომ მიცელიუმის ზომა და ნაყოფიანობის წარმოქმნა, *Fusarium*-ის მრავალი სახეობისათვის ყველაზე უკეთ 24-26°C ტემპერატურის პირობებში მიმდინარეობს.

ვ. 6. მენდე (Менде В., Н., 1953) აღნიშნავდა, რომ *Fusarium*-ის გვარის სოკოები, რომლებიც პარაზიტებს მიეკუთვნებიან, აავადებენ მცენარეს, ვრცელდებიან ჭურჭელ-ბოჭკოვან სისტემაში და დიდია მათი ოპტიმალური და მინიმალური ტემპერატურული ზღვრები.

ვ. ვ. პოპკოვა და სხვების (Попкова К.В. и др., 1980) მონაცემებით, სახეობა *F.coeruleum*-ის მინიმალური ტემპერატურა 2°C-ია, მაქსიმალური 35°C და ოპტიმალური 12-17°C. *F. avenaceum* უკეთესად ვითარდება 24-27°C ტემპერატურის ფარგლებში.

ს. ტ. პესკოვას (Пескова С. Т., 1973) ცნობით, *F. oxysporum*-ის და *F. solani*-ს ზრდის ოპტიმალური ტემპერატურაა 25°, ხოლო *F. gibbosum*, *F.semilectum*-ი და *F. moniliform*-ი ვითარდება 20°C ტემპერატურაზე.

ე. სეპპანენის (Seppanen E, 1981) მონაცემებით, გვ. *Fusarium*-ის 14 სახეობისათვის, ტენისა და ტემპერატურული ზღვრები განსხვავებულია. *F. sambucinum* var. *coeruleum* საჭიროებს დაბალ ტემპერატურასა (10-12°) და დაბალ ფარდობით ტენიანობას (40-25%). *F. sulphureum*-ი და *F. trichothecioides*, ასევე საჭიროებენ დაბალ ფარდობით ტენიანობას და ახასიათებთ ორი ოპტიმალური ტემპერატურა (10-12° და 24-27°), როცა *F. culmorum*-ისა და *F. sporotrichoides*-ისათვის ოპტიმალური ტემპერატურები იგივეა, მაგრამ საჭიროებენ მეტად მაღალ ფარდობით ტენიანობას (90-100%). *F.graminearum*-ი და *F.solani* var. *coeruleum* კი

ყველაზე უკეთ, 20°C -ისა სა მაღალი ფარდობითი (90-100%)-ის პირობებში ვითარდებიან.

მ. ტ. ხომიაკოვი და კ. მ. ადამიანი (Хомяков М. Т., Адамян К. М., 1982) აღნიშნავდნენ, რომ შენახვის პირობებში, სოკოებით F. sambucinum-ი და F. solani var. coeruleum-ით ტუბერების დაზიანებისათვის ოპტიმალურია $5-20^{\circ}\text{C}$. შემდგომი ტემპერატურის მატება კი ამცირებს დაზიანებული ტუბერების რაოდენობას.

ტასკას (Tasca, 1998) ცნობით, F. sambucinum-ი და F. culmorum-ი კარტოფოლის ტუბერების დაზიანების უნარს ამჟღავნებენ 3 -დან 18°C -მდე ტემპერატურაზე, ოპტიმალური 8°C -ია. დ. გინდრატი (Gindrat D., 1984) აღნიშნავს, რომ F. sambucinum-ი და F. sambucinum var.sambucinum მეტ პათოგენობას ამჟღავნებენ $10-15^{\circ}\text{C}$ -ის პირობებში. 20°C ტემპერატურაზე, F. oxysporum-ის 6-ვე შტამი ძლიერ განსხვავდება ვირულენტობის ხარისხით.

უოზე სავორის (Savor Jozse, 1989) გამოკვლევებით, გვ. Fusariumis-ის ყველა სახეობის იზოლიატი, რომელიც გამოყოფილია დაავადებული ტუბერებიდან, განვითარების უნარიანია 1 -დან 36°C ტემპერატურის პირობებში. განსხვავებულია მხოლოდ, მათი ოპტიმალური ტემპერატურები. მისივე მონაცემებით, ამ გვარის ზოგიერთი სახეობა არ ამჟღავნებს სახეობისათვის დამახასიათებელ რეაქციას ფარდობითი ტენიანობის ცვლილებების მიმართ.

კ. ხაზარაძის (1948წ.) მონაცემებით, საქართველოში, საწყობის პირობებში, კარტოფილის ტუბერების დაავადებით სოკო F.solanis-ისთვის ხელსაყრელია $10 - 20^{\circ}\text{C}$ ტემპერატურა და 100% ჰაერის ფარდობითი ტენიანობა.

სოკოს ზრდა-განვითარების ტემპერატურული ზღვრების დასადგენად, ჩვენს მიერ, შესწავლიდ იქნა სხვადასხვა ტემპერატურის

გავლენა სოკო *F.oxysporum*-ის ზრდა-განვითარებაზე, რომლებიც გამოყოფილი იყო დაავადებული მცენარის დეროებიდან. სოკო კულტივირებული იყო ლუდ-აგარის საკვებ არეზე, პეტრის თასებზე, სხვადასხვა ტემპერატურაზე (5-დან 37°C-მდე).

ჩატარებული დაკვირვების შედეგები მოტანილია ცხრილ 8-ში.

ცხრილი 8


სხვადასხვა ტემპერატურის გავლენა სოკო *F.oxysporum*-ის ზრდა-განვითარებაზე

t°C	კოლონიის დიამეტრი, სმ			კოლონიის ფერი	ნაყოფიანობის წარმოქმნის დრო, დღე
	განვითარები ს დაწყება 5დღ.შემდ. M±m	განვითარები ს დაწყება 10დღ.შემდ. M±m	განვითარების დაწყება 15დღ.შემდ. M±m		
5	0,5±0,02	1,2±0,1	1,3±0,01	სხეულისფერი მიცელიუმი	—
10	1,2±0,03	2,7±0,5	2,9±0,03	ჭუჭყიანი-თეთრი მიცელიუმი	—
15	1,4±0,07	1,2±0,01	7,1±2,1	“	5
20	2,7±0,51	7,1±2,1	9,0±0,1	ფუმფულა, ჰაეროვანი მიცელიუმი, თეთრი ფერის, ცენტრი ვარდისფერი	3
25	4,1±0,4	9,0±0	9,0±0	“	3
30	4,6±1,1	9,0±0	9,0±0	სქელი, მკვრივი მიცელიუმი, მოთეთრო- მოვარდისფრო	3
32	3,7±0,02	6,6±1,3	9,0±0	წვრილი, სხეულისფერი ლორწოვანი მიცელიუმი	—
35	1,0±0,1	3,6±1,2	3,9±1,1	—	—
37	—	—	—	—	—

როგორც ცხრილიდან ჩანს, სოკოს ზრდა აღინიშნება 5-32°C ტემპერატურის ფარგლებში, ხოლო 5°C-ზე დაბალ და 35°C-ზე მაღალ ტემპერატურაზე ის საერთოდ არ ვითარდება. დაბალ ტემპერატურაზე *F.oxysporum*-ი იზრდებოდა ძალიან ნელა. მომატებულ ტემპერატურაზე, *F.oxysporum*-ი იზრდებოდა ძალიან ნელა. მომატებულ ტემპერატურაზე,

განვითარების სიჩქარე და ნაყოფიანობის წარმოქმნის ინტენსივობაც იზრდებოდა. ოპტიმალური ტემპერატურისას (20 - 30°C) კონიდიების წარმოქმნა აღინიშნა მესამე დღეს, თითქმის ერთდღოულად, პეტრის თასებში, სუბსტრატის ზედაპირი დაიფარა კონიდიებით.

დაბალი ტემპერატურისას (10 - 15°C) ვითარდება ჭუჭყიანი-თეთრი მიცელიუმის თხელი ფენა, მოკლე პიფებით 15°C -ზე კი ერთგული კოლონიებით. მომატებული ტემპერატურისას იცვლება კოლონიის ზრდის ხასიათი და მიცელიუმის შეფერილობა, 20 - 25°C წარმოიქმნება თეთრი ფერის ფუმფულა, ჰაეროვანი, მიცელიუმი, ვარდისფერი ცენტრით; 30°C -ზე *F.oxysporum*-ი ინვითარების ძალიან სქელ, მკვრივ, მოთეთრო-მოვარდისფრო მიცელიუმს. 32°C -ის პირობებში წვრილი, ლორწოვანი მიცელიუმი ვითარდება, ხოლო ნაყოფიანობა, საერთოდ, არ ვითარდება (სურათი 17).



სურათი 17. სხვადასხვა ტემპერატურის გავლენა (მინიმალური, ოპტიმალური, მაქსიმალური) სოკო *F. oxysporum*-ის ზრდა-განვითარებაზე (7 დღის შემდეგ).

1. მინიმალური ტემპერატურა 5°C ;
2. ოპტიმალური ტემპერატურა 25°C ;
3. მაქსიმალური ტემპერატური 35°C .

ამრიგად, სოკო *F.oxysporum*-ის ზრდა-განვითარებისათვის ოპტიმალურია 25°C , ქვედა და ზედა ზღვრები კი 5° და 35° -ია C -ის შეალით.

ტემპერატურის გავლენა სპორების გაღივებაზე ისწავლებოდა პოლითერმოსტატში სპოროვანი სუსპენზიის სხვადასხვა ტემპერატურაზე სხვადასხვა ექსპოზიციით მოთავსებით. შედეგები დაჯამებულია ცხრილში 7-ში. როგორც მე-7 ცხრილიდან ჩანს, სპორების გაღივება იწყება 5^0 ტემპერატურაზე 24 საათის, ხოლო 10^0 -ზე 12 სთ-ის შემდეგ. მაქსიმუმს აღწევს $20-25^0$ ტემპერატურაზე, რომლის შემდგომი მატებისას – ადგილი აქვს სპორების გაღივების ინტენსივობის კლებას, რაც სრულად წყდება 38^0 -ზე.

ცხრილი 9

ტემპერატურის გავლენა სოკო *F.oxytormum* სპორების გაღივებაზე

t^0C	სპორების გაღივება 12 სთ- ის შემდეგ,%	სპორების გაღივება 24 სთ- ის შემდეგ,%
5	–	$5\pm1,1$
10	$16\pm2,2$	$34\pm1,5$
15	$66\pm3,4$	$80\pm4,3$
20	$76\pm3,4$	100
25	77 ± 10	100
30	68 ± 5	100
35	57 ± 3	$86\pm3,5$
37	–	$20\pm1,2$

ამრიგად, სოკო *F.oxytormum*-ის ზრდასა და მისი სპორების გაღივებისათვის, მინიმალური ტემპერატურაა 5^0C , ოპტიმალური – $20-25^0C$, ხოლო მაქსიმალური – 37^0C .

სოკო *V. lateritium*-ზე ზღვრული ტემპერატურების დადგენის მიზნით, ჩვენს მიერ, შესწავლილ იქნა სხვადასხვა ტემპერატურული რეჟიმების გავლენა სოკო *V. lateritium*-ის ზრდა-განვითარებაზე.

დაკვირვებების შედეგები მოტანილია ცხრილ 10-ში.

სხვადასხვა ტემპერატურის გავლენა სოკო *V. lateritium* ზრდა-
განვითარებაზე

t°C	განვითარების დასაწყისი	კოლონიის დიამეტრი, მმ მე-10 დღეს M±m	კოლონიის ფერი	ნაყოფიანობის წარმოქმნის დრო, დღე
0	—	—	—	—
5	—	—	—	—
8	9	18,9±1,2×20,1±0,2	უფერო მიცელიუმები	—
10	8	24,2±0,4×21,6±0,6	მოყვითალო- მორუხო ლორწოვანი მიცელიუმი	9
15	5	40,5±0,08×39,2±0,01	“	7
20	3	61,1±0,5×61,3±0,07	მოყვითალო მიცელიუმი	3
24	3	90±0,01×90±0,02	მოყავისფრო- აგურისფერი მიცელიუმი	3
25	3	90±0,02×90±0,03	“	3
26	3	75,2±0,03×74,2±0,02	“	3
30	5	25,3±0,02×27,4±0,06	მორუხო- ლორწოვანი მიცელიუმი	9
32	7	სუსტი დანვითარება	—	—
35	—	—	—	—
40	—	—	—	—

როგორც ცხრილიდან ჩანს, სოკო *V. lateritium*-ის ზღვრული ტემპერატურებია 8–32°. ის განვითარებას 8°C ტემპერატურაზე იწყებს. ამავე ტემპერატურაზე, კოლონიის განვითარება დაიწყო მე-9 დღეს. იმავე ტემპერატურაზე, მე-10 დღეს კოლონიის დიამეტრი არ აღემატებოდა 19×21 მმ-ს, მიცელიუმი იყო უფერო, გართხმული სუბსტრატზე, კონიდიების განვითარება არ შეინიშნებოდა.


15⁰C-ზე სოკო V. lateritium-ს ადენიშნა ორი ტიპის ნაყოფიანობა: Cephalosporium –ი და Verticillium-ი. თავდაპირველად, განვითარდა ყვითელი, ლორწოვანი კოლონიები, რომელიც დამახასიათებელია Cephalosporium –ის ტიპის სოკოებისათვის. რამდენიმე დღის შემდეგ, კოლონიის ლორწოვანი ზედაპირი იფარებოდა მიცელიუმებით, რომლებზეც განვითარებული იყო კონიდიუმები სტერიგმებით, რაც დამახასიათებელია Verticillium-სათვის.

20-დან 26⁰C ტემპერატურაზე, სოკო განვითარებას იწყებდა მეორე დღიდანვე, მესამე დღეს ადგილი ჰქონდა კონიდიალური ნაყოფიანობის განვითარებას. მეათე დღეს, 24-25⁰C ტემპერატურის პირობებში, კოლონია აღწევდა $90 \pm 0,02 \times 90 \pm 0,03$ მ-ს, მიცელიუმი დებულობდა მოყავისფრო-აგურისფერს.

30 - 32⁰C ტემპერატურაზე Cephalosporium –ის ტიპის ნაყოფიანობა აღინიშნა; სოკო ვითარდებოდა სუსტად. უფრო მაღალ ტემპერატურაზე კი წყვეტდა განვითარებას. სოკო V. lateritium-ის სპორების წარმოქმნა მიმდინარეობდა 10-30⁰C ტემპერატურის საზღვრებში (ცხრილი 10).

ამრიგად, ტემპერატურა განსაზღვრავს სოკო V. lateritium-ის განვითარების ხასიათსა და მორფოლოგიურ-კულტურალურ ნიშნებს. მცირედი ტემპერატურული ცვლილებაც კი გავლენას ახდენს მიცელიუმის პიგმენტიაზე, ზრდა-განვითარების ინტენსივობასა და სოკოს ნაყოფიანობის ტიპზე.

ექსპერიმენტით დადგენილია, რომ სოკო V. lateritium-ი ვითარდება 8-32⁰-ის ფარგლებში, მისი განვითარებისათვის ოპტიმალური ტემპერატურაა 24-25⁰C, მინიმალური – 8⁰C, ხოლო მაქსიმალური – 32⁰C (სურათი 18).



სურათი 18. მინიმალური, ოპტიმალური და მაქსიმალური ტემპერატურების გავლენა სოკო *V. lateritium*-ის ზრდაზე (10 დღის შემდეგ).

1. მინიმალური ტემპერატურა – 8°C ;
2. ოპტიმალური ტემპერატურა – 25°C ;
3. მაქსიმალური ტემპერატურა – 32°C .

4.3. ჰაერის ფარდობითი ტენიანობის გავლენა სოკო *F.oxysporum* და სოკო *V. lateritium* ზრდა-განვითარებაზე

სოკოს ზრდა-განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გარემო არის და სუბსტრატის ტენიანობა.

6. ა. ნაუმოვი (Наумов Н. А., 1916) თვლიდა, რომ წყლით მდიდარ სუბსტრატზე შეინიშნება სოკოს მიცელიუმების უკეთესი განვითარება, ხოლო მშრალ სუბსტრატზე – სუსტი. თუმცა, მნიშვნელოვნად ჩქარდება სოკოს ნაყოფიანობის წარმოქმნა.

მრავალი ავტორთა მონაცემებით (Лисицына М. И., 1947; Марланд А. Г., 1936; Vu T. F., Fang C. T., 1948; Clavlon E. E., 1928), მცენარეთა უფრო ინტენსიური დაზიანება შეინიშნება საშუალო ტენიანობის ნიადაგებზე.

ცნობილია, რომ *Fusarium*-ის გვარის სოკოების ზრდა-განვითარება ხდება ჰაერის ფარდობითი ტენიანობის ფართო დიაპაზონში, მაგრამ ზოგიერთი სახეობის სპორების წარმოქმნა მიმდინარეობს ფარდობითი

ტენიანობის უფრო ვიწრო საზღვრებში. ხელსაყრელი გარემო პირობებისას არსებობისას კონიდიალური ნაყოფიანობა უხვად წარმოქმნება, რაც განაპირობებს მის სწრაფ გავრცელებას (Биллай В. И., 1955).


ჰაერის ფარდობითი ტენიანობის გავლენა სოკო *F.oxysporum*-ის განვითარებაზე მოცემულია მე-11 ცხრილსა და დიაგრამა 3-ში.

ცხრილი 11

ჰაერის ფარდობითი ტენიანობის გავლენა სოკო *F.oxysporum*
მიცელიუმის ზრდა-განვითარებაზე

ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %	კოლონიის დიამეტრი 5 დღის შემდეგ, მმ $M \pm m$	კოლონიის ფერი	დაფარვის დღე
80	90,2 \pm 0,9	ფუმფულა ჰაეროვანი მიცელიუმი თეთრი ფერისაა, ქვედა ზედაპირი ვარდისფერი	5
85	81,0 \pm 1,3	“	6
90	80,7 \pm 0,2	თეთრი ჰაეროვანი მიცელიუმი, მკვეთრი ვარდისფერი ცენტრით	6
95	80,2 \pm 1,8	“	6
100	70,9 \pm 2,5	“	6


როგორც ცხრილიდან და დიაგრამიდან ჩანს, სოკო *F.oxysporum* გარგად ვითარდება სხვადასხვა ჰაერის ფარდობით ტენიანობზე. პეტრის თასებში, სუბსტრატის ზედაპირი, 80%-იანი ტენიანობისას მეხუთე დღეს დაიფარა, ხოლო მაღალი ტენიანობისას (95-100%) მეექვსე დღეს. ყველა ფარდობითი ტენიანობის პირობებში ადგილი ჰქონდა ფუმფულა, ჰაეროვანი, თეთრი ფერის მიცელიუმის წარმოქმნას, ქვედა მხარეს – ვარდისფერი შეფერვით. 80% ჰაერის ფარდობითი ტენიანობის



დიაგრამა 3

პირობებში განვითარდა კომპაქტური მიცელიუმი და აღინიშნა უხვი ნაყოფიანობის წარმოქმნა.

როგორც ჩატარებულმა ექსპერიმენტმა გვიჩვენა, სოკო *F.oxysporum*-იკარგად ვითარდება ყველა ფარდობითი ტენიანობის პირობებში, მაგრამ საუკეთესო ტენიან გარემოს მისი განვითარებისათვის წარმოადგენს 80%-ს (სურათი 19).



სურათი 19. ჰაერის ფარდობითი ტენიანობის გავლენა სოკო *F. oxysporum*-ის მიცელიუმის ზრდაზე.

1. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 100%;
2. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 95%;
3. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 90%;
4. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 85%;
5. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 80%.

ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა ჰაერის ფარდობითი ტენიანობის გავლენა სოკო V. lateritium ზრდა-განვითარებაზე. პეტრის ჯამებში, მარილის სხვადასხვა კონცენტრაციის სხნარით შექმნილი ტენიანობის პირობებში. შედეგები მოცემულია ცხრილ 12-სა და დიაგრამა 4-ში.


ცხრილი 12

ჰაერის ფარდობითი ტენიანობის გავლენა სოკო V. lateritium-ის ზრდაზე

ჰაერის ფარდობითი ტენიანობა	კოლონიის დიამეტრი 10 დღის შემდეგ, მმ M±m	კოლონიის ფერი	პეტრის თასის დაფარვის პერიოდი, დღე
80	34,6±0,01	კოლონიის ზედაპირი მოყვითალოა	—
85	40,4±0,02	კოლონია დია ყავისფერია	—
90	90,0±0,002	კოლონია მჭიდროა, ფაფუკი, ძველა ზედაპირი ყავისფერია	10
95	85,5±0,001	“	15
100	75,4±0,03	კოლონიის ზედაპირი კრემისფერია	15


როგორც ცხრილიდან და დიაგრამიდან ჩანს, 90% ტენიანობის პირობებში, სუბსტრატის ზედაპირი, პეტრის თასებში, იფარებოდა მე-10 დღეს (სურათი 20); 80-85% ტენიანობის პირობებში კოლონია პეტრის ჯამს 15 დღის შემდეგ ფარავდა, ხოლო 80% ტენიანობისას, სოკოს ზრდა, შესამჩნევად, შენელდა და პეტრის თასის ზედაპირი არ დაუფარავს და კოლონიის დიამეტრი აღწევდა 70 მმ-ს.

აქედან, შეიძლება დავასკვნათ, სოკოს განვითარებისათვის ოპტიმალურია 90-95 % ჰაერის ფარდობითი ტენიანობა.



დიაგრამა 4

ჰაერის ფარდობითი ტენიანობის შემცირებისას, ადგილი პქონდა მიცელიუმების პიგმენტაციის ცვალებადობას – ყავისფერიდან ყვითლამდე. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ სოკო *V. lateritium*-ის განვითარებასა და უხვი ნაყოფიანობის წარმოქმნისათვის საჭიროა ჰაერის მაღალი ფარდობითი ტენიანობა.



სურათი 20. ჰაერის ფარდობითი ტენიანობის გავლენა სოკო *V. lateritium*-ის მიცელიუმის ზრდაზე (10 დღის შემდეგ).

1. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა – 80%;
2. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა – 85%;
3. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა – 90%;
4. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა – 95%;
5. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა – 100%.

4.4. სხვადასხვა ნახშირბადოვანი წყაროს გავლენა სოკო F.

oxysporum და სოკო *V.lateritium* ზრდა-განვითარებაზე


ნახშირწყლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მიკროორგანიზმების ზრდა-განვითარებაში. ისინი შედიან პროცესისა და უჯრედის გარსის შემადგენლობაში და წარმოადგენენ, ძირითად, სამარაგო საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიის წყაროს სოკოებისათვის (Либли В., Барнет Г., 1953). ჩვენს მიერ ჩატარებული დაკვირვებების შედეგები მოცემულია ცხრილ 13-სა, დიაგრამა 5-ში და ასახულია 21.1 და 21.2 სურათებზე.

ცხრილი 13

სხვადასხვა ნახშირბადოვანი წყაროს გავლენა სოკო F. *oxysporum*-ის ზრდა-განვითარებაზე


ნახშირბადოვანი წყაროები	მშრალი მიცელიუმის წონა გ-ში, დათესვიდან 30-ე დღეს, $M \pm m$	სხვაობა კონტროლთან d, δ
ლაქტოზა	$0,1334 \pm 0,004$	0,1229
მალტოზა	$0,1310 \pm 0,0051$	0,1205
არაბინოზა	$0,1221 \pm 0,0014$	0,1116
საქართვა	$0,1305 \pm 0,002$	0,1200
რამნოზა	$0,12492 \pm 0,0021$	0,11442
გლუკოზა	$0,1251 \pm 0,0081$	0,1146
ჩაპეკი (უშაქრო)	$0,0105 \pm 0,0022$	–

სოკო F. *oxysporum*-ი, განსაკუთრებით, კარგად ვითარდება ლაქტოზის, მალტოზისა და სახამებლის შემცველ საკვებ არეებზე. განვითარება შედარებით შენელებულია არაბინოზის, რამნოზისა და გლუკოზის საკვებ არეებზე; სუსტი განვითარება აღინიშნა საკონტროლო, უშაქრო ჩაპეკის საკვებ არეზე, სადაც მშრალი მიცელიუმის მასამ 0,0105გ შეადგინა.



სურათი 21.1, 21.2 ნახშირწყლების გავლენა სოკო *F. oxysporum*-ის
მიცელიუმების ზრდა-განვითარებაზე.

შედეგები, რომლებიც მოტანილია ცხრილში, ამტკიცებენ, რომ
საუკეთესო ნახშირბადოვან წყაროს სოკო *F. oxysporum*-ისათვის
წარმოადგენს ლაქტოზა. სოკოების კულტივირებისას ზემოთ აღნიშნულ
საკვებ არეებზე აღინიშნა მიცელიუმის ძლიერ ინტენსიური
განვითარება. მშრალი მიცელიუმის მასა, რომელიც ლაქტოზის,
მალტოზისა და საქაროზის შემცველ საკვებ არეებზე შეადგენდა,
შესაბამისად, 0,1334; 0,1310 და 0,1305გ-ს. (ცხრილი 13, დიაგრამა 5).



ჩვენს მიერ შესწავლიდი იქნა ნახშირბადოვანი წყაროების გავლენა სოკო V. lateritium-ის მიმართ. ჩატარებული დაკვირვების შედეგები მოცემულია ცხრილ 14-სა და დიაგრამა 6-ში, ასახულია 22.1, 22.2 სურათებზე.

სოკო კარგად ვითარდება პოლი და დისაქარიდების შემცველ საკვებ არეებზე. სახამებლის შემცველ საკვებ არეზე მშრალი მიცელიუმის მასა განვითარების 30-ე დღეს შეადგენდა 0,198 გ-ს. კარგად იზრდებოდა სოკო – საქაროზის, არაბინოზისა და მალტოზის შემცველ საკვებ არეებზე; მნიშვნელოვნად სუსტად იზრდება მონოსაქარიდების: გლუკოზისა და ფრუქტოზის შემცველ საკვებ არეებზე; ძალიან სუსტად განვითარდა საკონტროლო – უშაქრო ჩაპეკის საკვებ არეზე; რომელზეც მშრალი მიცელიუმის მასა არ აღემატებოდა 0,0089 გ-ს (ცხრილი 14).



სურათი 22.1, 22.2 ნახშირწყლების გავლენა სოკო V. lateritium-ის მიცელიუმების ზრდა-განვითარებაზე.

სახამებლის, გლუკოზასა და საქაროზას შემცველ საკვებ არეებზე, სოკოს ნაყოფიანობის წარმოქმნა მეხუთე დღეს აღინიშნა, ხოლო დანარჩენ საკვებ არეებზე (ლაქტოზას შემცველის გარდა) – მე-11 დღეს. ლაქტოზას შემცველ საკვებ არეზე სოკოს ნაყოფიანობა წარმოიქმნებოდა 21-ე დღეს.


სხვადასხვა ნახშირბადოვანი წყაროს გავლენა სოკო V. lateritium-ის
ზრდა-განვითარებაზე

ნახშირბადოვანი წყაროები	საკვები არის pH		მშრალი მიცელიუმის მასა დათესვიდან 30-ე დღეს, გ $M \pm m$	სხვაობა კონტროლთან d,გ	ნაყოფიანობის წარმოქმნა, დღე
	ცდის დაწყებამ დე	ცდის შემდეგ			
გლუკოზა	6,1	6,0	0,091±0,02	0,0821	5
გრუქტუზა	6,1	6,1	0,097±0,01	0,0881	11
საქაროზა	6,3	5,8	0,174±0,02	0,1651	5
მალტოზა	6,0	6,0	0,135±0,01	0,1261	11
არაბინოზა	6,1	5,7	0,147±0,03	0,1381	11
ლაქტოზა	6,0	5,5	0,048±0,02	0,0391	21
სახამებელი	6,4	6,0	0,198	0,1891	5
კონტროლი (ნახშირწყლების გარეშე)	6,3	5,9	0,0089	—	—

შედეგები, რომლებიც მოტანილია ცხრილში, ამტკიცებენ, რომ საუკეთესო ნახშირბადოვან წყაროს სოკო V. lateritium-ისათვის წარმოადგენს სახამებელი და საქაროზა. სოკოების კულტივირებისას ზემოთ აღნიშნულ საკვებ არეებზე აღინიშნა მიცელიუმის ძლიერ ინტენსიური განვითარება. მშრალი მიცელიუმის მასა, რომელიც მივიღეთ სახამებლისა და საქაროზის შემცველ საკვებ არეებზე შეადგენდა 0,198-სა და 0,174 გ-ებს, შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ნახშირწყლების წყაროდ სოკო V. lateritium-ისათვის ითვლება მრავალი ნახშირწყალი (ცხრილი 14 და დიაგრამა 6). სოკო V. lateritium-ის განვითარებისას ნახშირწყლების შემცველი საკვები არეები გადაიხარა სუსტი მჟავე რეაქციისკენ.

სხვადასხვა ნახშირბადოვანი წყაროს გავლენა სოკო

V. lateritium-ის ზრდა-განვითარებაზე



დიაგრამა 6

აღნიშნული სოკოების უნარი, სხვადასხვა ნახშირბადოვანი წყაროს შემცველი საკვები არედან შეითვისონ ნახშირბადი, მათი ფერმენტული სისტემის მრავალფეროვნებაზე მიუთითებს, რისი საშუალებითაც სოკოებს შეუძლიათ რთული ნახშირწყლების დაშლა.

4.5. სხვადასხვა აზოტოვანი წყაროს გავლენა სოკო *F. oxysporum* და სოკო *V.lateritium* ზრდა-განვითარებაზე

სოკოების ზრდა-განვითარებისათვის, ნახშირბადის შემცველ წყაროებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს აზოტოვან პვებასაც. მიუხედავად იმისა, რომ სოკოს მიცელიუმებში აზოტი 5-6 –ჯერ ნაკლებია, ვიდრე ნახშირბადი (Беккер З. Е., 1963). ნახშირბადთან, წყალბადთან და გოგირდთან ერთად, ის მიცელიუმის 95%-ს შეადგენს. შედის უჯრედის გარსის შემადგენლობაში; აქტიურად მონაწილეობს უჯრედის სტრუქტურული ელემენტების ჩამოყალიბებასა და ნივთიერებათა ცვლაში.

ლიტერატურული მონაცემებიდან (ლილი ვ., ბარнет გ., 1953; ბეკერ ჰ. ე., 1963; სემან ჰ. ი., 1967) ცნობილია, რომ აზოტოვანი კვების საუკეთესო წყაროები ამონიუმის მარილებია, რომლებსაც უჯრედის კედლები სწრაფად ითვისებენ და აქტიურდება ამინომჟავების მოლეკულების აგება. ეს უკანასკნელი ცილის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენენ. ცილები პროტოპლაზმის ძირითადი მასაა. ყველგან, სადაც ცილოვანი სხეული მოიპოვება, რომელიც დაშლის პროცესში არ იმყოფება, აუცილებლად, სიცოცხლის მოვლენას ვხვდებით. ცილების ჰიდროლიზის შედეგად მიიღება ამინომჟავები, რომლებიც მცენარის უჯრედებში თავისუფალი სახით გვხვდებიან და აზოტოვან წყაროებს წარმოადგენენ მრავალი სოკო-ორგანიზმისათვის (გიმან ა. ე., 1954). სოკოებს უნარი აქვთ შეითვისონ აზოტი, როგორც ორგანული (ცილები, პეპტინები, ამინომჟავები), ასევე არაორგანული (ნიტრატები, ამონიუმის მარილები) წყაროებიდან, თუმცა თითოეული მათგანი არაერთგვაროვან გავლენას ახდენს მათ ზრდა-განვითარებაზე.

ვ. ლილისა და გ. ბარნატის (ლილი ვ., ბარнет გ., 1953) მონაცემებით, სოკოთა უმეტესობა კარგად ითვისებს ნიტრატულ აზოტს, ზ. ე. ბეკერი (ბეკერ ჰ. ე., 1963) კი – აზოტის ინტენსიურ შეთვისებას აღნიშნავს ასპარაგინიდან. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები მოტანილია ცხრილ 15-ში და დიაგრამა 7-ში.

ცხრილი 15-დან და დიაგრამა 7-დან ჩანს, რომ სოკო *F. oxysporum* უკეთ ვითარდება ასპარაგინისა და შარდოვანას შემცველ საკვებ არეებზე, სადაც მშრალი მიცელიუმის მასა, შესაბამისად, აღმოჩნდა 0,1305 და 0,1252გ. სოკოების აქტიური ზრდა აღინიშნა, აგრეთვე, NH_4NO_3 -ისა და NaNO_3 -ის შემცველ საკვებ არეებზე, სადაც მიცელიუმის მასამ, შესაბამისად, შეადგინა 0,1123 და 0,1033 გ. სოკო *F. oxysporum*-ის განვითარებისას ასპარაგინისა და შარდოვანას შემცველ საკვები არეები ნეიტრალური რეაქციიდან გადაიხარისხნენ სუსტ ტეტე


რეაქციამდე, ხოლო NH_4NO_3 -ისა და NaNO_3 -ის შემცველ საკვებ არეებზე განვითარებისას, საკვებმა არეებმა ნეიტრალური რეაქცია შეინარჩუნეს.

ცხრილი 15

სხვადასხვა აზოტოვანი წყაროს გავლენა სოკო *F. oxysporum*-ის ზრდა-განვითარებაზე

აზოტოვანი წყაროები	ცდის დასაწ. pH	ცდის ბოლოს pH	მშრალი მიცელიუმის წონა,გ $M \pm m$	სხვაობა კონტროლთან d,გ
ასპარაგინი	6 -7	8	$0,1305 \pm 0,0021$	0,11160
შარდოვანა	6 -7	8	$0,1252 \pm 0,005$	0,10630
$(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$	6 -7	3	$0,0878 \pm 0,0055$	0,06890
NH_4NO_3	6 -7	7	$0,1123 \pm 0,0001$	0,09340
NaNO_3	6 -7	6	$0,1037 \pm 0,0001$	0,08480
ჩაპეკი	6 -7	6 -7	$0,0189 \pm 0,0002$	—

სხვადასხვა აზოტოვანი წყაროს გავლენა სოკო *F. oxysporum*-ის ზრდა-განვითარებაზე




დიაგრამა 7

ექსპერიმენტი ჩატარდა სოკო V. lateritium-ზეც. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები მოტანილია ცხრილ 16-სა და დიაგრამა 8-ში.

ცხრილი 16

აზოტოვანი კვების გავლენა სოკო V. lateritium-ის ზრდა-განვითარებაზე

აზოტოვანი წყაროები	საკვები არის pH		მშრალი მიცელიუმის მასა დათესვიდან 30-ე დღეს, $M \pm m$	სხვაობა გონგროლთან d, δ	ნაყოფიანობ ის წარმოქმნა, დღე
	ცდის დაწყებამდე	ცდის შემდეგ			
NaNO ₃	6,2	7,5	0,5691±0,001	0,5394	5
NH ₄ NO ₃	6,2	5,8	0,0505±0,002	0,0208	—
(NH ₄) ₂ SO ₄	6,2	5,7	0,0431±0,02	0,0134	—
ასპარაგინი	6,2	6,0	0,3998±0,02	0,3701	5
გონგროლი (ჩაპეკის არე)	6,2	5,9	0,0297±0,03	—	—



დიაგრამა 8

ცხრილიდან და დიაგრამიდან ჩანს, რომ სოკო *V. lateritium* ყველაზე უკეთ ვითარდება NaNO_3 - ის შემცველ საკვებ არეზე, სადაც მშრალი მიცელიუმის მასა აღმოჩნდა 0,5691გ. სოკოების აქტიური ზრდა აღინიშნა, აგრეთვე, ასპარაგინის შემცველ საკვებ არეზე, სადაც მიცელიუმის მასამ 0,3998გ შეადგინა. ორივე აზოტოვანი წყაროს შემცველ საკვებ არეზე, სოკოს ნაყოფიანობა მეხუთე დღეს წარმოიქმნა, დანარჩენებზე კი საერთოდ, არ განვითარებულა.

ამრიგად, ჩატარებულმა ექსპერიმენტმა გვიჩვენა, რომ სოკო *V. lateritium* ინტენსიურად ვითარდება NaNO_3 - ისა და ასპარაგინის შემცველ საკვებ არეებზე, ყველაზე სუსტად განვითარება აღინიშნა $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$ -ის შემცველ საკვებ არეზე.

4.6. საკვები არეების წყალბადიონების კონცენტრაციების გავლენა სოკო *F.oxysporum* და სოკო *V.lateritium* ზრდა-განვითარებაზე
პათოგენური სოკოების მნიშვნელოვანი მახასიათებელია ზრდა-განვითარების სწრაფი უნარი.

წყალბადიონთა კონცენტრაცია განმსაზღვრელ როლს ასრულებს სოკოების განვითარებაში. მკვლევართა ერთი ნაწილი (Соколов М.С., 1994), პატრონ-მცენარის უჯრედის წვენში წყალბადიონთა კონცენტრაციას უკავშირებს მის გამძლეობას ამა თუ იმ დაავადებათა მიმართ. საკვები არის pH სოკოს ზრდა-განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. სოკო ორგანიზმები, უმთავრესად, ოდნავ მჟავე ან ნეიტრალურ არეზე ვითარდებიან (Беккер З. Е., 1963), თუმცა სხვადასხვა სოკოსათვის, განვითარების ქვედა და ზედა ზღვარი სხვადასხვა. ბუნებაში არსებობენ ისეთი სოკოებიც, რომლებსაც უნარი აქვთ, კარგად განვითარდნენ სუბსტრატის ნეიტრალურ ან სუსტ ტუტუ არეზე (Лилли В., Барнет Г., 1953; Беккер З. Е., 1963).

სხვადასხვა pH-ის მქონე არეებზე გადათესილ სოკო *F.oxyphorum*-ის სუფთა კულტურებს ვათავსებდით 25^0 ტემპერატურაზე, თერმოსტატში. დაკვირვება წარმოებდა კულტურის ზრდის ხასიათა და ნაყოფიანობის წარმოქმნაზე.


ცდის ბოლოს, ისაზღვრებოდა თითოეულ კოლბაში მიღებული მიცელიუმის მოსავალი, განვითარებული კულტურის წინასწარ გამომშრალ, სტანდარტულ ფილტრის ქაღალდებში, გაფილტვრისა და მუდმივ წონამდე დაყვანის გზით, რისთვისაც მუდმივ წონამდე დაყვანილ ფილტრის ქაღალდებში გაფილტრულ კულტურას, მინის ბიუქსებით ვაშრობდით საშრობ კარადაში $80-90^0\text{C}$ ტემპერატურაზე. შედეგები მოცემულია მე-17 ცხრილსა და მე-9 დიაგრამაში.

ცხრილი 17

საკვები არეების წყალბადიონების კონცენტრაციების გავლენა სოკო

Fusarium oxysporum-ის ზრდა-განვითარებაზე

საკვები არის pH ცდის დაწყებამდე	საკვები არის pH ცდის შემდეგ	მშრალი მიცელიუმის საშუალო წონა,გ M±m
2,6	2,4	$0,561\pm0,009$
3,8	3,8	$0,72\pm0,002$
4,5	4,1	$0,8012\pm0,0004$
5,3	4,4	$0,8151\pm0,0003$
6,0	4,05	$0,6312\pm0,0002$
7,2	6	$0,615\pm0,0005$
9	6,5	$0,5023\pm0,0001$
9,5	6,4	$0,5200\pm0,0008$



დიაგრამა 9

როგორც ცხრილიდან (17) და დიაგრამა დან ჩანს, სოკო *F.oxyssporum*-ი ვითარდება pH არის ფართო დიაპაზონზე. ის კარგად ვითარდება pH-ის 2,6 – 9,5-ის საზღვრებში. მიცელიუმის ყველაზე უკეთესი განვითარება აღინიშნა მჟავე და ნეიტრალური არის პირობებში pH – 3,8-7,2. შედარებით სუსტ განვითარებას ძლიერ მჟავე (pH – 2,6) და ტუტე არეებზე (9 – 9,5) ჰქონდა ადგილი. აქედან გამომდინარე, სოკოს განვითარების ქვედა ზღვრად pH – 2,6 ითვლება.

ამრიგად, სოკო *F.oxyssporum*-ის ყველაზე უკეთესი განვითარება pH – 5,3-ის შემთხვევაში აღინიშნა და მშრალი მიცელიუმის წონამ 0,8151 გ შეადგინა, ყველაზე სუსტი განვითარება აღნიშნული სოკოსათვის pH – 9-ის საკვები არის შემთხვევაში იყო და მშრალი მიცელიუმის მასა 0,5023 გ აღმოჩნდა.

ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა სხვადასხვა pH-ის მქონე საკვები არეების გავლენა სოკო *V. lateritium*-ის ზრდა-განვითარებაზე. ცდის ბოლოს, ისაზღვრებოდა თითოეულ კოლბაში მიღებული მიცელიუმის

მოსავალი, იმავე გზით, რითაც განვსაზღვრეთ *F.oxysporum* მიცელიუმის წონა.

ჩვენს მიერ ჩატარებული ცდის შედეგები მოგანილია ცხრილ 18-ში და დიაგრამა 10-ში.


ცხრილი 18

საკვები არების წყალბადიონების კონცენტრაციების გავლენა სოკო

V. lateritium-ის ზრდა-განვითარებაზე

საკვები არის pH		ნაყოფიანობის წარმოქმნის დრო, დღე	მშრალი მიცელიუმის საშუალო წონა, გ M±m
ცდის დაწყებამდე	დათესვიდან 30 დღის შემდეგ		
2,1	2,5	—	0,0970±0,002
3,1	3,12	6	0,1740±0,001
4,1	3,91	4	0,2831±0,02
5,0	4,83	4	0,2071±0,002
6,8	5,9	4	0,3221±0,001
7,9	7,6	4	0,5599±0,01
8,2	8,05	4	0,3047±0,01
9,7	9,9	4	0,1928±0,03
11,4	9,91	4	0,0931±0,003
12,0	11,23	4	0,0079±0,02

**საკვები არეების წყალბადიონთა კონცენტრაციების
გავლენა სოკო *V.lateritium* ზრდა-განვითარებაზე**



დიაგრამა 10

როგორც ცხრილიდან (18) და დიაგრამდან (10) ჩანს, სოკო *V. lateritium*-ი ვითარდება pH არის ფართო დიაპაზონზე. ის კარგად განვითარდა pH-ის 4-10,0 საზღვრებში. აღნიშნულ pH-ზე სოკო ნაყოფიანობის წარმოქმნას იწყებდა მეოთხე დღეს. მიცელიუმის ყველაზე უკეთესი განვითარება აღინიშნა ნეიტრალურ და ოდნავ ტუტე საკვები არის პირობებში pH – 6,8-8,2, ხოლო სუსტი განვითარება აღინიშნა ძლიერ მჟავე არეზე pH – 2,1-ის დროს და მშრალი მიცელიუმის საშუალო მასამ შეადგენდა 0,097 გ და ძლიერ ტუტე საკვები არის პირობებში pH – 11,4-12, სადაც მშრალი მიცელიუმის მასა 0,0931- 0,0079გ იყო. სპორების წარმოქმნას კი აღგილი არ ჰქონია. აქედან გამომდინარე, სოკოს განვითარების ქვედა ზღვრად, შეიძლება ჩაითვალოს pH – 2,1.

აღსანიშნავია, რომ pH-ის ცვლილებით საკვებ არეზე, იცვლებოდა სოკოს ნაყოფიანობის ტიპი. ასე მაგალითად, pH – 4,1-5,0-ის შემთხვევაში აღინიშნებოდა *Cephalosporum*-ის სტადიის განვითარება,

იმის მიუხედავად, რომ პარალელურად შეინიშნებოდა მხოლოდ მცირე რაოდენობით *Verticillium*-ის ფიალიდების განვითარება. pH – 6,8-11,4-ის პირობებში მოხდა, დიდი რაოდენობით, *Verticillium*-ის ტიპის ნაყოფიანობის წარმოქმნა. ძლიერ მჟავე არეზე pH – 3,1, სოკომ მხოლოდ, *Cephalosporum*-ის ტიპის ნაყოფიანობა განივითარა.

ამრიგად, სოკო *V. lateritium*-ის ყველაზე უკეთესი განვითარება აღინიშნა ნეიტრალურ, სუსტ და ძლიერ ტუტე საკვები არის პირობებში pH – 6,8-8,2, ხოლო სუსტი განვითარება აღინიშნა ძლიერ მჟავე pH – 2,1-ისა და ძლიერ ტუტე pH – 11,4-12 საკვები არეების შემთხვევაში, რაც სოკოს განვითარების ქვედა ზღვრად შეიძლება ჩაითვალოს.

4.7. სხვადასხვა საკვები არის გავლენა სოკო *F.oxy sporum* და სოკო *V. lateritium* ზრდა-განვითარებაზე

ზოგადად ცნობილია, რომ საკვები არეები დიდ გავლენას ახდენენ სოკოების ზრდა-განვითარებაზე, მათ მორფოლოგიურ და კულტურარულ ნიშან-თვისებებზე, ზრდის ხასიათსა და ნაყოფიანობის წარმოქმნაზე.

ხშირად, მცენარეში არსებული ნივთიერებათა თავისებურება და რაოდენობა განაპირობებს სოკოს მისდამი პათოგენობასაც. აქედან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა საკვები არეების გავლენის შესწავლას პათოგენური ორგანიზმების ზრდა-განვითარებასა და მორფოლოგიურ თავისებურებებზე.

ამ მიზნით, ჩვენს მიერ, შესწავლილი იყო სხვადასხვა საკვები არის გავლენა სოკო *F.oxy sporum*-ისა და სოკო *V. lateritium*-ის ზრდა-განვითარებაზე. გამოცდილი იყო კარტოფილის, შვრიის, ბრინჯის, სტაფილოს, სიმინდის, ლობიოსა და ლუდის ტკბილის აგარიზებული არეები. ზემოდ აღნიშნულ მცენარეთა ნახარშებს ემატებოდა 10 %-იანი

გლუკოზა. ცდის ერთ ვარიანტში სოკოების საკვებ არედ ვიყენებდით უგლუკოზო კარტოფილის აგარს. ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები დაჯამებულია ცხრილ 19 და 20-ში.

ცხრილი 19-დან ნათელია, რომ სოკო *F.oxytormum*-ი კარგად ვითარდება ჩვენს მერ გამოცდილ ყველა საკვებ არეზე. მაგრამ მისი ზრდა-განვითარებისათვის საუკეთესო საკვებს წარმოადგენს კარტოფილის აგარიზირებული ნახარში 10%-იანი გლუკოზით, სადაც სოკოს კოლონიის დიამეტრი, პეტრის თასებში, მეათე დღეს, საშუალოდ, $90,5 \times 90,5$ მმ-ს შეადგენდა. აღნიშნულ საკვებ არეზე, წარმოქმნა თეთრი ფერის ფუმფულა, ჰაეროვანი მიცელიუმი, რომლის ქვედა ზედაპირი ვარდისფერი იყო. სოკოს ნაყოფიანობა აღინიშნა მეორე დღეს.

ლუდის ტკბილის, შერიისა და ბრინჯის აგარიზირებულ საკვებ არეებზე 10%-იანი გლუკოზით, განვითარებული სოკო *F.oxytormum*-ის მორფოლოგიური ნიშნები ერთმანეთს მსგავსი იყო. სამივე შემთხვევაში წარმოიქმნა თეთრი, ფუმფულა, ჰაეროვანი მიცელიუმი, ვარდისფერი ცენტრით. სხვა შემთხვევებში, სოკოს განსხვავებული მორფოლოგიური ნიშნები აღენიშნებდა. უგლუკოზო კარტოფილზე წარმოქმნილი ჭუჭყიანი-თეთრი მიცელიუმი იცვლებოდა მოთეთრო-მოვარდისფრო სქელი, მკვრივი მიცელიუმით (სიმინდის აგარიზირებულ ნახარშე), წვრილი, სხეულისფერი ლორწოვანი მიცელიუმით (სტაფილოს აგარიზირებულ ნახარშე), და სხეულისფერი მიცელიუმით (ლობიოს აგარიზირებულ ნახაშე). აქ, ყველა შემთხვევაში, ნაყოფიანობის წარმოქმნა მოხდა მე-4 დღეს.

სხვადასხვა საკვები არის გავლენა სოკო F.oxytsporum ზრდა-
განვითარებაზე


№	საკვები არების დასახელება	ქოლონის დიამეტრი 10 დღის შემდეგ, მმ	ნაყოფიან ობის წარმოქმნა , დღე	მორფოლოგიური თავისებურებანი
1	აგარიზებული ლუდის ტკბილი	85×80	3	ფუმფულა, ჰაეროვანი მიცელიუმი, თეთრი ფერის, ცენტრი ვარდისფერი
2	აგარიზებული კარტოფილის ნახარში	85,1×78,5	4	ჭუჭყიანი-თეთრი მიცელიუმი
3	აგარიზებული კარტოფილის ნახარში 10 % გლუკოზით	90,5×90,5	2	ფუმფულა ჰაეროვანი მიცელიუმი თეთრი ფერისაა, ქვედა ზედაპირი ვარდისფერი
4	აგარიზებული შვრიის ნახარში	75,7×73	4	ფუმფულა, ჰაეროვანი მიცელიუმი, თეთრი ფერის, ცენტრი ვარდისფერი
5	აგარიზებული ბრინჯის ნახარში	72,5×71,3	4	თეთრი ჰაეროვანი მიცელიუმი, მკვეთრი ვარდისფერი ცენტრით
6	აგარიზებული სიმინდის ნახარში	73,5×71	4	სქელი, მკვრივი მიცელიუმი, მოთეთრო- მოვარდისფრო
7	აგარიზებული სტაფილოს ნახარში	75,7×73,7	4	წვრილი, სხეულისფერი ლორწოვანი მიცელიუმი
8	აგარიზებული ლობიოს ნახარში	80,4×76,2	4	სხეულისფერი მიცელიუმი

ცხრილი 20

სხვადასხვა საკვები არის გავლენა სოკო V. lateritium ზრდა- განვითარებაზე

№	საკვები არების დასახელება	კოლონის დიამეტრი 10 დღის შემდეგ, მმ	ნაყოფიან ობის წარმოქმნა ,დღე	მორფოლოგიური თავისებურებანი
1	აგარიზებული ლუდის ტებილი	84×81,2	3	ცენტრში მიცელიუმი მოყავისფრო აგურისფერი, ირგვლივ დია ყავისფერი, კონცენტრული ზონალობით
2	აგარიზებული კარტოფილის ნახარში	85,1×78,2	4	წვრილი მიცელიუმები, მოყავისფრო რუხი ფერის, გავრცელებულია სუბსტრატზე.
3	აგარიზებული კარტოფილის ნახარში 10 % გლუკოზით	90,2×90,2	2	ცენტრში მოთეთრო ფუმფულა მიცელიუმია, ირგვლივ მოყავისფრო-აგურისფერი, გავრცელებულია სუბსტრატზე
4	აგარიზებული შვრიის ნახარში	73,5×71	3	მიცელიუმი ცენტრში მსხვილია, ირგვლივ მოყავისფრო აგურისფერი, უფერო, კონცენტრული კიდეებით.
5	აგარიზებული ბრინჯის ნახარში	75,5×71,7	3	ცენტრში მიცელიუმი მაღალია, მორუხო ფაფუკი, ირგვლივ წვრილი მოყავისფრო- აგურისფერი
6	აგარიზებული სიმინდის ნახარში	80,3×75,3	3	მიცელიუმი გავრცელებულია კონცენტრული ზონალობით, აღენიშნა მოყავისფრო- აგურისფერი შეფერვა, თეთრი კედეებით
7	აგარიზებული სტაფილოს ნახარში	75,7×73,7	3	ცენტრში მორუხო, ფუმფულა მიცელიუმია, ირგვლივ მოყავისფრო ზონალობით
8	აგარიზებული ლობიოს ნახარში	85,3×84,6	3	მიცელიუმი ცენტრში მაღალია, მორუხო, ირგვლივ კი მოყავისფრო-რუხი ფერისაა განლაგებული.

როგორც მე-20 ცხრილიდან ჩანს, სოკო *V. lateritium*-ი ყველაზე კარგად ვითარდება აგარიზებულ კარტოფილის ნახარშეე, რომელიც შეიცავდა 10 % გლუკოზას (მე-10 დღეს კოლონიის დიამეტრი $90,2 \times 90,2$ მმ-ს შეადგენდა). აღნიშნულ საკვებ არეზე სოკომ წარმოქმნა ცენტრში მაღალი, აწეული, ფაფუკი, ირგვლივ კი – მოყავისფრო-აგურისფერი მიცელიუმი (სურათი 23.1).



სურათი 23. სხვადასხვა საკვები არის გავლენა სოკო *V. lateritium*-ის ზრდაზე.

- 23.1. კარტოფილის აგარიზებული ნახარში 10%-იანი გლუკოზით;
- 23.2. შვრიის აგარიზიურებული ნახარში;
- 23.3. კარტოფილის აგარიზირებული ნახარში;
- 23.4. ლუდ-აგარი;
- 23.5 ბრინჯის აგარიზირებული ნახარში;
- 23.6. სტაფილოს აგარიზირებული ნახარში;
- 23.7. სიმინდის აგარიზირებული ნახარში;
- 23.8. ლობიოს აგარიზირებული ნახარში.

ანალოგიური კულტურალური ნიშნებით გამოირჩეოდა სოკო *V. lateritium*-ი ბრინჯის, სტაფილოსა და ლობიოს ნახარშების აგარიზებულ საკვებ არეებზე; ამ შემთხვევაშიც, ცენტრში განვითარდა მაღალი კოლონია, მოთეთრო-მორუხო ფერის ფაფუკი მიცელიუმით (სურათი 23.5, 23.7, 23.8).

სხვა დანარჩენ საკვებ არეებზე ვითარდებოდა მოყავისფრო-აგურისფერი მიცელიუმები, კიდეებზე უფერო ან თეთრი კონცენტრული

ზონალობით (სურათი 23.2, 23.3, 23.4, 23.8). სხვადასხვა საკვებ არეზე სოკოს ნაყოფიანობა წარმოიქმნებოდა თითქმის ერთდროულად, მესამე-მეოთხე დღეს. ყველაზე უხვი ნაყოფიანობა აღინიშნა შვრიის, ბრინჯის, სტაფილოსა და კარტოფილის ნახარშების აგარიზებულ არეებზე. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ აგარიზირებულ სიმინდის ნახარშებ ხდებოდა კონიდიათმტარების კარგად განვითარება.

ჩატარებული ცდების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სოკო V. lateritiumi კარგად ვითარდება, ყველა, ჩვენს მიერ, გამოცდილ საკვებ არეზე. მხოლოდ, აღინიშნება მიცელიუმისა და ნაყოფიანობების მორფოლოგიური თავისებურებანი, ქლამიდოსპორების წარმოქმნის განსხვავებული ინტენსივობა. მათ დიდი რაოდენობით განვითარებას აქვს ადგილი დარიბ საკვებ არეებზე – უგლუკოზო კარტოფილზე.

V თავი

ფუზარიოზისა და გერტიცილიოზის გამომწვევი სოკოების **Fusarium oxysporum** Schl. და **Verticillium lateritium** Berk. მოქმედების მექანიზმის
შესწავლისათვის

5. 1. სოკო F. oxysporum-ის ტოქსიკური აქტივობა და პატრონ-მცენარეზე მოქმედება

სოკო F. oxysporum-ის მოქმედების მექანიზმის შესწავლის მიზნით, ჩვენს მიერ წარმოებდა სხვადასხვა ხნოვანების კულტურალური ფილტრატის გავლენის შესწავლა ინდიკატორი სოკოების სპორების გაღივებასა და მცენარის ყლორტების ზემოქმედებაზე დაკვირვებით.

ზოგადად ცნობილია, რომ ფიტოპათოგენური სოკოები, პატრონ-მცენარის ქსოვილებზე მოხვედრისას, გამოყოფენ ტოქსიკურ ნივთიერებებს, რითაც იწვევენ ქსოვილების მოწამვლას და გზას იკაფავენ პატრონ-მცენარის ქსოვილებში გავრცელებისათვის, რასაც საბოლოოდ, თან სდევს პატრონი მცენარის დაღუპვა (Биллай В. И., 1971; Беккер З. Е., 1971; Родигин В. М., 1995).

ტოქსინებად შეიძლება ჩაითვალოს სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებანი ან ნივთიერებათა ჯგუფები, რომლებიც მცენარეში დამკვიდრების შემდეგ იწვევენ ბიოლოგიური პროცესების დარღვევას (Рубин Б. А., Арциховская Е. В., 1968; Мирчинк Т. Г., 1990; Бородин Г. И. и др., 1978). ლ. ვ. მერტІЦКИЙ და О. Л. ОЗЕРЕЦКОВСКИЙ (1984) მონაცემებით, ტოქსინები წარმოადგენენ დაბალმოლექულურ, სხვადასხვა ქიმიური ბუნების მქონე ნაეროებს (ოლიგოპეპტიდები, ტერპენოიდები, გლუკოზიდები). ა. ე. გომიანის (Gäuman A. E., 1957) მოსაზრებით, მრავალი მცენარის ჭკბობის გამომწვევ ნივთიერებად ითვლება ფუზარიუმის მუავა.

ავტორთა ნაწილი აღნიშნავს პათოგენურ სოკოთა მიერ ტოქსიკურ ნივთიერებათა გამოყოფასა და მათ მიერ გამოწვეულ პათოლოგიურ

ՀՅԱԼՈՎԵՑԵՑ (D. Gottlieb, 1944; I. Berend, 1953; Б. Т. Катарьян, 1968; В. И. Биллай, 1977; А. Жаханов, 1979; Ջ. յանիազյլո, 1983; Թ. յոթյանչյոլո, 1985; Ե. յանեսյան, 1985; Կ. եղցյալյան, 1987; Ե. տաշճյուհյան, 1987; Ժ. Հայրապետյան, 1988).

ფიტოპათოგენური სოკოების მიერ გამოყოფილი ტოქსიკური ნივთიერებების გავლენის შესწავლისას მცენარეთა ქსოვილებზე, ა. დაიმონდმა და პ. ვაგონერმა (Dimond A., Waggoner P., 1953) დაადგინეს, რომ არსებობენ „საკუთარი ტოქსინები”, რომელსაც გამოყოფენ თვითონ პათოგენი სოკოები და „ვიგოტოქსინები”, რომლებიც გამოიყოფა დაზიანებული ქსოვილების მიერ, პარაზიტის ზემოქმედების შედეგად.

ა. გომანის (1954) მონაცემებით, ტემპერატურის მომატება ზრდის ტოქსინების ზემოქმედებას მცენარეზე. პამიდვრის ჰკნობის გამომწვევი სოკო *Fusarium oxysporum*-ის მიერ გამოყოფილი ტოქსიკური ნივთიერებების მოქმედება 30°C ტემპერატურაზე უფრო გაძლიერებულია.

სოკოების მიერ გამოყოფილი, ტოქსიკური ნივთიერებანი, იწვევენ პათოლოგიური ცვლილებებს და არღვევენ ქსოვილებში წყლის ბალანსს (Caroselli N., 1959).

კულტურულ მცენარეთა წვენიდან გამოყოფილი *Alternaria solani*-ს ტოქსინების შესწავლისას, აღმოჩნდა, რომ კარტოფილისა და პამიდვრის უჯრედები 4-8-ჯერ უფრო მეტად ავლენებ მგრძნობელობას *A. solani*-ს ტოქსინების მიმართ, ვიდრე პარკოსნები და სტაფილო (Handa Avtar K., 1982).

თ. წაქაძის (1967) მონაცემებით, სოკო *Cytospora leukostoma*-ს აქვს უნარი, ნივთიერებათა ცვლის პროცესში, გამოყონ შხამიანი ნივთიერებანი, რომლებიც მიეკუთვნება ტოქსინთა ჯგუფს. ისინი უარყოფითად მოქმედებენ კურკოვანთა აღმონაცენებზე (გარგარი,

ატამი), რაც იწვევს მათ ჭკნობას; ეს ნივთიერებანი უარყოფითად მოქმედებენ მრავალი სოკოს სპორათა ჩამოყალიბება-მომწიფებაზე.

ლიტერატურაში არსებობს ცნობები *Alternaria solani*-ს (Mart.) Appel et. Wr.Var. *eumartii* (Carpenter) Wr. კულტურალური ფილტრატის პატრონ-მცენარის ქსოვილებზე ტოქსიკური ზემოქმედების შესახებ (Кухарская Л. К., Балюта И. Т., Попова Н. Н., 1986).

იგივე ავტორები მიუთითებენ, რომ სოკო *Fusarium solani*-ს var. *eumartii*, მიერ გამოყოფილი ტოქსინები აფერხებენ ფარულთესლიანთა ღეროს ზრდას; იწვევენ ხორბლის, კიტრისა და ფიჭვის ფესვების ზრდის შეფერხებას.

ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა მცენარის დაავადებული დეროდან გამოყოფილი სოკო *Fusarium oxysporum*-ის ტოქსიკურობა. სოკოს სხვადასხვა ხნოვანების კულტურალური ფილტრატის ტოქსიკური აქტივობის შესამოწმებლად, ჩაპეკის საკვებ არეზე განვითარებული სოკოს კულტურალურ ფილტრატში ვაღივებდით ბიონდიკატორ სოკო *Coniothyrium*-ის სპორებს, საკონტროლოდ კი ვიყენებდით – სუფთა ჩაპეკსა და წყალს. კვლევის შედეგები მოცემულია მე-21 ცხრილში და დიაგრამა 11-ში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ტოქსიკური ნივთიერებების გამოყოფა სოკოს კულტურალურ ფილტრატში იწყება მეათე დღეს. ამ დროს, ბიონდიკატორის სპორების გაღივება შეადგენს 67 %-ს. 40 დღის შემდეგ, გაღივებული სპორების რიცხვი მინიმუმამდე ეცემა (3). ორმოცდაათდღიან კულტურალურ ფილტრატში, ტოქსიკურ ნივთიერებათა წარმოქმნა მცირდება, ხოლო 80-დღიან კულტურალური ფილტრატის ტოქსიკურობა მინიმუმამდე ეცემა და ბიონდიკატორის სპორების დივების პროცენტი კონტროლს უახლოვდება.

სოკო *F. oxysporum*-ის კულტურარული ფილტრატის გავლენა სოკო *Coniothyrium*-ის სპორების გადივებაზე

ცდის ვარიანტები	გადივებული სპორების რაოდენობა %-ში სხვადასხვა ხნოვანების კულტურალურ ფილტრატში						
	მე-10 დღე	მე-20 დღე	30-ე დღე	მე-40 დღე	50-ე დღე	მე-60 დღე	მე-80 დღე
კულტურალური ფილტრატი	67	42	6	3	30	48	75
სუფთა ექსტრატი	100	100	100	100	100	100	100
წვიმის წყალი	92	92	80	88	90	87	92

ამრიგად, სოკო *F. oxysporum*-ს უნარი აქვს, ნივთიერებათა ცვლის პროცესში, გამოყოს ტოქსიკური ნივთიერებანი. კულტურალური ფილტრატის მაქსიმალური ტოქსიკურობა აღინიშნებოდა 30-60 დღის ხნოვანების ფილტრატში, ხოლო ფილტრატის ხნოვანების შემდგომი გაზრდისას ადგილი აქვს ტოქსიკურობის მინიმუმამდე შემცირებას. აღნიშნული მოვლენა შესაძლოა, უშუალო კავშირში იყოს ფილტრატში არსებული საკვები ნივთიერებების შემცირებასთან.


5.2. სოკო *V. lateritium*-ის ტოქსიკური აქტივობა და პატრონ-მცენარეზე მოქმედება

სოკო *V. lateritium*-ის მიერ ტოქსიკურ ნივთიერებათა გამოყოფის შესწავლის მიზნით, აღნიშნული სოკო გადაგვქონდა თხიერ საკვებ არეზე. კულტურარული ფილტრატის ტოქსიკურობას ვაკონტროლებდით ყოველ მეათე დღეს, ორი თვის განმავლობაში. ცდების შედეგები მოტანილია მე-22 ცხრილში და დიაგრამა 11-ში.

ცხრილი 22

სოკო *V. lateritium*-ის კულტურარული ფილტრატის გავლენა სოკო *Coniothyrium*-ის სპორების გაღივებაზე

ცდის გარიანტები	გაღივებული სპორების რაოდენობა, % სხვადასხვა სნოვანების კულტურალურ ფილტრატში						
	მე-10 დღე	მე-20 დღე	30-ე დღე	მე-40 დღე	50-ე დღე	მე-60 დღე	მე-80 დღე
კულტურალური ფილტრატი	95	78	66	41	32	39	97
სუფთა ექსტრატი	100	100	100	100	100	100	100
წვიმის წყალი	89	92	91	100	88	98	98



დიაგრამა 11

ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ სოკო *V. lateritium*-ის მიერ, ტოქსიკურ ნივთიერებათა შესამჩნევი გამოყოფა შეინიშნება ოცდღიან ფილტრატში. ამ დროისთვის, ბიოინდიკატორის სპორების გაღივება ეტაპობრივად მცირდება კონტროლთან შედარებით და

შეადგინა 78%. კულტურალური ფილტრატის ტოქსიკურობა იზრდებოდა და მაქსიმუმს აღწევდა 50-დღიან ფილტრატში; *Coniothyrium*-ის გაღივებული სპორების რაოდენობა 32 %-ია. შემდგომ, მცირდებოდა მისი ტოქსიკურობა და 80-დღიან კულტურალური ფილტრატში მინიმუმამდე ეცემოდა.

ამრიგად, ჩვენს მიერ დადგენილ იქნა, რომ სოკო *V. lateritium*-ი გამოყოფს ტოქსიკურ ნივთიერებებს, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ ბიონდიკატორის სპორების გაღივებაზე. მისთვის აქტიური ტოქსიკურობა არ არის დამახასიათებელი. დადგენილია, რომ კულტურალური ფილტრატის ტოქსიკურობა მისი დუღილის შემდეგაც არ მცირდება. რაც სოკოების მიერ გამოყოფილი ტოქსინების თერმოსტაბილურობაზე მიუთითებს.

5. 3. სოკო *Fusarium oxysporum* Schl. და *Verticillium lateritium* Berk.

ცელულოზოლიტური ფერმენტების აქტივობა და მოქმედება მცენარეზე გარდა იმისა, რომ პარაზიტი, პატრონ-მცენარეში შეჭრისა და მის ქსოვილებში დამკვიდრების მიზნით, გამოყოფს ტოქსინებს, რითაც წამლავს პატრონ-მცენარის უჯრედებსა და გზას იკვალავს ქსოვილებში დამკვიდრებისათვის. პარაზიტი გამოიმუშავებს, ასევე, პექტოლიტურ და ცელულოზოლიტურ ფერმენტებს, რომელთა მეშვეობითაც შლის უჯრედის კედლის შემადგენლობაში არსებულ პექტინისა და ცელულოზის რთულ მოლეკულებს, იცილებს მექანიკურ ბარიერს, რის შედეგადაც იჭრება პატრონი მცენარის უჯრედებში, იწყებს ქსოვილების მაცერაციას, რასაც მცენარის ქსოვილების კვდომა მოსდევს. ამ საკითხთან დაკავშირებით ლიტერატურაში უამრავი ინფორმაცია მოიპოვება (Горленко М. В., Новобранова Т. И., 1971; Васильева К. В., Гладких Т. А., 1976; Биллай В. И. и др., 1978; Prasad L., Bhargava K.,

Mehrotra R. S., 1989; Айзеберг В. Л., 1980; Тащуплатов Ж. и др., 1990; Strand et al, 1991; Решетникова И. А., Чайка М. Н., 1982;).

ს. რასსელის (Russel S., 1975), რ. ილინასა და ო. სტეპანოვას (Ильина Р. М., Степанова О. А., 1978) მტკიცებულებით, უსრული სოკოების უმრავლესობა გამოყოფს ცელულოზოლიტურ ფერმენტებს, რითაც ხდება უჯრედის კედლის ცელულოზის დაშლა და გრცელდებიან მცენარეები. ამ ფერმენტთა აქტიურობა, პათოგენის ასაკის პარალელურად, იზრდება.

Psidium guagava-ს დაზიანებული ნაყოფის შესწავლის დროს, დადგენილ იქნა, სოკო *Phytophthora nicotiana* var. *parasitica*-ს მიერ, ადგილი აქვს ცელულოზოლიტური და პექტინოვანი ფერმენტების გამოყოფას *in vivo* და *in vitro*-ს პირობებში, რომლებიც იწვევენ მცენარის ქსოვილების მაცერაციას, ადგილი აქვს დაზიანებული ნაყოფების გაუწყლოებას (Prasad L., Bhargava K., Merotra R., 1979), რასაც თან სდევს მცენარეული ორგანიზმის კვდომა.

შილიგფორდისა და საკლერის (Shilingford, Siucleir, 1997) მონაცემებით, სოკო *Colletotrichum musae* და *Fusarium semitectum*-ი გამოყოფენ პექტო და ცელოლუზოლიტურ ფერმენტებს, რომლებიც იწვევენ ქსოვილების გაცერაციასა და პარაზიტის დამკვიდრებას პატრონ მცენარეში.

ჩვენს მიერ შესწავლით იქნა სოკო *V. lateritium*-ისა და სოკო *F. oxysporum*-ის ცელულოზოლიტური ფერმენტების აქტივობა, რისთვისაც ამ პათოგენთა წმინდა კულტურებს ვთესავდით ჩაპეკის თხევად საკვებ არეზე, სადაც ვათავსებდით წინასწარ მუდმივ წონამდე დაყვანილ ფილტრის ქაღალდს. ცდის ბოლოს დარჩენილი ფილტრის ქაღალდი დაგვყავდა მუდმივ წონამდე და საწყის და საბოლოო წონათა სხვაობით ვსაზღვრავდით სოკოს მიერ შეთვისებული უჯრედანას რაოდენობას. *V.lateritium*-ის შემთხვევაში, თავდაპირველად, ფილტრის

ქაღალდი იფარებოდა მოყვითალო ფერის ლორწოვანი მიცელიუმით, რომელიც შემდეგ ღებულობდა აგურისფერს.

80 დღის შემდეგ, ადგილი პქონდა ფილტრის ქაღალდის 69,1 %-ის დაშლას (ცხრილი 23).

ცხრილი 23

სოკო *V. lateritium*-ისა და სოკო *F. oxysporum*-ის ცელულოზოლიტური ფერმენტების აქტივობა

სოკოს დასახელება	ფილტრის მასა გ-ში			დაშლილი უჯრედანა %-ში
	ცდამდე	ცდის შემდეგ	დაშლილი უჯრედანა 80 დღის შემდეგ, M±m	
<i>V. lateritium</i>	0,4481	0,1578	0,2889±0,002	69,1
<i>F.oxysporum</i>	0,4490	0,2384	0,2118±0,01	47,12
<i>F.oxysporum</i>	0,4442	0,4432	0,0002±0,004	0,093

ცხრილში არსებული მონაცემების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სოკო *V. lateritium*-ი ხასიათდება ცელულოზოლიტური ფერმენტების მაღალი აქტივობით. სოკო *F. oxysporum*-ის ცელულოზოლიტური ფერმენტების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ჩაპეკის საკვებ არეზე სოკომ წარმოქმნა ფაფუკი, ჰაეროვანი, მოვარდისფრო-თეთრი მიცელიუმი. 80 დღის შემდეგ, ფილტრის ქაღალდი დაიშალა. ამ დროს, ათვისებული ცელულოზის რაოდენობამ შეადგინა 47,12 % (ცხრილი 22).

ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგები ცხადყოფენ, რომ სოკო *F. oxysporum*-ი და *V. lateritium*-ი, ნივთიერებათა ცვლის პროცესში გამოყოფენ ტოქსიკურ ნივთიერებებს. *F. oxysporum*-ი მეტად ტოქსიკურია, ვიდრე სოკო *V. lateritium*-ი. სოკო *F. oxysporum*-ის კულტურალურ

ფილტრატში ტოქსიკური ნივთიერებების წარმოქმნა იწყება მეათე დღიდან და მაქსიმუმს 30-40 დღეში აღწევს; მაქსიმალური ტოქსიკურობა შეინიშნებოდა მე-40 დღეს. სოკო *V. lateritium*-ის მიერ ტოქსინების გამოყოფა ფიქსირდება 20 დღიან კულტურალურ ფილტრატში და მაქსიმუმს 50-დღიან ფილტრატში აღწევს (გაღივებულია სპორების 32 %-ია). გარდა ამისა, ორივე სოკო ხასიათდება ცელულოზური ფერმენტების აქტიურობით. ჩვენს შემთხვევაში, უფრო მეტი ფერმენტული აქტივობით გამოირჩევა სოკო *V. lateritium*-ი. სოკო *F. oxysporum*-ის მიერ ათვისებული ცელულოზას რაოდენობამ, კულტივაციიდან მე-80 დღეს შეადგინა 47,12 %, ხოლო სოკო *V. lateritium*-ის მიერ ათვისებული ცელულოზა 69,1 % იყო.

ამრიგად, ჩატარებული ექსპერიმენტით დადგენილია, რომ სოკო *V. lateritium*-ი და სოკო *F. oxysporum*-ი ნივთიერებათა ცვლის პროცესში გამოყოფენ ტოქსიკურ ნივთიერებებს. მათგან *F. oxysporum*-ი მეტი ტოქსიკურობით ხასიათდება, ვიდრე სოკო *V. lateritium*-ი. ამის გარდა, ორივე სოკო ხასიათდება ცელულოზოლიტური ფერმენტების აქტიურობით. ჩვენს მიერ დადგენილ იქნა, რომ უფრო მეტი ფერმენტული აქტიურობით სოკო *V. lateritium*-ი გამოირჩევა.

VI თავი.

დააგადებულ მცენარეში მიმდინარე პათოლოგიური ცვლილებები და გამძლეობის ზოგიერთი მაჩვენებელი. კატალაზას, პეროქსიდაზასა და

ვიტამინ „C“-ს შემცველობა საღ და დააგადებულ მცენარეებში

მცენარეთა ინფიცირებისას პატრონ-მცენარესა და პარაზიტს შორის მყარდება ოთული ბიოლოგიური დამოკიდებულება. მცენარის გამძლეობას განაპირობებს მისი უნარი, შეინარჩუნოს ნივთიერებათა ნორმალური ცვლა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ფერმენტატული ცილები. მცენარეში მიმდინარე ფერმენტული პროცესები განსაზღვრავენ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის ინტენსივობას. ავტორთა მონაცემებით (Сухоруков К. Т., 1960 և დრ.), ორგანიზმში ჟანგვითი პროცესების გაძლიერება იწვევს ორგანული ნივთიერებების დიდი რაოდენობით ხარჯვას, რასაც ორგანიზმი მიჰყავს გამძლეობის დაქვეითებამდე. ბ. რუბინის (Рубин Б. А., 1960), თ. წაქაძის (1958), ნ. კოვალ ნ. დ. (1967), ლ. იშჩენკოს (Ищенко Л. А., 1965) მონაცემებით, ჟანგვითი ფერმენტების აქტიურობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მცენარის გამძლეობაში.



ჩვენს მიზანს შეადგენდა გამოგვევლინებინა ჟანგვითი ფერმენტების: კატალაზასა და პეროქსიდაზას აქტივობის ცვალებადობა კარტოფილის ჭკნობის დროს შედარებით გამძლე და მიმდებიან ჯიშებში.

ფერმენტ კატალაზას აქტივობის განსაზღვრა დაფუძნებულია მის უნარზე, დაშალოს წყალბადის ზეჟანგი – წყლად და მოლეკულურ ჟანგბადად. გამოყოფილი ჟანგბადის მოცულობა ფერმენტ კატალაზას აქტივობის მაჩვენებელია.

პეროქსიდაზა – არის ზეჟანგების, ჟანგბადის გააქტივებული ფერმენტი, კერძოდ, წყალბადის ზეჟანგის. მისი ჟანგვის უნარით

დიდდება პეროქსიდაზას მოქმედება. მას შეუძლია დაუანგოს ორგანული ნაერთები: პოლიფენოლები, ამინები და სხვა.

ფერმენტების აქტივობა და ვიტამინ „C”-ს შემცველობა შესწავლილი იყო ხელოვნური დასენიანების ფონზე, დასენიანებიდან 9 დღის შემდეგ. შედეგები მოცემულია ცხრილ 24-ში და დიაგრამა 12, 13, 14-ში.



ცხრილი 24


კარტოფილის მიმღებიან და შედარებით გამძლე ჯიშებში
კატალაზას, პეროქსიდაზასა და ვიტამინ „C”-ს შემცველობის
ცვალებადობა ჭკნობის გამომწვევი სოკოებით დაავადების დროს

კარტოფილის ჯიში, გამძლეობა	ცდის გარიანტი	პატალაზა O_2 მლ/გ $\times 4^{\circ}\text{C}$	t	P	პეროქსიდაზა 0,01N ხსნ. გლ	t	P	ვიტამინი „C” გვ.%	t	P
დეზირე, შედარ. გამძლე	საღი მცენარე	24,0 \pm 0,1	37	0,04	3,75 \pm 0,017	0,02	0,07	74,8 \pm 2,5	7,17	1,6
	Verticillium lateritium-ით დაავადებული	23,7 \pm 0,6	4,6	0,05	5,25 \pm 0,005	0,02	0,07	66,4 \pm 0,8	—	1,9
	Fusarium oxysporum-ით დაავადებული	20,4 \pm 0,11	—	—	5,25 \pm 0,005	0,02	0,07	62,8 \pm 0,4	3,8	0,04
პიკასო, გამძლე	საღი მცენარე	16,4 \pm 0,54	19,3	0,01	5,25 \pm 0,005	0,02	0,07	83,6 \pm 1,1	3,2	0,05
	Verticillium lateritium-ით დაავადებული	16,5 \pm 0,3	7,09	0,04	9,41 \pm 0,5	0,57	0,44	70,4 \pm 4,4	6	0,04
	Fusarium oxysporum-ით დაავადებული	15,5 \pm 0,1	82	0,04	8,0 \pm 0,028	0,02	0,07	62,8 \pm 2,4	3,8	0,04
აგრია, მიმღებ.	საღი მცენარე	17,7 \pm 0,35	3,3	0,03	1,15 \pm 0,02	0,02	1,7	68,6 \pm 2,4	5,2	0,04
	Verticillium lateritium-ით დაავადებული	14,4 \pm 0,3	—	—	3,16 \pm 0,034	0,03	0,07	44 \pm 4	—	—
	Fusarium oxysporum-ით დაავადებული	13,7 \pm 0,1	—	—	2,86 \pm 0,01	—	—	38,1 \pm 1,3	—	—

t – სხვაობის მართებულობა;

P – ცდის სიზუსტე.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ვიტამინ „C"-ს შემცველობა სად მცენარეებში უფრო მაღალია. შედარებით გამძლე ჯიშებშიც მისი შემცველობის მაღალი დონე აღინიშნება მიმღებიანთან შედარებით. დაავადების შედეგად ვიტამინ „C"-ს შემცველობა როგორც მიმღებიან, ასევე შედარებით გამძლე ჯიშებში მცირდება, მაგრამ ეს პროცესი უფრო მკვეთრადაა გამოხატული მიმღებიან ჯიშში, გამძლესთან შედარებით.



დიაგრამა 14

ჩატარებული კვლევიდან ირკვევა, შედარებით გამძლე ჯიშებში უფრო მაღალია უანგვა-ალდგენით პროცესებში მონაწილე ფერმენტების (კატალაზა, პეროქსიდაზა) აქტივობა, მიმღებიანთან შედარებით. დაავადების შედეგად ყველა შემთხვევაში, კატალაზას აქტივობის შემცირება ხდება, ხოლო პეროქსიდაზას აქტივობა მეტად იზრდება გამძლე ჯიშებში, ვიდრე მიმღებიანში. დაავადების საწყის ეტაპზე უმნიშვნელოდაა გაზრდილი პეროქსიდაზას აქტივობა მიმღებიანში, თუმცა ყოველთვის უფრო ნაკლებია გამძლე ჯიშის პეროქსიდაზას აქტივობაზე.

მიღებული მონაცემები მიუთითებენ, იმაზე რომ, გამდლე ჯიშ პიკასოში, პეროქსიდაზას უფრო მეტად გაზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს მცენარის ქსოვილებში პათოგენის საპასუხო თავდაცვითი რეაქციის შედეგად არსებული ფერმენტების გაძლიერებული წარმოქმნით და მისი აქტიური მონაწილეობით მცენარის თავდაცვით რეაქციებში. მიმღებიან აგრიას ჯიშში დაავადების გვიან სტადიაზე, პეროქსიდაზას აქტივობის გაზრდა უნდა იყოს ჟანგვა-აღდგენითი პროცესების გადახრით ჟანგვისაკენ. რაც შეეხება კატალაზას, მცენარეთა დაავადების შემდეგ, მისი ცვალებადობა უმნიშვნელოა, როგორც გამდლე, ასევე მიმღებიან ჯიშებში.

ამრიგად, მიღებული შედეგების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, ფერმენტების აქტივობა, ვიტამინ „C”-ს მაღალი შემცველობა და მათი უმნიშვნელო (კატალაზა და ვიტამინი „C”) და მნიშვნელოვანი (პეროქსიდაზა) ცვალებადობა დაავადების შემდეგ, გამდლეობის მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს.

VII თავი

კარტოფილის ჭერნობის წინააღმდეგ ბრძოლის დონისძიებების შემუშავება

7.1. სარგავი ტუბერების ფიტოსანიტარული მდგომარეობის შემოწმება და შერჩევა

საქართველოში კარტოფილის მოსავლიანობა ყველაზე დაბალია მსოფლიოს მასშტაბით, რადგანაც მცირე მიწიანობის გამო არ ხდება კულტურათა მორიგეობა და თესლბრუნვა. ერთი და იგივე მიწის ნაკვეთზე, ერთი და იგივე კულტურის წარმოებამ გამოიწვია კარტოფილის ვირუსული გადაგვარება, მაგნე ორგანიზმების საინფექციო მარაგის დაგროვება, შედეგად კი – მისი მოსავლიანობის მინიმუმამდე შემცირება.

კარტოფილის მოსავლიანობის ზრდისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ერთის მხრივ, აგროტექნიკური დონისძიებების სრულყოფას, მეორეს მხრივ, კი – ვირუსული, სოკოვანი და ბაქტერიული ინფექციებისაგან თავისუფალი, დაავადებებისადმი გამძლე ჯიშების საღი სარგავი მასალის თესვასა და შემდგომ დაცვას ინფექციებისაგან.

დღეისათვის, ვინაიდან ქვეყანა აღარ მარაგდება სხვა ქვეყნებიდან შემოზიდული სასურსათო კარტოფილით, დეფიციტის შესაბამისად, საქართველოს მეკარტოფილეობის რეგიონებში, ეს კულტურა ინტესიურად იწარმოება და მოსახლეობის ძირითად საარსებო საშუალებას წარმოადგენს. ამასთანავე, მოსახლეობამ ხელი მიჰყო კარტოფილის სარგავი მასალის საზღვარგარეთიდან სტიქიურ შემოზიდვასა და წარმოებას, რასაც ხშირად სავალალო შედეგებამდე მივყავართ. ვრცელდება საკარანტინო ობიექტები, დაავადებათა გამომწვევი მიკროორგანიზმების აგრესიული რასები, შტამები და ფორმები.

სადი სარგავი მასალის მისაღებად, სათესლე ნაკვეთიდან, დაავადების ხილული სიმპტომების მქონე მცენარეები უნდა იქნას გამოტანილი და განადგურებული. მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, საწყისი მცენარეების მდგომარეობის შესახებ, დასკვნების მისაღებად, საჭიროა შესაბამისი კვლევის ლაბორატორიული მეთოდების გამოყენება.

კარტოფილზე, გარდა ინფექციური დაავადებებისა, ადინიშნება ფუნქციონალური დაავადებანიც, ასევე, ხვატარების, მახრების, ღრაჭების, მაგთულა და ცრუმავთულა ჭიების, თაგვისებრი მღრღნელებისა და სხვა მავნებელთა მიერ გამოწვეული დაზიანებები, ისინი ინფექციის შექრისათვის დია კარს ქმნიან და წარმოადგენენ დაავადებათა დიდი ნაწილის გადამტანებსაც. ამიტომ, თავი უნდა ავარიდოთ ასეთი დაზიანებული კარტოფილის სარგავად გამოყენებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, კარტოფილის რგვისას მათი ჯიშობრივი სიწმინდის დაცვას (რაც საშუალებას მოგვცემს ვაწარმოოთ მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ დიფერენცირებული ბრძოლა), მათ სწორ განლაგებას ყოველი ნაკვეთის მიკროკლიმატისა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ ხდებოდა სარგავი მასალის შერჩევა. რადგან დაავადებათა ინფექცია ტუბერჟი ფარული ფორმითაა წარმოდგენილი, მათი ვიზუალური გადარჩევისას ყურადღების მიღმა რჩება ტუბერის სიღრმეში მოთავსებული პათოგენური ორგანიზმები, რომლებიც თავს იჩენენ სავეგეტაციო პერიოდში; ისინი იწვევენ ნარგაობათა გამეჩერებას ან აღმონაცენთა ინტენსიურ დაავადებას, განსაკუთრებით, ავადმყოფობებისათვის ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში. დადგენილია პირდაპირპროპორციული კავშირი სარგავი მასალის ფარული ინფექციების გავრცელების ინტენსივობასა და აღმონაცენთა დაავადების გავრცელების ინტენსივობას შორის. ტრაქეომიკოზური ჭინობის მიერ შესაძლო გამოწვეული ზარალის

შემცირების მიზნით, ჩვენს მიერ, ხდებოდა სარგავი კარტოფილის ორი კვირით ადრე გამოტანა საწყობებიდან, მოთავსება 14-18⁰-ზე, ლატენტური ინფექციების გამომუღავნებისა და გამორჩევის მიზნით. გარდა ამისა, სარგავ კარტოფილს ვათავსებდით მზის გულზე, რგვის წინ; რადგან ამ დროს ტუბერებში წარმოიქმნება სოლანინი, რაც მათ ინფექციებისაგან იცავს.

6.2. ბიოპრეპარატი „ლილე”, როგორც მძლავრი იმუნიზატორული საშუალება კარტოფილის ტრაქეომიკოზური ჭკნობის მიმართ

პესტიციდებით გაჯერებულ გარემოში, რაც იწვევს აგრო და ბიოცენოზების დარღვევასა და ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებას, ჩვენს მიზანს წარმოადგენს, შევიმუშაოთ და დავამკვიდროთ ბრძოლის ეკოლოგიურად უსაფრთხო ლონისძიებები მცენარეთა პათოგენური ორგანიზმების წინააღმდეგ, რაც ხელს შეუშლის გარემოს დაბინძურებას, მივიღებთ ეკოლოგიურად სუფთა და ამასთანავ, უხვ მოსავალს. ამ საკითხის გადაწყვეტას ეძღვნება მრავალ მკვლევართა ნაშრომები, რომელთა გამოკვლევებითაც შესაძლებელია მცენარეთა იმუნური სისტემის სხვადასხვა სტრუსორებისადმი ინდუცირება ფიტორეგულატორებით.

იმდენად, რამდენადაც ფიტორეგულატორები, უშუალოდ, პათოგენზე არ მოქმედებენ და ააქტიურებენ მცენარეთა იმუნურ სისტემას, ზრდიან მათ თავდაცვით რეაქციებს, მათი მოქმედების გამოვლინებას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მცენარე უშუალო კავშირშია პათოგენთან, მთელი ონტოგენეზის განმავლობაში. მისი მოქმედება უახლოვდება ბუნებრივ იმუნურ რეაქციებს. პესტიციდებისგან განსხვავებით, არ ხასიათდებიან რეზისტენტობით და არ იწვევენ მცენარეულ ორგანიზმებში მავნე ნივთიერებთა

დაგროვებას. ახდენენ პატრონ-მცენარის ორგანიზმში ფიზიოლოგიურ-ბიოქიმიური პროცესების გააქტიურებას.

ხელატური ტიპის ნაერთები, მათ შორის „ლილე“, პატრონ-მცენარის ორგანიზმში იწვევენ ფიზიოლოგიური პროცესების გააქტიურებას, პათოგენური ორგანიზმების მიმართ ინდუცირებასა და კომპლექსურ გამძლეობას.

მცენარეთა ხელოვნური იმუნიზაცია ინდუქტორების მეშვეობით, არ გამორიცხავს პესტიციდების ხმარებასაც, პირიქით, აგსებს და აძლიერებს მათ ეფექტს, მინიმუმამდე ამცირებს მათი გამოყენების საჭიროებას.

კარტოფილის ტრაქეომიკოზური ჭკნობის წინააღმდეგ, ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა მძლავრი ინდუქტორი, ეკოლოგიურად უსაფრთხო ხელატური ტიპის ნაერთი – „ლილე“, რომლის მინიმალური დოზები, არა მარტო მცენარეთა იმუნური რეაქციების ინდუცირებას ახდენენ, არამედ აუმჯობესებენ ნიადაგის სტრუქტურასა და უზრუნველყოფებ მათ გამდიდრებას მცენარისათვის შესათვისებელი მიკრო და მაკრო ელემენტებით.

საკვლევად გამოყენებულ იყო საქართველოში ბოლო წლებში ინტროდუცირებული ჯიშები და მათი დაავადებული ნიმუშები. კერძოდ, გერმანული - ჰოლდანიური ჯიშების: მარაბელი, პიკას, აგრია, სანტე, კოსმოსი, მარფონას ელიტური და | რეპროდუქციის ნარგავები, ასევე ადრე დარაიონებული ჯიში დეზირე.

შესწავლილ იქნა ბიოპრეპარატ „ლილეს“ 2-3%-იანი ხსნარების ბიოლოგიური და სამეურნეო ეფექტურობა ტრაქეომიკუზური ჭკნობის მიმართ, რაც განისაზღვრება საცდელ და საკონტროლო ნაკვეთებზე დაავადების გავრცელება-განვითარების ინტენსივობის შესწავლითა და მათი შედარებებით; მცენარის ზრდა-განვითარების ძირითადი

მაჩვენებლების – მცენარის სიმაღლე, ტუბერების წონა, მიღებული მოსავლის საერთო რაოდენობა და ხარისხის აღრიცხვით.

სათესლე მასალის სახელმწიფო სტანდარტებით
გათვალისწინებული ყველა მოთხოვნის დაცვის პარალელურად, თესლი დაგამუშავეთ „ლილეს“ 2 და 3%-იანი ხსნარით. 30 წთ-ის ექსპოზიციით, უშუალოდ, თესვის წინ. აღმოცენებისთანავე ნათესებზე შესხურებული იქნა იმავე კონცენტრაციის ხსნარები. მთელი ვეგეტაციის განმავლობაში ვაწარმოებდით სისტემატურ დაკვირვებებს, საცდელ და საკონტროლო ვარიანტებში, ჭკნობის პირველ გამოვლინებასა და შემდგომ განვითარებაზე. ცდის ბოლოს კი აღირიცხებოდა მოსავლის რაოდენობა, ხარისხი, ფრაქციათა რაოდენობა და დაავადების ინტენსივობა. დაავადებულ მცენარეთა შორის მოხდა ფუზარიოზისა და ვერტიცილიოზის ხვედრითი წილის განსაზღვრა (ცხრილი 25).

ცხრილი 25

პრეპარატ „ლილეს“ გავლენა ჭკნობის გამომწვევი სოკოების გავრცელებაზე კარტოფილის 2 კვირიან აღმონაცენებში

კარიანტები	ჯიშ ები	დაავადებათა გავრცელება, % კარტოფილის სხვადასხვა ჯიშზე						
		მარაბული	პეკალ	აგრია	სანტი	გომონი	მარფონა	დუზინე
საკონტროლო	გერტიცილიოზი	5	4	6	5	4	6	6
	ფუზარიოზი	6	4	7	7	4	6	7
„ლილე“2%	გერტიცილიოზი	3	2	3	3	3	3	4
	ფუზარიოზი	4	3	4	5	4	4	4
„ლილე“3%	გერტიცილიოზი	2	2	3	3	3	3	3
	ფუზარიოზი	3	3	3	4	3	4	4

ცხრილი 25-დან ნათელია პრეპარატი „ლილეს“ მოქმედების ეფექტურობა, რაც აშკარად აისახება შედეგებზე: ბიოპრეპარატით დამუშავებული სათესლე მასალის აღმონაცენებში დაავადების გავრცელების ინტენსივობის მაჩვენებლები შემცირებული იყო საკონტროლოსთან შედარებით, ხოლო აღმონაცენების 2% და 3%-იანი პრეპარატის მოქმედების ეფექტი, თითქმის ერთი და იგივე აღმოჩნდა, რაც განპირობებულია მცენარეთა დაავადებათა მიმართ გამძლეობის გაზრდით.

ჩვენს მიერ, შესწავლილი იქნა, აგრეთვე, ტრაქეომიკოზური ჰქნობის გავრცელება-განვითარების ინტენსივობა ამავე ნაკვეთზე, ორკვირიან აღმონაცენებზე.

ცხრილი 26

ბიოპრეპარატ „ლილეს“ გავლენა კარტოფილის სხვადასხვა ჯიშზე ტრაქეომიკოზური ჰქნობის გავრცელება-განვითარების ინტენსივობაზე

გარიანტები	ჯიშ ები	ჰქნობის გავრცელება-განვითარების ინტენსივობა, %													
		მარაბელი		პიკასო		აგრია		სანტე		კოსმოსი		მარფონა		დეზირე	
		გავრც.	განვ.	გავრც.	განვ.	გავრც.	განვ.	გავრც.	განვ.	გავრც.	განვ.	გავრც.	განვ.	გავრც.	განვ.
საგონიეროდ „ლილეს“ 2%	გერბი ცილი ღზი+ ფუზა რიოზი	11	5.5	8	4	13	6.5	12	6	8	4	12	6	15	6.5
„ლილეს“ 3%	გერბი ცილი ღზი+ ფუზა რიოზი	7	2.5	5	0.5	7	1.5	8	3.4	7	2.6	7	2.3	8	34
„ლილეს“ 3%	გერბი ცილი ღზი+ ფუზა რიოზი	6	2.3	5	1.4	6	2.3	7	2.5	6	2.8	7	2.7	7	2.3

როგორც 26-ე ცხრილიდან ჩანს, საკონტროლოსთან შედარებით მნიშვნელოვნად იყო შემცირებული ჭკნობის გავრცელებისა და დაავადების განვითარების ინტენსივობაც, რაც დაავადების ხარისხის შემცირებამ გამოიწვია. თუ საკონტროლო ვარიანტში მცენარეთა დაავადების ხარისხი 2-3 ბალი იყო, საცდელ ვარიანტებში 1-2 ბალს არ აღემატებოდა.

„ლილეს“ მაღალი ეფექტურობის გამო, მოვახდინეთ, აღნიშნული ბიოპრეპარატით დამუშავებულ მცენარეთა ფიტონციდური აქტივობის განსაზღვრა. ამისათვის ხდებოდა მის 2-3%-იან ხსნარებში დამუშავებულ მცენარეთა გამონაწურში დამზადებული სპოროვანი სუსპენზიაზე დაკვირვება, გაღივებული სპორების რაოდენობისა და ლიგის განვითარების სიძლიერის მიხედვით, ბიო-ინდიკატორად ვიყენებდით Fusarium-ის 20 დღიან კულტურას, სპოროვანი სუსპენზია თავსდებოდა 2-24 სთ-ის განამვლბაში თერმოსტატში 25⁰t-ის პირობებში. კონტროლად ვიყენებდით ონკანის წყალს.

ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენეს, რომ კონტროლთან შედარებით, „ლილეთი“ დამუშავებულ მცენარეთა გამონაწურში F.oxyssporum-ის სპორების გაღივების ინტენსივობა მნიშვნელოვნად შემცირებულია.

2 და 3% ბიოპრეპარატით დამუშავებული მცენარეები, კონტროლთან შედარებით, ხასიათდებოდნენ კარგი ზრდა-განვითარებით, მუქი-მწვანე ფერით, მსხვილი ამონაყარით, მოსავლის რაოდენობისა და ხარისხის მაღალი მაჩვენებლით (ცხრილი 27). კარტოფილის ბუჩქები რომლის თესლიც დამუშავებული იყო პრეპარატი „ლილეთი“ აღმოცენდა 4-5 დღით ადრე, ისინი ხასიათდებოდნენ მძლავრი ამონაყარითა და უფრო გაძლიერებული მწვანე პიგმენტაციით. რაც იმაზე მეტყველებს, რომ მცენარის ფოთლების პიგმენტაციაც გაძლიერებულია, რაც ზრდის ფოთლის სასიმილაციო ზედაპირს.

მცენარეში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესები, მათ შორის ტუბერწარმოქმნის ინტენსივობა იზრდება და მცენარე მძლავრად ყალიბდება. მიიღება უხვი და ხარისხიანი მოსავალი.

ცხრილი 27

**ბიოპრეპარატ „ლილეს“ გავლენა კარტოფილის სხვადასხვა ჯიშის
მოსავლის რაოდენობაზე**

№	ჯიში	ერთი ბუდნის საშუალო მოსავალი გბ-ში			საჰექტრო მოსავალი, ტ.			შენიშვნა
		კონტრ. M±m	2% ლილე M±m	3% ლილე M±m	კონტრ. M±m	2% ლილე M±m	3% ლილე M±m	
1	მარაბელი	0.95±0.1	1.00±0.05	1.03±0.07	34±1.05	40±2.0	41.2±1.9	
2	პიპასო	0.95±0.02	1.05±0.18	1.05±0.13	38±1.1	42±2.2	42±2.4	
3	აგრია	0.80±0.08	0.97±0.5	0.98±0.5	32±0.7	38.8±1.9	39.2±0.7	
4	სანტე	0.90±0.05	1.02±0.05	1.02±0.03	36±0.98	40.8±1.9	40.8±2.1	
5	კოსმოსი	0.90±0.03	1.05±0.06	1.06±0.05	36±1.2	42±2.1	42.4±2.1	
6	მარფონა	0.95±0.06	1.02±0.08	1.03±0.07	37.2±1.1	40.8±2.3	41.2±0.7	
7	დეზირე	0.80±0.02	0.96±0.07	0.96±0.05	32±0.9	38.4±0.7	38.4±1.2	

როგორც ზემოთ აღინიშნა, მცენარეთა ხელოვნური იმუნიზაცია არ გამორიცხავს პესტიციდების ხმარებასაც, პირიქით, აძლიერებს მათ ეფექტსა და მინიმუმამდე ამცირებს მათი გამოყენების საჭიროებას. ამ კუთხით იქნა შემუშავებული და გატარებული ჭკნობის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა ღონისძიებანი, რომელშიც ინდუქტორის მოხმარების პარალელურად ჩართული იყო სხვადასხვა ფუნგიციდი. პრეპარატ „ლილეს“ ვიყენებდით, კარტოფილის პათოგენური ორგანიზმების მიერ გამოწვეულ დაავადებათა მიმართ გამძლეობის გაზრდის მიზნით.


ამ ღონისძიებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჭურჭელ-ბოჭკოვანი ჭკნობის წინააღმდეგ, ვინაიდან მისი გამომწვევი სოკოები

კონტროლთან შედარებით
სტანდარტული და უცნო დიდი
გაზრდების რაოდენობა 50%-ით მცირდება


ნიადაგის ბინადარი პათოგენური ორგანიზმებია, გაძნელებულია მათგან მცენარეთა დაცვა სავეგეტაციო პერიოდში, მცენარეთა შესხურების გზით. აქედან გამომდინარე, აუცილებელი იყო ძირითადი აქცენტი გადატანილი ყოფილიყო საღი სარგავი მასალის შერჩევასა და მათი შენახვის წინა და რგვის წინა დამუშავებაზე გამძლეობის ინდუქტორებითა და ფუნგიციდებით.

ცდის ყველა ვარიანტში დაკვირვება წარმოებდა კარტოფილის აღმოცენების დროზე, ინტენსივობაზე, განვითარების სიძლიერესა და დაავადებათა გამოჩენის ვადებზე, მათი გავრცელება-განვითარების ინტენსივობაზე, ვარიანტებისა და ჯიშების მიხედვით.

ჩატარებული ექსპერიმენტით დადგენილია ავადმყოფობათა გავრცელება-განვითარების ინტენსივობის მკვეთრი შემცირება საკონტროლოსთან შედარებით ცდის ყველა ვარიანტში. განსაკუთრებით, 3%-იანი „ლილეთი“ დამუშავებული სარგავი მასალის ნარგაობებში, სადაც ქიმიური ბრძოლის ღონისძიება კარტოფილის სხვა დაავადებათა, უმთავრესად, ფიტოფტოროზის მოსალოდნელი გამოჩენისა და ინტენსიური განვითარების პროგნოზით შერჩეულ ვადებში მიმდინარეობდა. ყველა ვარიანტში განისაზღვრა ბიოლოგიური ეფექტურობა %-ში (ცხრილი 28 და დიაგრამა 15).



დიაგრამა 15



დიაგრამა 16

ცხრილი 28

სარგავი მასალის დამუშავებისა და წამლობათა ჯერადობის გავლენა კარტოფილის ავადმყოფობათა გავრცელება-განვითარების ინტენსივობაზე

№	გარიანტები	მუნიციპალიტეტები	დააგადებათა გავრცელება-განვითარების ინტენსივობა, %				ბიოლოგიური ეფექტურობა, %	ბიოლოგიური ეფექტურობა, %		
			გერტიცილი ოზი		ფუზარიოზი					
			განვ.	განვით.	განვ.	განვ.				
1	ლილეს 3%-იანი სსნარიო დამუშავებული სარგავი მასალა + ოთხჯერადი წამლობა და ორჯერადი გამოკვება ამავე სსნარიო და II წამლობასთან ერთად.	ახალციხე, ბორჯომი	12,0 15,0	6,1 3,4	14,1 15,0	7,2 2,6	59,3 75,7	79,5 82,4		
2	ფუნგიცილით დამუშავებულისარგავი მასალა ოთხჯერადი წამლობით, გამოუკვებავი.	ახალციხე, ბორჯომი	12,1 12,3	3,6 4,7	16,5 12,6	3,8 4,1	76,0 66,4	75,7 67,2		
3	დაუმუშავებელი სარგავი მასალა ორჯერადი წამლობით ვეგეტაციის I პერიოდში.	ახალციხე, ბორჯომი	20,2 18,6	10,1 9,0	27,5 19,9	6,6 3,9	32,7 35,7	57,7 75,0		
4	ქონტროლი, დაუმუშავებელი წამლობის გარეშე.	ახალციხე, ბორჯომი	30 27,8	15 14	30,1 24,5	15,6 12,5	— —	— —		

როგორც 28-ე ცხრილიდანა და დიაგრამა 15, 16-დან ჩანს, ბიოლოგიური ეფექტურობა ჩვენს მიერ, თესლის დამუშავებისა და წამლობათა ჯერადობის ყველა გატარებულ ვარიანტში, რაც წარმოებდა ჭკნობის გავრცელება-განვითარების ინტენსივობის შემცირებისის მიზნით, მაღალი აღმოჩნდა. განსაკუთრებით მაღალია ფუზარიოზის შემთხვევაში – „ლილეს“ 3%-იანი ხსნარით დამუშავებული თესლის ნარგაობებში, სადაც წარმოებდა ოთხჯერადი წამლობა. მათგან ორი წამლობის პარალელურად ხდებოდა „ლილეს“ ამავე ხსნარით მცენარეთა ფესვური გამოკვება. აღმოჩნდა, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტში ბიოლოგიურმა ეფექტურობამ, კერტიცილიოზური ჭკნობის შემთხვევაში 59,3%, ხოლო ბორჯომის მუნიციპალიტეტში 75,7% შეადგინა; ფუზარიოზული ჭკნობის შემთხვევაში ახალციხისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტში, შესაბამისად – 79,5% და 82,4%.

ჩვენს მიერ გატარებული ბრძოლის დონისძიებები მიმართული იყო კარტოფილის მოსავლიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაზრდის მიზნით. ამის გამო გატარდა სხვადასხვა სახის დონისძიება: თესლის დამუშავების, ფესვგარეშე გამოკვებისა და წამლობათა პროგნოზირებულ ვადებში ჩატარებით. დაკვირვებების საფუძველზე დადგინდა, რონ ბიოსტიმულატორით სათესლე მასალის დამუშავების შემთხვევაში, აღმოცენება 4-5 დღით ადრე აღინიშნებოდა, ხოლო ტუბერწარმოქმნა 10-12 დღით ადრე დაიწყო. შემცირდა ყველა დაავადების განვითარების ინტენსივობა, როგორც მწვანე ვარჯზე, ისე აღებულ მოსავალში ტუბერებზე. დაავადებულ ტუბერთა შორის, კერტიცილიოზისა და ფუზარიოზის ხვედრითი წილი განისაზღვრებოდა დაავადებული ტუბერებიდან სუფთა კულტურების გამოყოფითა და გამომწვევ პათოგენთა იდენტიფიკაციით. მიღებული შედეგები ასახულია 29, 30 ცხრილებში.

ცხრილი 29

სარგავი მასალის დამუშავების, ფესვგარეშე გამოკვებისა და
წამლობათა პროგნოზულ ვადებში ჩატარების გავლენა მოსავლის
რაოდენობაზე, დაავადებათა გავრცელებასა და სარისხზე

№	ვარიანტები	5 ბუდნაში მიღებული ტუბერები, ცალი						შენიშვნა
		სულ $M \pm m$	სტანდარტული და ქასტეტიკული მსხვილი $M \pm m$	ფრაქციები				
		სხვაობა გონიერობით d	სხვაობა არასტანდარტულ ი წვრილი $M \pm m$	სხვაობა გონიერობით d	ჭკნობით დაავადებულ გენერობა რაოდენობა, ცალი			
1	ლილეს 2%-იანი ხსნარით დამუშავებული სარგავი მასალა + 4 წამლობით და ორი გამოკვება	66±3	37±1,4	12	29±0,2	1	0,05	მცენარეთა გამოკვება მოხდა მცნარეთა და 2 წამლობის დროს
2	დაუმუშავებელი სარგავი მასალა 2 წამლობა რიდომილით და სპილენბის ქლორჟანგით	52±2,4	26±0,1	1	26±0,2	10	4,5	დანარჩენი წამლობა კერ მოხერხდა
3	2%-იანი ლილეთი დამუშავებული სარგავი მასალა +3 წამლობა	70±4	55±4	30	15±0,1	1	0,01	—
4	პონტონული დაუმუშავებელი სარგავი მასალა წამლობის გარეშე გამოუყენება	42±1	25±0,3	—	16±0,1	—	11,9	—

როგორც 29-ე ცხრილიდან ჩანს, მიღებულ მოსავალში
მინიმუმამდეა შემცირებული ჭკნობით დაავადებული ტუბერების

რაოდენობა „ლილეთი“ დამუშავებული თესლის და პროგნოზულ გადებში 4-ჯერადი წამლობის ვარიანტში და არ აღემატება 0,42%-ს, ხოლო იმ ნაკვეთზე, რომელზეც დაუმუშავებელი ტუბერები დაითესა და, სადაც მხოლოდ ორი წამლობა ჩატარდა, დაავადებათა პროცენტული მაჩვენებელი 37,8% აღმოჩნდა, რომ არაფერი ვთქვათ იმ მწვანე მასის ხმობაზე, რაც ვეგეტაციაში მყოფ კარტოფილის ნარგაობებში აღინიშნა, რამაც მოსავლის რაოდენობა მნიშვნელოვნად შეამცირა. საკონტროლო ვარიანტში წვრილი, არასტანდარტული ფრაქციები აღინიშნებოდა (სურათი 24 (1, 2)).



1



2

სურათი 24 მოსავალი საკონტროლო ნაკვეთზე.

1. კარტოფილის ტუბერების რაოდენობა 1 ბუდნაში;
2. კატოფილის არასტანდარტული, წვრილი ფრაქცია.

ცხრილი 30

პროგნოზულ ვადებში ჩატარებული წამლობისა და ლილებს 2%-იანი ხსნარით დამუშავების გავლენა მოსავლის რაოდენობრივ-ხარისხობრივ მაჩვენებლებსა და დაავადებათა გავრცელება-განვითარების ინტენსივობაზე

№	გარიანტები	სულ	5 ბუდნაში მიღებულ ტუბერთა რაოდენობა და წონა, კგ						დაავადებათა გავრცელება - განვითარების ინტენსივობა, %					
			ფრაქციები			5 ბუდნაში მიღებული მოსავლის ხაზუალო წონა გბ-ში M ± m			სხვაობა კონტროლთან d	სხვაობა კონტროლთან d	თურიული საშ. საპუტირო მოსავალი, ტ	ჭკნობა	ფიტოფტ. და რიზოქტ.	
			სტანდარტული და მასზე მსხვევი M ± m	არასტანდარტული (წვრილი) M ± m	სტანდარტული ბაზუალო წონა									
1	2% ლილეთი დამუშავებული +4 წამლობა პროგნოზით	4,2	36±2	21	5±0,1	23	8±0,3	6	64±2,4	-	-	-	-	-
2	ლილეთი დამუშავებული +5 წამლობა ფენოფაზების მიხედვით	6,6	49±1,4	34	17±3,1	11	5,5±0,1	3,5	44±0,8	1,7	0,3	-	-	7,05
3	სუფთა კონტროლი	4,3	15	-	28	-	2,0±0,3	-	16±2,4	1,9	10,2	87	45,1	5,2

როგორც ცხრილ 30-დან ჩანს, „ლილეს” ხსნარით სარგავი კარტოფილის დამუშავება არა მარტო ამცირებს დაავადებათა გავრცელება-განვითარების ინტენსივობას, არამედ ზრდის მოსავლის რაოდენობასა და ხარისხს. „ლილეს” 2%-იანი ხსნარითა და პროგნოზირებულ ვადებში ოთხჯერადი წამლობის შემთხვევაში, დაავადებათა გავრცელება-განვითარების ინტენსივობა არ აღინიშნა; ამასთანავე, სტანდარტული თესლის რაოდენობა 5 ბუდნაში და მიღებული საშუალო მოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა და შესაბამისად შეადგინა 36 ცალი და 8კგ. თეორიულად, საშუალო საჰქექტრო მოსავამა 64ტ შეადგინა

ჩვენს მიერ გატარებული ბრძოლის დონისძიებების შედეგების ანალიზით, რაშიც ბიოპრეპარატი „ლილე” იყო ჩართული, დადგინდა აღნიშნული იმუნოსტიმულატორის მაღალი სამეურნეო და ეკონომიკური გვექტურობა (ცხრილი 31, დიაგრამები 17, 18 და სურათი 25 (1, 2)).



1



2

სურათი 25 მოსავალი საცდელ ნაკვეთზე.


1. მსხვილი ფრაქცია;
2. მოსავალი.

ცხრილი 31

ბიოპრეპარატ „ლილეს“ სამეურნეო და ეკონომიკური ეფექტურობა


№	ჯიში	ბუდის საშუალო მოსავალი, კგ			მოსავალი, ტ/ჰა					სამეურნეო ეფექტურობა, %		რენტაბულობის ნორმა, %	
		კონტროლი ლი M±m	ლილე		კონტროლი ლი M±m	ლილე 2% M±m	P სიცემა ლი	ლილე 3% M±m	P სიცემა ლი	ლილე 2% M±m	ლილე 3% M±m	ლილე 2% M±m	ლილე 3% M±m
			2% M±m	3% M±m									
1.	მარაბელი	0,95±0,1	1,00±0,05	1,03±0,07	34,0±1,05	40,0±2,4	6,0	41,2±1,9	7,2	17,66	21,2	800	905
2.	პიპისო	0,95±0,02	1,05±1,8	1,05±0,13	38,0±1,1	42,0±2,2	8,0	42,0±2,4	8,0	10,5	10,8	1100	1020
3.	აგრის	0,80±0,08	0,97±0,5	0,98±0,5	32,0±0,5	38,8±1,9	6,8	39,2±0,7	7,2	20,6	22,5	920	905
4.	სანტი	0,90±0,05	1,02±0,05	1,02±0,3	36,0±0,09	40,8±1,9	4,8	40,8±2,1	4,8	13,3	13,3	720	570
5.	კოსმოსი	0,90±0,03	1,05±0,06	1,06±0,05	36,0±1,2	42,0±2,1	6,0	42,4±2,1	6,4	16,7	17,7	800	790
6.	მარფონა	0,95±0,06	1,02±0,08	1,03±0,07	37,2±1,1	40,8±2,3	3,6	41,2±0,9	4,0	9,6	10,4	440	460
7.	დეზირე	0,80±0,02	0,90±0,07	0,96±0,05	32,0±0,9	38,4±0,7	6,4	38,4±1,2	6,4	20	20	860	790

ბიოპრეპარატ „ლილეს“ სამეურნეო ეფექტურობა, %



დიაგრამა 17

ბიოპრეპარატ „ლილეს“ ეკონომიკური ეფექტურობა



დიაგრამა 18

აღმოჩნდა, რომ აგრიასა და დეზირეს ჯიშების შემთხვევაში „ლილეს“ 2%-იანი ხსნარის ეკონომიკური ეფექტურობა (ლარი) ეფექტურობა ყველაზე მაღალია. სხვა შედეგი აღინიშნა 3%-იანი „ლილეთი“ ტუბერების დამუშავების დროს, სადაც უფრო მაღალი

სამეურნეო ეფექტურობა აგრიასა და მარაბელის ვარიანტებში აღმოჩნდა.

რენტაბელობის ნორმა, 2%-იანი ლილეს გამოყენების შემთხვევაში ყველაზე მაღალია პიკასოსა და აგრიას ვარიანტებში და, შესაბამისად, შეადგენს 1100 და 920 %-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ დახარჯული ერთი ლარი გვაძლევს, შესაბამისად, 11 და 9,2 ლარ მოგებას.

რენტაბელობის ნორმა 3%-იანი ლილეს გამოყენების შემთხვევაში ყველაზე უფრო მაღალი აღმოჩნდა პიკასოს, მარაბელისა და აგრიას ჯიშებში და პიკასოს ჯიშის შემთხვევაში შეადგინა 1020 %, ხოლო მარაბელ-აგრიას ვარიანტებში – 905 %, რაც იმას ნიშნავს, რომ ღონისძიებაზე დახარჯული ყოველი ლარი პიკასოს ვარიანტი გვაძლევს 10,2 ლარ, ხოლო მარაბელისა და აგრიას შემთხვევაში – 9,05 ლარ უკუგებას.

ამრიგად, ბიოპრეპარატი „ლილეს“ გამოყენება წარმატებულად და ეფექტურად შეიძლება ჩაითვალოს. პრეპარატით დამუშავებული მცენარეები ხასიათდებიან არა მარტო ვერტიცილიოზისა და ფუზარიოზის გვარის ფიტოპათოგენური სოკოების მიმართ მაღალი გამძლეობით, არამედ იზრდება მათი მოსავლის რაოდენობა და ხარისხი. ეს კი ბიოპრეპარატ „ლილეს“ ფიტოიმუნიზატორულ თვისებას ადასტურებს.

აქედან გამომდინარე, დღეისათვის, როცა ესოდენ აქტუალურია და პრიორიტეტული თემა – შევინარჩუნოთ ეკოლოგიურად სუფთა გარემო და მოსახლეობას მივაწოდოთ უსაფრთხო პროდუქტი, ბიოპრეპარატი „ლილეს“ ფართო დანერგვა წარმოებაში ფრიად პერსპექტიულია და აქტუალური.

6.3. ნიადაგის მულტირების გავლენა კარტოფილის ჭპნობის დაავადების გავრცელება-განვითარებასა და მოსავლის რაოდენობრივ-ხარისხობრივ მაჩვენებლებზე

კარტოფილის დაავადებათა შორის თავისი მავნეობით გამოირჩევა ჭურჭელ-ბოჭკოვანი ჭპნობა, რომლის გამომწვევი პათოგენური სოკოების მიცელიუმი და გუმისმაგვარი ნივთიერებები ვრცელდება რა ჭურჭლოვან სისტემაში, იწვევენ აღმავალი დენის შეფერხებას, სასიცოცხლო პროცესების შენელებას. მწვავდება წყლის დეფიციტით გამოწვეული უარყოფითი შედეგები, რაც აისახება მცენარეთა ფიზიოლოგიური მდგომარეობის გაუარესებაში, რომელიც ხშირად, მცენარის დაღუპვით მთავრდება. მინიმუმამდე მცირდება მიღებული მოსავლის რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ნიადაგის ზედაპირის მულტირება კარტოფილის ნარგაობებში წარმოადგენს ტენის შენარჩუნების ეფექტურ საშუალებას. ფარავს რა ნიადაგის გაფხვიერებულ ზედაპირს, იცავს მას დატკეპნისაგან, ხელს უშლის ნიადაგიდან ტენის ინტენსიურ აორთქლებასა და იცავს მას გამოშრობისა და გადახურებისაგან. ლ. დ. ედელშტეინის (1962) მონაცემებით ნიადაგის მულტირება 6-7⁰-ით ამცირებს ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურას, აქტიურდება ნიტრიფიკაციის პროცესი, რაც ხელს უწყობს მცენარეთა ზრდა-განვითარებას. გ. გოგოლიშვილი (1961) მულტირების დადებით შედეგებზე მიუთითებს თვით ყარა-ყუმის უდაბნოს პირობებშიც კი. საპირისპირო მონაცემები აქვს ა. ს. ნასრედინს (2000), Tjames E., Faridi A. (1980), Abd El., Kader M. M. (1983)-ს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ნიადაგის მულტირებისას ადგილი აქვს ტემპერატურის აწევას, რაც დამღუპველად მოქმედებს მრავალი დაავადების გამომწვევ სოკოებზე, მათ შორის *Fusarium oxysporum* F. sp. *Likopersici* Sacc.-ზე, *Verticillium dahliae*-ს, *Rhizoctonia solani*-სა და სხვათა ცხოველმყოფელობაზე, თუმცა ისინი მულტირების პოლიეთილენს

იყენებდნენ, რაც უთუოდ გამოიწვევდა ტემპერატურის მკვეთრ მატებას. T. Broodbent-ის (1987) მიერ დადგენილია, რომ ნიადაგის მულტირებისას ხდება ნიადაგის გასტერილება, რომლის დროსაც ადგილი აქვს მიკრო და მაკრო ელემენტების გამოთავისუფლებას რთული ნაერთებიდან, რაც ხელს უწყობს მცენარეთა ზრდა-განვითარებას და, შესაბამისად, მოსავლის რაოდენობის მატებას.

საქართველოს პირობებში, ჭკნობის გამომწვევ პათოგენთა უარყოფითი ზემოქმედება მცენარეზე, ზრდა-განვითარების შეფერხება, ჭკნობა და დაღუპვა, განსაკუთრებით, თვალსაჩინოა ურწყავ ნაკვეთებზე, მშრალი კლიმატით გამორჩეულ სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში, აგრეთვე, სხვა რეგიონთა ურწყავ ნაკვეთებზე გვალვიან პირობებში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდ მნიშვნელობას ენიჭება ისეთ ღონისძიებათა შერჩევა, რომელიც ხელს შეუწყობს ტენის შენარჩუნებას ნიადაგში, განაპირობებენ ნივთიერებათა ნორმალურ ცვლას მცენარეულ ორგანიზმში და დაიცავენ მათ წყლის დეფიციტით გამოწვეული მავნე ზემოქმედებისაგან. ასეთ ღონისძიებად გვესახება კარტოფილის ნარგაობათა ნიადაგის ზედაპირის მულტირება – თივით ან ნამჯით. ისეთი მცენარეთა მულტით, რომლებიც არ შეიცავენ კარტოფილის დავადებათა რეზერვატორებს, მით უმეტეს, რომ აღნიშნულია მულტად გამოყენებული თივის ფიტონციდური აქტივობა კარტოფილის პათოგენთა მიმართ.

თივის ფიტონციდური აქტივობის განსაზღვრა ხდებოდა თივის ექსტრაქტში დამზადებული სპოროვან სუსპენზიაზე დაკვირვებით, გაღივებული სპორების რაოდენობისა და ღივის განვითარების სიძლიერის მიხედვით.

ასევე, მულტად გამოყენებული თივის ფიტონციდურ აქტივობაზე დაკვირვება ხდებოდა მისი გამონაწურის ვანტიგემის კამერაში

მოთავსებით („დაკიდული წვეთი”) და სპორების გაღივების ინტენსივობაზე დაკვირვებით.

ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, მულჩის ექსტრაქტის ზემოქმედება სოკო *Fusarium oxysporum*-ისა და *Verticillium lateritium*-ის სპორების გაღივებაზე შენელებულია და არ აღემატება 70-75%-ს, როცა სტერილურ წყალში მათი გაღივების ინტენსივობა 98-100%-ია.

ჩვენს მიერ, კარტოფილის ნაკვეთის მულჩირება ხდებოდა I თოხნის შემდეგ. მულჩად გამოყენებული იყო თივა, რომელიც ძირითადად ველურად მოზარდი სუბალპური მარცვლოვანი მცენარეებისაგან შედგებოდა და შეგროვილი იყო მთის საძოვრებზე (სურათი 26).



სურათი 26. მულჩირებული კარტოფილის ნარგაობა.

მულჩირების შემდეგ, სისტემატური დაკვირვება მიმდინარეობდა მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე, მათზე დაავალებათა პირველ გამოჩენასა და შემდგომ განვითარებაზე (ცხრილი 32).

როგორც 32-ე ცხრილიდან ჩანს, კარტოფილის ნაკვეთის მულჩირების შემდეგ, მკვეთრად არის შემცირებული ტრაქეომიკოზური ჭკნობის გავრცელება-განვითარების ინტენსივობა, საკონტროლო ვარიანტთან შედარებით. ვერტიცილიოზური და ფუზარიოზული ჭკნობის მიმართ შედარებით გამძლე აღმოჩნდა კოლეტე, მარფონა და ბროდიკი, ხოლო შედარებით მიმღებიანი – პალმა და აგრია.

მულტირების გავლენა, კარტოფილის მიწისზედა ვეგეტატიურ ორგანოებში, ტრაქეომიკოზური ჭკნობის გავრცელება-განვითარების ინტენსივობაზე

№	კარტოფილის ჯიშები	გარიანტები	დაავადებათა გავრცელება- განვითარება %-ში			
			ფუზარიოზი		ვერტიცილიოზი	
			გავრც.	განვ.	გავრც.	განვ.
1.	პალმა	მულტირ.	4	1,9	—	—
		კონტროლი	6	3,2	2	2
2.	კაროლინა	მულტირ.	1	0,12	—	—
		კონტროლი	1,5	0,8	—	—
3.	კარატოპი	მულტირ.	1,0	0,02	1	0,02
		კონტროლი	4,3	2,5	1	1
4.	კოლეტე	მულტირ.	0,3	0,01	—	—
		კონტროლი	2	2	1	1
5.	აგრია	მულტირ.	2,3	1,2	—	—
		კონტროლი	5	3,1	2	2
6.	ბროდიკი	მულტირ.	—	—	—	—
		კონტროლი	2	2	—	—
7.	მარფონა	მულტირ.	—	—	—	—
		კონტროლი	—	—	—	—


მულტირებულ ნიადაგზე განვითარებული მცენარეები კარგი განვითარებით ხასიათდებიან.

კარტოფილის მოსავლიანობაზე მულტის გავლენის დასადგენადა და ღონისძიების სამეურნეო ეფექტურობის შესაფასებლად, მოსავლის აღების დროს, ჩატარდა აღებული მოსავლის ბიომეტრიული და რაოდენობრივ-ხარისხობრივი ანალიზი (ცხრილი 33 და დიაგრამა 19).

ცხრილი 33

მულტირების გავლენა კარტოფილის სხვადასხვა ჯიშის მოსავლის რაოდენობაზე და ღონისძიების სამეურნეო ეფექტურობა

N	ჯიში	ერთი ბუდნის საშ. მოს., გვ $M \pm m$		სხვაობა d, ტ	საჰექტო მოსავალი, ტ $M \pm m$		სხვაობა d, ტ	სამუშაო ეფექტურობა, %	შენიშვნა
		კონტრო ლი	მულტირებ ული		კონტრო ლი	მულტირებ ული			
1	პალმა SE	1,05±0,1	1,3±0,003	0,35	44,0±1,4	51,9±2,1	7	15,9	კანტორობან შედაეცემისტანდარტული და უცნობი მახსოვრო ტექნიკის რაოდენობა 25-30%-ით მეტია მულტირებულ შენიშვნა
2	კაროლინა	1,23±0,08	1,42±0,02	0,2	49,2±3,0	56,6±0,51	7,4	15	
3	კარატოპი	1,08±0,05	1,33±0,011	0,25	43,2±0,5	53,16±0,2	9,9	23	
4	კოლეტე	1,33±0,03	1,58±0,1	0,25	53,2±0,77	73,3±3,3	10,1	19	
5	აგრია	0,63±0,05	0,79±0,007	0,16	25,2±0,5	31,5±0,5	6,3	25	
6	ბროდიკი	1,3±0,11	1,4±0,071	0,1	52,0±2,1	56,0±0,7	4	7,7	
7	მარფონა	1,27±0,07	1,3±0,05	0,23	48,2±1,1	52,0±1,8	3,8	7,9	



დიაგრამა 19

ჩატარებული ექსპერიმენტით დადგენილია მცენარეთა მულტირების მაღალი სამეურნეო ეფექტი, მისი დადებითი ზეგავლენა,

როგორც მოსავლის ბიომეტრიულ მაჩვენებლებზე, ისე მის რაოდენობასა და ხარისხზე. ტუბერთა ბიოლაქტიკურ მახასიათებლებზე და სახამებლის შემცველობაზე. სამეურნეო ეფექტურობის პროცენტული მაჩვენებლები კარტოფილის ჯიშებზე, კარატოპსა და აგრიაზე, შესაბამისად, 23-25 %-ს აღწევდა (ცხრილი 33 და დიაგრამა 19). სუბალპური თივით მულტირების დადებითი შედეგები გაპირობებული უნდა იყოს მულტის ფიტონციდურ ზემოქმედებასთან ერთად ნიადაგის ზედაპირზე საპაერო კაპილარების, მისი სტრუქტურისა და ტენის შენარჩუნებით. ამ უკანასკნელს კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტუბერწარმოქმნისათვის.

კარტოფილის მულტირება წარმატებით შეიძლება განხორციელდეს საძოვრების პირობებში, ურწყავ ნაკვეთებზე, სადაც მესაქონლე ფერმერები ინტენსიურად აწარმოებენ კარტოფილს.

ნაკვეთთა მიკროკლიმატის მიხედვით კარტოფილის ჯიშების დაავადებათა გავრცელება ცვალებადობს. თვალსაჩინო სხვაობა შეინიშნება კარტოფილის უმთავრესი დაავადების – ფიტოფტოროზის გავრცელებაში, წლების და მიკროკლიმატური უბნების მიხედვით, რასაც განაპირობებს ამინდის ელემენტების სხვადასხვაობა მოცემულ ზონებში. უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის ერთსა და იმავე სოფლებში ჭკნობისა და ფიტოფტოროზის გავრცელება-განვითარების ინტენსივობა განსხვავებულია. ფიტოფტოროზი ინტენსიურად ვითარდება ტაფობებსა და დაჩრდილულ ადგილებში. ჭურჭელ-ბოჭკოვანი ჭკნობისადმი მიღრეცილი მცენარეები კი უნდა განვათავსოთ ისეთ ადგილებში, სადაც სოკოს განვითარების ინტენსივობა ნაკლებია.

ამრიგად, თივით მულტირება უარყოფითად მოქმედებს სოკოს განვითარებაზე და ზრდის მოსავალს. ეს კი გვაძლევს იმის საფუძველს, თივით მულტირება მივიჩნიოთ ტრაქეომიკოზური ჭკნობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ეკოლოგიურად უსაფრთხო მეთოდად.

დასკვნები

ამრიგად, ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

1. კარტოფილის ტრაქეომიკოზური ჭკნობა გავრცელებულია სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში;
2. კარტოფილის ტრაქეომიკოზური ჭკნობა გამოწვეულია, ძირითადად, სოკო *Fusarium oxysporum* Schl. და სოკო *Verticillium lateritium* Berk. რომლებიც ხასიათდებიან შეხვედრიანობის სიხშირითა და დიდი მავნეობით;
3. აღნიშნული სოკოების საინკუბაციო პერიოდი საკმაოდ მოკლეა. დაავადება სწრაფად ვრცელდება, რასაც მცენარეთა სწრაფი ჭკნობა მოსდევს;
4. მცენარეთა ხელოვნური დასენიანების შედეგად, დაავადება უფრო სწრაფად ვრცელდება მცენარეთა დაზიანებულ ქსოვილებში ინოკულუმის შეტანით, ვიდრე დაზიანებულ ქსოვილებზე სპოროვანი სუსპენზიის შესხურების დროს და, კიდევ უფრო, ნაკლებად – დაუზიანებელ ქსოვილებზე სპოროვანი სუსპენზიის შესხურების შემთხვევაში;
5. სოკო *Fusariu oxysporum* Schl. ზრდასა და მისი სპორების გაღივებისათვის მინიმალური ტემპერატურაა 8°C , ოპტიმალური – $20\text{-}30^{\circ}\text{C}$, ხოლო მაქსიმალური – 34°C . სოკო *Verticillium lateritium* Berk. ვითარდება ტემპერატურის ფართო დიაპაზონში, $8\text{-}32^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში, მისი განვითარებისათვის ოპტიმალური ტემპერატურაა $24\text{-}25^{\circ}\text{C}$, ქვედა ზღვარი – 8°C -ია, ხოლო ზედა ზღვარი 32°C -ს აღწევს;
6. სოკო *F. oxysporum* კარგად ვითარდება ყველა ფარდობითი ტენიანობის პირობებში, მაგრამ საუკეთესო ტენიან გარემოს მისი განვითარებისათვის ჰაერის 80%-იანი ტენიანობა

წარმოადგენს. სოკო *V. lateritium*-ის განვითარებასა და უხვი ნაყოფიანობის წარმოქმნისათვის საჭიროა პაერის მაღალი ფარდობითი ტენიანობა.

7. სოკო *F. oxysporum*-ისათვის საუკეთესო ნახშირბადოვან წყაროს წარმოადგენს ლაქტოზა და მალტოზა. სოკო *Verticillium lateritium*-ისათვის საუკეთესო ნახშირბადოვან წყაროდ ითვლება სახამებელი და საქაროზა. სოკოების უნარი, სხვადასხვა ნახშირბადოვანი წყაროს შემცველი საკვები არედან შეითვისოს ნახშირბადი, მათ მაღალ ფერმენტატიულ აქტივობაზე მიუთითებს;
8. საუკეთესო აზოტოვანი წყაროს სოკო *Fusarium oxysporum* Schl. ზრდა-განვითარებისათვის ასპარაგინისა და შარდოვანას შემცველი საკვები არები წარმოადგენენ. ხოლო, საუკეთესო აზოტოვანი წყაროდ სოკო *Verticillium lateritium* Berk. ზრდა-განვითარებისათვის NANO_3 შეიძლება ჩაითვალოს. სოკოს აქტიური ზრდა-განვითარება აღინიშნა, აგრეთვე, ასპარაგინის შემცველ საკვებ არეზე;
9. სოკო *F. oxysporum*-ისა და *V. lateritium*-ისათვის დამახასიათებელია საკვები არის pH-ის ფართო დიაპაზონზე განვითარება. სოკო *F. oxysporum* საუკეთესო განვითარება სუსტ მჟავე არეზე $\text{pH} = 5,3$ მოხდა, ყველაზე სუსტი განვითარება აღინიშნა ძლიერ ტუტუ არეზე $\text{pH} = 9$ -ის პირობებში. *V. lateritium* მიცელიუმის ყველაზე უკეთესი განვითარება აღინიშნა ნეიტრალურ და ოდნავ ტუტე საკვები არის პირობებში $\text{pH} = 6,8-8,2$, ხოლო სუსტი განვითარება – $\text{pH} = 2,1; 11,4; 12$ -ის დროს;
10. სოკო *F. oxysporum*-ი და სოკო *Verticillium lateritium*-ი კარგად ვითარდება ყველა, ჩვენს მიერ, გამოცდილ საკვებ არეზე.

მხოლოდ, შეინიშნება მათი ზეგავლენა მორფოლოგიურ თავისებურებებზე. ორივე სოკოს ზრდა-განვითარებისათვის საუკეთესო წყაროს წარმოადგენს კარტოფილის გლუკოზიანი აგარიზირებული ნახარში. სოკო *Verticillium lateritium*-ისათვის, ქლამიდოსპორების დიდი რაოდენობით განვითარებას ადგილი აქვს დარიბ საკვებ არეებზე – უგლუკოზო კარტოფილზე;

